ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა
და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●

პროგრამა „ლოგოსი“
პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

CORPUS HIPPOCRATICA

ნაწილი 1

თბილისი
2008

მთარგმნელები: ფილოლოგიის დოქტორი ნოდარ გაფრინდაშვილი.
მედიცინის დოქტორი მაკა გაფრინდაშვილი.

რედაქტორები: ფილოლოგიის დოქტ. პროფ. ვალერი ასათიანი
მედიცინის დოქტ. პროფ. რამაზ შენგელია.

რეცეზენტები: მედიცინის დოქტ. პროფ. თეიმურაზ პეტრიაშვილი
მედიცინის დოქტორი ბრიგოლ სულაბერიძე.

ISBN 978-9941-401-29-9

შინაარსი

წინასიტყვაობა წიგნისა 4

წინასიტყვაობა რ. შენგელიასი 6

წინასიტყვაობა თ. პეტრიაშვილი 8

ფიცი 10

დარიგებანი 12

ეპიდემიები I ა) ამინდის პირველი მდგომარეობა 20

ბ) თოთხმეტი ავადმყოფი 37

ეპიდემიები III ა) პირველი ნაწილი 47

ბ) ამინდის დამასნეულებელი მდგომარეობა 54

გ) 16 ავადმყოფი 62

საკვების შესახებ 72

ძველი მედიცინის შესახებ 79

ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ 102

წინასიტყვაობა

ოცდაოთხ საუკუნეზე მეტი გავიდა „მედიცინის მამად" წოდებული ჰიპოკრატეს ნაშრომების შექმნიდან, მაგრამ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ძველ თუ ახალ მსოფლოში ჰიპოკრატე ითარგმნა მრავალ ენაზე, მაგრამ ქართულად, როგორც ჩანს, მისი თარგმანი დღემდე არ მოგვეპოვება.

მხოლოდ გასული საუკუნის სამოციან წლებში პროფესორმა თინათინ ყაუხჩიშვილმა თარგმნა და წიგნში „ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ„ გამოაქვეყნა მისი ნაშრომის „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ„ მეორე ნახევარი, სადაც საუბარია სხვადასხვა ქვეყანაზე და მათ შორის კოლხეთზე.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში თსსი მედიცინის ისტორიის კათედრამ და პირადად მისმა გამგემ, პროფესორმა მიხეილ შენგელიამ, გრძნობდა რა ქართველი ექიმებისათვის ჰიპოკრატეს შრომათა ქართულ ენაზე გაცნობის აუცილებლობას,

თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრას მიმართა თხოვნით ჰიპოკრატეს ნაშრომთა ქართულად თარგმნის თაობაზე და თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგემ–ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა ჩემდა სასიხარულოდ მე, თსსი ლათინური ენის კათედრის ახალგაზრდა დოცენტს შემომთავაზა და მეც, მივიღე რა ეს საპატიო მისია, შეუდექი მუშაობას და ვთარგმნე „ეპიდემიები „I, „ეპიდემიები„ III და „აფორიზმები„. ამ უკანასკნელის მცირე ნაწილი გამოქვეყნდა 1988 წელს მიხეილ შენგელიას წიგნში „მედიცინის ისტორია„.

90-იანი წლების ცნობილი მოვლენების გამო თარგმანზე მუშაობა შეფერხდა, თუმცა კი 2004 წლიდან, როცა განვაახლე თარგმნა, კვლავაც მრავალი წინააღმდეგობა შემხვდა 2006 წლის რეფორმების გამო.

მიუხედავადამისა ამჟამად თარგმნილი მაქვს ე.წ. „კორპუს ჰიპპოკრატიკა„-ს I და II ტომი. წინამდებარე I ტომში შედის. 1.ფიცი. 2. დარიგებანი. 3. ძველი მედიცინის შესახებ. 4. ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ. 5. კვების შესახებ. 6. ეპიდემიები I. 7 ეპიდემიები III.

II ტომში შედის. 1. პროგნოსტიკა.. 2. დიეტა მწვავე დაავადებების დროს. 3. ღვთაებრივი დაავადების შესახებ. 4. საექიმო ხელოვნების შესახებ. 5. სუნთქვის შესახებ. 6.კანონი. 7.კეთილშობილური საქციელის შესახებ და 8. კბილების ამოჭრის შესახებ.

ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და, თუ ფინანსური შესაძლებლობები გვექნება, ყოველწლიურად შეეძლებთ თითო ტომის გამოცემას.....

რაც შეეხება თარგმანს: იგი შესრულებულია ეგრეთწოდებულ "ჰიპოკრატეს კრებულ"-ში წარმოდგენილი ბერძნულ-ინგლისური ტექსტიდან, რომელიც გამოცემულია ლონდონში გასული საუკუნის II ნახევარში. ტექსტის სპეციფიკურობის გამო თარგმანიც შესაბამისია და არა აქვს მხატვრული თარგმანის არავითარი პრეტენზია. შეიძლება ვინმეს ეუცხოოს, ვთქვათ, სათქმელის ზმნების გარეშე გადმოცემა, მაგრამ ასეთ მკითხველს თუნდაც გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებებს შევახსენებდი.

კერძოდ "ფიცი" კი, რომელიც თავისთავად მხატვრულ-ორატორული ნაწარმოებია, ჩვენც მხატვრულად ვთარგმნეთ და მეტიც, გავკადნიერდით და თითქმის გავლექსეთ კიდეც. ამასთანავე, ცხადია, სიამოვნებით მივიღებთ ყველა შენიშვნასა და რჩევას და გავითვალისწინებთ შემდგომში.

ნოდარ გაფრინდაშვილი..

ჰიპოკრატე ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნე მედიკოსადაა მიჩნეული. მისი ნააზრევი მრავალ ტომს მოიცავს და დღეს ძნელია ზღვარი დასდო უშუალოდ მისეულ ნაწარმოებებსა და შემდგომ პერიოდში მისივე მოწაფეების მიერ დამატებულ-გაღრმავებულს შორის. მთელ ამ მემკვიდრეობას "Corpus Hippocratica" ჰქვია და მუდმივი შესწავლის საგანია სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მხრიდან. ამ ულევ საგანძურში დაინტერესებული მკითხველი მრავალ საინტერესოსა და სასარგებლოს იპოვნის.

კუნძულ კოსზე დაბადებული მოაზროვნის შეხედულებები დაავადების ეტიოპათოგენეზზე, კლინიკურ სურათსა და მკურნალობის ტაქტიკაზე, ადამიანისა და გარემოს ურთიერთობაზე, ბიოეთიკურ საკითხებზე და, ბოლოს, თვით მედიცინის ისტორიაზეც, არასოდეს ჰკარგავს აქტუალობას.

ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ გასული საუკუნის შუახანებში თარგმნა და გამოსცა პროფესორმა თინათინ ყაუხჩიშვილმა, მაგრამ გენიალური მედიკოსის სამედიცინო ხასიათის ოპუსები სისტემურად და აკადემიურ დონეზე ქართულად ჯერ არავის უთარგმნია და დაუსტამბავს.

ბატონი ნოდარ გაფრინდაშვილი მრავალი წელია რუდუნებით ადგას ამ საქმეს და ცდილობს, ქართულ მედიცინას და მთარგმნელობით ლიტერატურას დიდი ღვაწლი დასდოს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოკრატეს შრომების ქართულად თარგმნით იგი მთლიანად ქართულ კულტურას ფუნდამენტური და მოწესრიგებული ფენომენის მეტად ნიშანდობლივ შტრიხს შესძენს.

იმედია, ეს წიგნი პირველი მერცხალი იქნება და მალე მშობლიურ ენაზე გალენუსის, ცელსუსის, დიოსკორიდისა და აღმოსავლელ ბრძენ ექიმთა სხვა თხზულებებსაც ვიხილავთ. ყველაფერი ეს უმჯობესოს კავშირშია ჩვენს ისტორიასან,

სამედიცინო-სააზრიანო სისტემასტან, მთლიანად ჩვენს ფსიქო-მენტალობასთან.
წინამდებარე წიგნი უეჭველად მეტად მნიშვნელოვანი სამედიცინო-კულტუროლოგიური მოვლენაა, რომლის მნიშვნელობასაც გარკვეული დროის შემდგომ უფრო მეტად შევიგრძნობთ.

თსსუ მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მედ. მეც. დოქტორი პროფ. **რამაზ შენგელია.**

"გამოცდილი მკურნალი ემსგავსება ღმერთსა, ამისთვის, ვინაითგან სნეულსა განამთელებს და მიზეზ ექმნება მეორედ ცხოვრებისა, ხოლო გამოუცდელი, რაიცა სნეულობაში სიცოცხლე დარჩენია, მასაცა მოუღებს." წერდა მე-18 საუკუნის ბოლოს იოანე ბატონიშვილი და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მეცნიერება იყო ბურჯი ქვეყნის აღშენებისა, „რომ ჩვენ უფრო ბერძენთა და ევროპელთა გუარი გვაქვს სწავლასა შინა" მაგრამ ქართველებს თავისი მიწა-წყლის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლების გამო მეცნიერებისათვის დიდი დროის დათმობის საშუალება არ ეძლეოდათ.

ასე რომ არ წარმართულიყო ჩვენი ქვეყნის ბედი, წარმოუდგენელია ქართველებს არ ჰქონოდათ ნათარგმნი მრავალი ცნობილი ფილოსოფოსის, მათ შორის, ჰიპოკრატეს ნაშრომები, თუმცა კი, ალბათ, რომც ჰქონოდათ, ქვეყნის ხშირი აებედობისა და უბედურებათა გამო ძნელად თუ მოაღწევდა ჩვენამდე.

მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში მოხერხდა ჰიპოკრატეს ზოგიერთი ნაშრომის გაცნობა ქართულენოვანი მკითხველისათვის. შემდეგში ჰიპოკრატეს ნაშრომების თარგმნას ნაყოფიერად მიჰყო ხელი თსსი უცხო ენების კათედრის დოცენტმა — ნოდარ გაფრინდაშვილმა. მისი თარგმანი ძველი ბერძნული ტექსტიდანაა შესრულებული, რაც ნაშრომს ორიგინალობას ანიჭებს.

ნოდარ გაფრინდაშვილის ყველა ნამუშევარში, მათ შორის ჰიპოკრატეს ნაწარმოებთა თარგმანში, ავტორის საკმაოდ დახვეწილი პროფესიონალიზმი და დიდი შრომისმოყვარეობა აისახება.

ჩემი აზრით ნ. გაფრინდაშვილის მიერ ქართულად მოწოდებული ჰიპოკრატეს შრომათა მნიშვნელობა დიდია იმიტომ, რომ მიუხედავად 21-ე საუკუნეში არსებული ტექნიკური მიღწევებისა, თანამედროვე ექიმის ჩამოყალიბების პროცესში მომავალ ექიმს ავადმყოფთან გაბმული სულიერი ძაფების (რაც ასე სჭირდება ავადმყოფს) ნაკლებობა რომ არ

ჰქონდეს, აუცილებელია გაეცნოს ძველ, თუნდაც უძველეს შეხედულებებს მედიცინაზე, რაც კიდევ უფრო დახვეწს ახალგაზრდა ექიმების სულიერ გარემოს. სწორედ ამისათვის არის საჭირო, საკუთარ ენაზე მივაწოდოთ ახალგაზრდობას ძველი ფილოსოფოსებისა თუ ექიმების ნააზრევი.

აქედან გამომდინარე, ცუდი არ იქნება, ჰიპოკრატეს ნაშრომთა უკეთ გაცნობის მიზნით, სტუდენტთა სასწავლო პროგრამაში გარკვეული დოზით ამ ნაშრომთა თუნდაც მოკლე შინაარსის შეტანა.

ბატონ ნოდარ გაფრინდაშვილს კი, ბევრი საუკეთესო წიგნისა და ნაშრომის ავტორს, ვუსურვებთ კვლავაც მრავალი, მსოფლიოში ცნობილი პიროვნების, მათ შორის ექიმების ნააზრევი მიეწოდებინოს ქართველი მკითხველისათვის საკუთარ ენაზე, რაც მეტ საშუალებას მოგვცემს ჩვენი საქმიანობის ანალიზისა და პროფესიონალური დონის ამაღლების დახვეწაში.

თეიმურაზ პეტრიაშვილი. თსსუ პათფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, 02.10.08.

ფიცი

ვფიცავ აპოლონს – ღმერთსა და მკურნალს,
ვფიცავ ჰიგიას და ასკლეპიოსს,
პანაკეიას, ყველა ღმერთს და
ღმერთქალსაც ყველას მოწმედ მოვუხმობ,
რომ პატიოსნად, ჩემი ძალის შესაბამისად,
მე აღვასრულო ეს ფიცი და წერილი აღთქმა.
ვინც შემასწავლა ეს ხელოვნება,
მივიღო იგი მშობლების დარად;
გავუნაწილო მონაგარი და
გვერდით დავუდგე ყოველგვარ ჭირში!
და-ძმად ჩავთვალო ნაშობნი მისნი
და შევასწავლო, თუ ისურვებენ,
ეს ხელოვნება უშურველად და
საზღაურზე ფიქრის გარეშე.
დარიგებანი, სახალხო თუ ბრძენთა სწავლანი,
სრულად გადავცე შვილთა ჩემთა,
შთამომავალთაც მოძღვართა ჩემთა,
შეგირდთა, რომელთ მედიცინასთან აკავშირებთ
და არა სხვასთან მოვალეობა და ფიცი ესე!
ჩემი ძალისა და გონების შესაბამისად,
მხოლოდ სნეულთა სასარგებლოდ წარვმართო ქცევა
და განვერიდო ყველანაირ უსამართლობას,
და მითუმეტეს, არრა ვავნო არასდროს არვის!
მე სასიკვდილო არვის მივსცე არასდროს აბი,
არც მივასწავლო გზა ასეთი უაზრობისკენ,
ქალს, მითუმეტეს, – მოსაშლელი საშუალება!
შეუბღალავად და უმწიკვლოდ
წარვმართო მარად ცხოვრება ჩემი და ხელოვნება.
ხელი არ ვახლო მე კენჭოვან დაავადებას,
გადავაბარო იგი მას, ვის ძალუცს ამის ქმნად!

უმართებულო და ბოროტი ფიქრის გარეშე
მე ნებისმიერ სახლში შევალ მხოლოდ იმისთვის,
რომ ავადმყოფი ვიხსნა მისი გასაჭირისგან...
როგორ შევხედავ მრუშში თვალით ქალს, ან მამაკაცს,
რა ბედენაა, მონა არის ის თუ აზატი!
ჩემი მისიის აღსრულებისას,
ან ჩვეულებრივ, კაცურ ყოფაში,
თუ გავიგონებ, ან ვნახავ რამეს,
რისიც არა ხამს გახმაურება,
არ გავამჟღავნო ეს საიდუმლო!
მე, შეუცვლელად შემსრულებელს ამა ფიცისას,
ადამიანთა ყოველთა თანა,
ღმერთმა მარგუნოს დიდება და ბედნიერება
უკუნისამდე, ყოფასა და ხელოვნებაში..
ბოროტმოქმედთ და ფიცთგამტეხთ კი...
ექმნათ პირიქით!

ცხოვრებაში არის ხოლმე ხელსაყრელი შემთხვევა, მაგრამ იგი ხანგრძლივი არაა. დრო მკურნალია, მაგრამ ზოგჯერ – ხელსაყრელი შემთხვევაც. ვინც ეს იცის, მკურნალობა ალბათობის განსჯის საფუძველზე კი არ უნდა წარმართოს, არამედ, უპირატესად, გონიერებასთან შერწყმული გამოცდილების შესაბამისად; განსჯა ხომ იმასთან შერწყმული მოგონებაა, რასაც შეგრძნებით ელებულობთ, გრძნობა კი მხოლოდ თვალხილულ გამოსახულებებს ეყრდნობა, განიცდის საგანთა ზემოქმედებას და გადასცემს მას აზროვნებას.

ეს უკანასკნელი კი, მას რომ მიიღებს, ხშირად აკვირდება, თუ "რა", "როდის", "როგორ" და, ყველაფერს რომ გააანალიზებს, გაიხსენებს მას. ასე რომ, განსჯასაც მივესალმები მე, თუკი იგი დასაწყისს ღებულობს მომხდარი მდგომარეობიდან და დასკვნებს სწორი მეთოდით აკეთებს. აკი, თუ განსჯა სათავეს იღებს იქიდან, რაც ცხადად ხდება, იგი ხომ გონების ზემოქმედების ქვეშ მოექცევა, რაც სხვა საგნებისაგან ყველაფერს სათითაოდ ითვისებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ბუნება სხვადასხვა ძალისაგან მოდის მოძრაობაში და შეგონებას მრავალი სხვადასხვაგვარი საგნისაგან ღებულობს, აზროვნება კი, როგორც ზემოთაც ითქვა, ამას ითვისებს მისგან და მერე მიჰყავს ჭეშმარიტებამდე.

როდესაც განსჯა თვალხილული ფაქტებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ გონების საკარაუდო მსჯელობიდან, ხშირად აგდებს [მკვლევარს] მძიმე და არასასიამოვნო მდგომარეობაში,– ასეთები კი, ხომ მართლაც ყოვლად უგზოდ მავალნი არიან! თუმცა, რაა ცუდი იმაში, თუ გასამრჯელოს ისინიც მიიღებენ, რომლებიც არც თუ კარგად ასრულებენ საექიმო მოვალეობას? მაგრამ ეს ცუდია ავადმყოფებისათვის, რომელთაც იციან, რომ სენის ძალა იმდენად დიდი არაა, თუ ექიმის გამოუცდელობაც არ წაეხმარება მას. ამაზე კი ქვემოთ საკმაოდ ბევრს ვიტყვით.....

2. მისგან ხომ, რაც მხოლოდ განსჯიდან მომდინარეობს, ვერაფერ [ნამდვილს] ვერ მივიღებთ; ეს ხომ მხოლოდ საქმის ჩვენების მიხედვითაა შესაძლებელი; აკი მცდარია და არამყარი მხოლოდ ლაყბობაზე დამყარებული მტკიცებულება. ამიტომაც ყოველთვის უნდა ვემყარებოდეთ მას, რაც სინამდვილეში ხდება და ამას უნდა დავუთმოთ დიდი დრო, თუ გვინდა რომ შეკიძინოთ ის უბრალო და შეუცდომელი უნარი, რასაც საექიმო დაოსტატებას ვუწოდებთ, ეს კი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ავადმყოფებს, ისე მათ მკურნალ ექიმებსაც და არც იმისი უნდა შეგვრცხვეს, რომ უბრალო ხალხისაგანაც ვისწავლოთ რაიმე, თუ შევატყობთ, რომ იგი ხელსაყრელია ავადმყოფთა მკურნალობისათვის. მე იმასაც კი ეფიქრობ, რომ ყოველგვარი დახელოვნება ისე იქნა მიღწეული, რომ ჯამდებოდა და განიხილებოდა თითოეული შემთხვევის საბოლოო შედეგი და ყველაფერი მიდიოდა ერთსადაიგივე დასკვნამდე.

ამიტომაც ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველა შემთხვევით მოვლენას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და ჩვენი მოღვაწეობისას საქმე ვაკეთოთ წყნარად და სასარგებლოდ და არა წინასწარმეტყველებებითა და აპოლოგიებით.

3. სასარგებლოა აგრეთვე, რომ ავადმყოფებს წინასწარვე დავუნიშნოთ სხვადასხვა სახის საშუალებები, რადგან, ექიმისაგან დანიშნული წამლები რომ ავადმყოფებს შველის, ამას რა მტკიცება უნდა, ხოლო მრავალი სხვადასხვა მიზეზისა და ცვალებადობის გამო ნებისმიერი დაავადება ჩვეულებრივ ხომ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება ხოლმე.

4. ესეც კარგად უნდა დაიმახსოვროთ ჩემი რჩევებიდან: თუ შენ თავიდანვე მხოლოდ გასამრჯელოზე იფიქრებ — *ამასაც ხომ აქვს ჩვენს საქმიანობასთან კავშირი* — მაშინ, ცხადია, ავადმყოფს იმას აფიქრებინებ, რომ, თუ კარგ გასამრჯელოს არ მოგცემს, მიატოვებ მას, ანდა არც მოუფრთხილდები და არც სასარგებლო რჩევებს მისცემ.

გასამრჯელო არაა მთავარი, რადგან მიმაჩნია, რომ ამაზე ყურადღების მიქცევა მეტად საზიანოა ავადმყოფისათვის, გან-

საკუთრებით მძიმე დაავადებების დროს, როცა დაავადების სიჩქარე არ გვაძლევს დაყოვნების საშუალებას. იგი კარგ ექიმს აიძულებს, ეძებოს არა რაიმე გამოჩენა, არამედ კარგი სახელის მოპოების შესაძლებლობა... უმჯობესია ვუსაყვედუროთ გადარჩენილებს, ვიდრე წინასწარვე გავაძარცვოთ საშიშროებაში ჩაცვეენილები!

5. თუმცა ზოგიერთი ავადმყოფი, რომელიც რაღაც უჩვეულოსა და იდუმალს აძლევს უპირატესობას, დიახაც იმსახურებს უყურადღებობას, მაგრამ სასჯელს – არა. ამიტომაც მათ, მცდარი გზით მაეალთ, იქნებ მართლაც შეეწინააღმდეგო, მაგრამ, ღმერთმანი, რომელი გულითადი ექიმი იფიქრებს, რომ ავადმყოფი სიმკაცრით განკურნოს?! ასე რომ ის, ვინც დაავადების გამოკვლევას იწყებს, თუ რაიმე სასარგებლო რჩევას არ მისცემს ავადმყოფს და არ დაამთავრებს მკურნალობას, ავადმყოფს განა აბუჩად არ იგდებს?]

6. მე გირჩევთ აგრეთვე, რომ კაცთმოძულედ არ მოეპყროთ ნებისმიერ ავადმყოფს, არ უნდა მიაქციოთ ყურადღება მისი ქონების რაოდენობას ან მის სიძუნწეს და ზოგჯერ უფასოდაც კი უნდა უმკურნალოთ; შენზე კეთილი მოგონება უფრო მაღლა უნდა დააყენო წუთიერ კეთილდღეობასთან შედარებით.

თუ გექნება შემთხვევა, რომ მკურნალობა გთხოვოს უცხო მგზავრმა ან ღარიბმა, უმალვე გაუწიე მათ ეს სამსახური, რამეთუ, სადაცაა კაცთმოყვარეობა, იქვეა [თავისი] საქმის სიყვარულიც.

ზოგიერთი ავადმყოფი ხომ, რომელმაც იცის, რომ მძიმე სენითაა შეპყრობილი, თუ დარწმუნდება ექიმის მართებულ მკურნალობაში, ადვილად გამოჯანმრთელდება ხოლმე. ხომ კარგია, რომ ავადმყოფობას ჯანმრთელობისაკენ წარმართავდე, ხომ უნდა ვიფიქროთ ჯანმრთელებზე იმიტომ, რომ არ დაავადდნენ. ჯანმრთელებზე ზრუნვა საჭიროა აგრეთვე კეთილგონივრული საქციელისათვისაც.

7. მაგრამ ზოგიერთები, რომლებიც უვიცობის ჭაობში არიან ჩაფლულნი, ვერ გაიგებენ ამას. ჰო და ისინი, არაექიმე-

ბი, სამარცხვინოები, რომელთაც ხშირად ბედიც სწყალობთ, უცებ ამაღლდებიან ხოლმე – ორმაგ ხეირში ვარდებიან: მკურნალობენ მდიდარ ავადმყოფებს და თანაც მაშინ, როცა დაავადება უკვე გადის; ხოლო თუ დაავადება გამწვავდება, მაშინ მხოლოდ ტრაბახობენ და აბუჩად იგდებენ საექიმო ხელოვნების უდავო საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ეგრეთწოდებული დამსახურებული ექიმები გამოავლენენ ხოლმე თავის სიძლიერეს. ის კი, ვინც უმწიკვლოდ და პატიოსნად აწარმოებს მკურნალობას, ამ წესს არ დაარღვევს არა შეუძლებლობის, არამედ უსამართლობისადმი ურწმუნოების გამო. ისინი [ცუდი ექიმები], თუ დაინახავენ, რომ ავადმყოფის მდგომარეობა საშიშია, ხელს არ ჰკიდებენ და სხვა ექიმების მოწვევასაც ერიდებიან, რადგან სხვისაგან დახმარების ზიზღით არიან განმსჭვალულები. სენისაგან შეწუხებული ავადმყოფები კი ორ ცეცხლს შუა იწვიან, რადგან არ ენდობიან ისეთ მკუურნალობას, რომელიც ნამდვილ საექიმო ხელოვნებას არ შეესაბამება – დაავადების დასუსტება ხომ ნებისმიერი ავადმყოფის სანუკვარი ოცნებაა.

ამიტომაც, რადგან გამოჯანმრთელება სურთ, არ მოსწონთ, რომ მუდამ ერთსადაიგივე სახეობის მკურნალობას უტარებდნენ, თუმცა ვერ გრძნობენ ექიმის მიერ წარმოებული მკურნალობის მრავალგვარობას. ისინი, თუმცა მდიდრები, იძულებულნი არიან, თავი დახარონ ბიწიერების წინაშე და ამიტომაც უკმაყოფილონი არიან. თანაც, რადგან აქვთ კეთილდღეობის შესაძლებლობა, ყველაფერს – ყოველგვარი შრომის ნაყოფს და მიწათმოქმედების შედეგად მიღებულ სიმდიდრეს ხარჯავენ იმისათვის, რომ გამოჯანმრთელდნენ – სრულებით არ ფიქრობენ იმაზე, რომ საბოლოოდ ბევრს ვერაფერს მიიღებენ.

8. მაგრამ ამაზე საუბარი საკმარისია. ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესებაც და შემსუბუქებაც ხომ ექიმის მეთვალყურეობას საჭიროებს. ამიტომაც, არაფერი სამარცხვინო არაა იმაში, თუ ექიმს თავისი გამოუცდელობის გამო რაიმე

გაუჭირდება ავადმყოფთან მიმართებაში და სხვა ექიმებს მოუხმობს დამხმარედ, რომლებთან ერთადაც (რომლებიც ეცდებიან დაეხმარონ მას) იგი უკეთ გაარკვევს ავადმყოფის მდგომარეობას.

ნელა მიმდინარე მძიმე ავადმყოფობის დროს, როცა საშიშროება მატულობს, ძნელი მდგომარეობის გამო ბევრი რამ გამოგვეპარება ხოლმე მხედველობიდან და ამიტომ ამ დროს მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჩვენს მრწამსზე; მე ხომ არასოდეს ვამტკიცებ, რომ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ექიმის დახელოვნებას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. როცა ერთად იკვლევენ ავადმყოფს ექიმები, ისინი არ უნდა წაეჩხუბონ და არც უნდა დასცინონ ერთიმეორეს. მე ჩემი ფიცით ვამტკიცებ, რომ ერთი ექიმის აღმოჩენამ არასოდეს არ უნდა გამოიწვიოს მეორეს შური, ეს ხომ ამ უკანასკნელის სისუსტის მაჩვენებელია, თვით ხელოსნებსაც არ ეკადრებათ ასეთი საქციელი ქალაქის მოედანზე. ისიც ხომ სიმართლეა, რასაც კონსულტაციებზე ამბობენ, — ნებისმიერ სისრულეს ხომ რაღაც მაინც აკლია.

9. ყოველივე ამის გარდა ექიმის დახელოვნების ნათელი მაჩვენებელია ისიც, თუ სწორად წარმართავს მკურნალობას და ამავე დროს არ შეწყვეტს სნეულების გამხნევებას..., რომ ისინი მეტისმეტად არ დამწუხრდნენ სულიერად, რომ ყველანაირად ეცადონ, რაც შეიძლება დააჩქარონ გამოჯანმრთელება.

რადგან ჩვენ წარვმართავთ ყოველივეს, რაც საჭიროა გამოჯანმრთელებისათვის, ავადმყოფი რომ რჩევებს დროზე მიიღებს, აღარ დაუშვებს შეცდომებს; ისე კი ავადმყოფები, თავიანთი მძიმე მდგომარეობის გამო სასოწარკვეთილები, კიდევ უფრო ავადდებიან და მალე ესალმებიან სიცოცხლეს. ხოლო თუ ის, ვისაც ევალება ავადმყოფზე ზრუნვა, გამოიყენებს საექიმო ხელოვნების მიღწევებს, შეუნარჩუნებს ბუნებრივობას და არ შეცელის მას, გაუქარვებს ავადმყოფს არსებული მდგომარეობით გამოწვეულ მწუხარებას და ურწმენობას. აკი ადამიანის კარგი განწყობილება არის მისი

რაღაც ეროგვარი მდგომარეობა, რასაც იწვევს ბუნებრივი ურთიერთობა არა უცხო, არამედ ჩვეულებრივი თანაფარდობით შეთანხმებული სუნთქვასთან, სითბოსთან და სითხის გადამუშავებასთან, ყველანაირ და ყოველგვარ კვებასთან და სხვა მრავალ ქმედებასთან, თუკი რამ ნაკლი არ ექნება დაბადებიდან ან ადრეული ასაკიდანვე; და თუ მაინც იქნება ეს უკანასკნელი, მაგრამ არა ძლიერი, უნდა ვეცადოთ, რომ იგი როგორმე დავუბრუნოთ პირვანდელ მდგომარეობას; — სისუსტე, თუნდაც ხანგრძლივი, ხომ არაა ბუნებრივი მდგომარეობა.

10. ექიმი უნდა მოერიდოს აგრეთვე მეტისმეტ პრანჭიაობას და ძვირფასი სუნამოების ხმარებას, რადგან ყველაფერი გადაჭარბებული იწვევს ერთგვარ ეჭვსა და გაღიზიანებას, ყოველგვარი ზომიერება კი — კეთილგანწყობას. ერთ ადგილზე ტკივილები ასე თუ ისე ხომ ასატანია, მრავალ ადგილზე კი — აუტანელი, თუმცა კარგ გარეგნობას კი არ ეწინააღმდეგები, პირიქით, მიმაჩნია, რომ იგი ექიმის ღირსებაცაა.

11. ასევე კარგად უნდა გვახსოვდეს ისიც, თუ რა ხდება ხოლმე ძვირფასი ხელსაწყოებისა და სხვა ასეთების ჩვენებისას.

12. ბრბოს წინაშე ლაქლაქი არაა საქებარი საქციელი; უკიდურეს შემთხვევაში პოეტთა გამონათქვამები მაინც არ უნდა მოვიხმოთ — ასეთი თავგადადება ხომ უძლურების ნიშანია; მე ვეწინააღმდეგები სხვისი შრომის ნაყოფის მხოლოდ სიტყვიერად გამოყენებას, რადგან იგი სასიამოვნოა მხოლოდ თავისთავად, ეს იმას ჰგავს, მუქთახორების ფუჭ შრომას რომ მივბაძოთ.

13. არაა სასურველი აგრეთვე მედიცინის შესწავლის დაგვიანებულ ასაკში დაწყება. მედიცინაში გვიან მოსულები ვერაფერს ახალს და ნამდვილს ვერ აკეთებენ და მხოლოდ ძველსა და გარდასულს ოვლიან სასარგებლოდ... და მაშინ იწყება წარუმატებლობა და კამათი, ყოველივე ახლის უარყოფა,... არ აქცევენ ყურადღებას ზრდილობას,

წეს-ჩვეულებებს და ვალდებულებებს, ღმერთების წინაშე დადებულ ფიცს; ექიმები, რომლებიც დაავადებებს უნდა ებრძოდნენ, იწყებენ განუწყვეტელ დამოძღვრას და სწავლებას უბრალო ხალხისას, რომლებიც მეტაფორებსა და გამონათქვამებში ეძებენ აზრებს; მეტიც, ხალხი ხომ შეკრებამდე საჭიროებს რჩევების მოსმენას ავადმყოფობათა შესახებ... ამიტომაც, სადაც მე წარვმართავდი მკურნალობას, არასოდეს ვითხოვდი დახმარებას ასეთი მრჩეველებისაგან, რადგან ვიცოდი, რომ მართებული ცოდნის გაგება მათ არ გააჩნდათ. რადგან მათი უვიცობა უეჭველია, შეეახსენებ მათ, რომ საჭირო‍ა გამოცდილება და არა სხვისი აზრების ძებნა და ცოდნა; მართლაც, ვის რას არგებს სხვისი სხვადასხვა აზრების ცოდნა, თუ კარგად არაა დახელოვნებული, ვთქვათ, ქირურგიაში? ასე რომ მე გირჩევთ, კარგად დაუკვირდით მას, რასაც ისინი ამბობენ და შეეწინააღმდეგეთ მას, რასაც ისინი აკეთებენ.

14. ერთხელ დადგენილ დიეტაზე დიდხანს ნუ შეჩერდები. ავადმყოფის მადა ხანგრძლივია. როგორც დიდი შიშია მოსაფრთხილებელი, ასევე დიდი სიხარულიც საშიშია. საშიშია ჰაერის უეცარი გამოცვლაც. აღერების ასაკში ყველაფერი სასიამოვნოა, ხანდაზმულში კი – პირიქით. ენის არევას იწვევს ან მისი ტკივილი, ან ყურების რამ მიზეზი, ანდა ის, რომ დააპირებს ერთის თქმას და ამბობს მეორეს, ან, თუ სანამ პირველ ჩანაფიქრს იტყოდეს, დაფიქრდება მეორეზე. ეს, რაიმე ხელშესახები დაავადების გარეშე ემართებათ იმათ, რომლებიც ხელოვნების შესწავლით არიან დაკავებულები. ზოგჯერ პატარა საგნის ძალა, მისი ასაკის შესაბამისად, უდიდესია. ავადმყოფობის ცვალებადობა მისი ხანგრძლივობის მაუწყებელია, კრიზისი კი – მისი დასასრულის. მცირე დაავადება წამლით იკურნება, თუ იგი რომელიმე სასიცოცხლო ნაწილში არაა. გასაჭირის გამო გამოხატული თანაგრძნობა ავადმყოფს აღიზიანებს ზოგიერთები იტანჯებიან ხოლმე სხვისი ტანჯვის გაზიარების გამო.

ხმამაღლა ლაქლაქი შემაწუხებელია. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ადგილი სასიამოვნოა.

ეპიდემიები.

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ამინდის პირველი მდგომარეობა

კუნძულ თასოსზე შემოდგომის ბუნიობისა და პლეიადების ამოსვლის დროს იყო დიდი, შეუწყეტელი და წყნარი წვიმები სამხრეთის ქართან ერთად. ზამთარი იყო სამხრეთული, ნელა უბერავდა ჩრდილოეთის ქარები. იყო სიმშრალე...., მთლიანობაში ზამთარი გაზაფხულს უფრო ჰგავდა. გაზაფხულიც იყო სამხრეთული, თუმცა ციები, მცირე წვიმებით. ზაფხული ძირითადად იყო ღრუბლიანი, არ იყო წვიმები, ეტესიები იშვიათად ქროდნენ მსუბუქად და სხვადასხვაგვარად,□ ასე რომ, ამინდის სამხრეთულობისაკენ საერთო გადახრისას, სიმშრალის დროს, გაზაფხულის დადგომისთანავე ატმოსფეროს მდგომარეობა რომ გახდა თითქმის საწინააღმდეგო და ჩრდილოური, მრავალს შეეყარა მწვავე ციებ–ცხელება ნელი მიმდინარეობით. ამასთანავე მხოლოდ ცოტას დაეწყო ცხვირიდან სისხლის დენა და ავადმყოფთაგან არავინ გარდაცვლილა, თუმცა მრავალს გაუჩნდა სიმსივნეები ყურებთან ზოგს ცალ და ზოგს ორივე მხარეს. უმეტესობამ იგი ფეხზე, უსიცხოდ გადაიტანა, მხოლოდ რამდენიმემ იგრძნო მცირეოდენი სიცხე. ყველას უვნებლად გაუარა ამ სიმსივნეებმა, არავის არ დაჩირქებია ისე, როგორც ეს სხვა მიზეზის გამო ხდება ხოლმე. გარეგნულად ისინი იყვნენ რბილები, დიდები, გაშლილები. ისინი ნელ–ნელა ყველას გაუქრა ყოველგვარი ანთების, ტკივილისა და კვალის გარეშე. გაუჩნდათ ისინი მოზარდებს, ყმაწვილებს, მოწიფულებს და ამ უკანასკნელთაგან უმეტესად იმათ, რომლებიც ვარჯიშობდნენ გიმნასტიკასა და ორთაბრძოლაში. ქალთაგან იგი მცირეოდენთ დაემართა. ავადმყოფთა უმრავლესო-

ბას ჰქონდა მშრალი ხველა – ახველებდნენ და ამონახველს ვერაფერს იღებდნენ. ხმა ჰქონდათ ხრინწიანი. მალე, ზოგიერთს კი საკმაო დროის გასვლის შემდეგ დაემართა ცალი, ზოგს კი ორივე ყვერის მტკივნეული ანთება. ზოგს მისცა სიცხე, ზოგს – არა. უმეტესობამ ეს ძნელად გადაიტანა. სხვა ყველაფრისაგან, რასაც მკურნალობა სჭირდება, მოსახლეობა თავისუფალი იყო.

II. ზაფხულის დასაწყისში, მთელი ზაფხულის განმავლობაში და ზამთარშიც კი ყველა ისინი, რომლებიც ჭლექით იტანჯებოდნენ დიდი ხნის განმავლობაში, ჩაწვნენ და ამასთანავე მრავალთ, რომლებშიც ჯერ კიდევ ეჭვი ეპარებოდათ, ჭლექი დაუდასტურდათ. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ჭლექი მაშინ პირველად დაემართათ. როგორც ჩანს, ასეთები ძირითადად ისინი იყვნენ, რომელთაც რაიმე მიდრეკილება ჰქონდათ მისკენ. მათგან მრავალი და თვით უმრავლესობაც კი დაიხოცა უმოკლეს დროში. ეს კი არა და, არც კი ვიცი, გადარჩა მათგან ვინმე თუ არა. პირიქით, ისინი უფრო მალე დაიხოცნენ, ვიდრე ხდება ხოლმე ასეთი დაავადებების დროს; მეტიც, როცა სხვა დაავადებები, უფრო ხანგრძლივები და სიცხიანები მათ გადაიტანეს და არ დახოცილან. ამ დაავადებათა შესახებ კი ცოტა ქვემოთ.

ჭეშმარიტად, ჭლექი ეს იყო ერთადერთი ყველაზე ძნელი და გავრცელებული დაავადება მაშინ, რომელმაც მრავალი ადამიანი დახოცა. მათგან უმრავლესობას ჰქონდა შემდეგი სახის ტკივილები: გამუდმებული და მაღალი სიცხე, რომელიც წუთითაც არ ცხრებოდა. სამდღენახევრიანები იყვნენ ესენი... ერთ დღეს იყვნენ უფრო მსუბუქნი, მეორე დღეს კი ძლიერდებოდნენ და გამოირჩეოდნენ აღმავალი გაუარესებით. გამუდმებული ოფლიანობა, მაგრამ არა მთელ სხეულზე. უმეტესად უცივდებოდათ კიდურები და ძნელად თუ უთბებოდათ. ეშლებოდათ კუჭი და გამოყოფდნენ ნაღელისფერ, მცირეოდენ, შეურეველ, თხელ, მწვავე განავალს. მალიმალ დგებოდნენ. შარდი ჰქონდათ ან წმინდა, გადაუხარშავი, უფერული, მცირეოდენი, ან სქელი, ცუდი მდგომარეობის,

გადაუხარშავი, არაშესაფერისი დანალექით. ამოახველებდნენ ცოტას, სქელს, უმწიფარს, ხშირად და ძნელად. ავადმყოფები, რომლებიც უფრო მძიმედ იყენენ, ვერ ჭამდნენ ვერაფერს, მაგრამ ბოლომდე იღებდნენ ნედლ ნახველს. მათ უმრავლესობას დასაწყისიდან დასასრულამდე სტკიოდა ყელი, თან ახლდათ სიწითლე და სიცხე, ჰქონდათ ცოტა, თხელი და მწვავე განავალი, სწრაფად იფიტებოდნენ და დნებოდნენ, არ ჭამდნენ არაფერს, არც წყურვილის გრძნობა ჰქონდათ. მრავალი მათგანი სიკვდილის წინ ბევრს ლაპარაკობდა. აი, ეს უნდა ითქვას ჭლექიანების შესახებ.

III. ხოლო ზაფხულსა და შემოდგომაზე გამოვლინდა მრავალი და არც თუ ძლიერი, მაგრამ განუწყვეტელი ციებ-ცხელება, ხანგრძლივი, მაგრამ სხვა მსრივ არც თუ ძნელი მიმდინარეობით; უმეტესობას კუჭი ჰქონდა მსუბუქად აშლილი და რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი არავისთვის მიუყენებია. უმეტესობას შარდი ჰქონდა კარგი ფერისა და წმინდა, თუმცა მცირე და კრიზისის დროს გამომუშავებული. ახველებდნენ არც თუ ძლიერად, ამონახველს ადვილად იღებდნენ, საჭმელს არ უარობდნენ; ეს კი არა და, ბევრის მიცემაც კი შეიძლებოდა. საერთოდ გადაიტანეს დაავადება არა ჭლექიანების მსგავსად, არამედ ციებ-ცხელებით, სიცხეებითა და ჩამცივნებებით, მცირედ ოფლიანობდნენ. ზოგს ჰქონდა გამწვავებული და ცვალებადი ციებ-ცხელება. ზოგის ძალიან ხანმოკლე იყო დაავადება, მათ გარდატეხა სულ რაღაც ოც დღეში ეწყებოდათ, უმეტესობას კი 40, ზოგსაც— 80 დღის შემდეგ. ზოგჯერ არც ასე ხდებოდა, ზოგს იგი ჰქონდა მოხეტიალე სახის, გარდატეხის გარეშე. ასეთებს უმეტეს შემთხვევაში ციებ-ცხელება რამდენიმე ხნის შემდეგ უბრუნდებოდა უკანვე და ბოლოს იგივე დროის გასვლის შემდეგ გამოჯანმრთელდებოდნენ ხოლმე. ზოგიერთებს იგი ისე გაურთულდა, რომ ზამთრამდეც კი ავადმყოფობდნენ, მაგრამ ყველა მათგანიდან, რომელთა შესახებაც აქ წერია, მხოლოდ ჭლექიანებს ჰქონდა სასიკვდილო დასასრული. სხვამ ყველამ სენი შედარებით ადვილად გადაიტანა და

სხვა ციებ-ცხელებათა შემთხვევაში სიკვდილიანობა არ ყოფილა.

IV. კუნძულ თასოსზე ადრეულ შემოდგომაზევე დაიწყო უდროო, ანაზდეული, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ძლიერი ქარები დიდძალი ნალექით და თავსხმა წვიმებით. ყოველივე ეს მოხდა პლეიადების ჩასვლამდეც და პლეიადების დროსაც. ზამთარი იყი ჩრდილოური. დიდი, ხშირი, ძლიერი წვიმები, თოვლი. ხანდახან ნახევრადმოწმენდილი ცა.. მაგრამ, ამავე დროს, შესაბამის დრომდე არ აციებულა. თუმცა ზამთრის ნაბუნიობევს შემდეგ, მაშინ, როცა ქროლვას იწყებს დასავლეთის ქარი, ზამთრის ბოლოს დაიწყო ძლიერი ყინვები, ხშირი ჩრდილოეთის ქარები, გამუდმებული წვიმები და თოვლი, ცა იყო ნისლიანი და ღრუბლიანი. ასე გაგრძელდა უწყვეტლივ დღე-ღამსწორობამდე. გაზაფხული იყო ცივი, ჩრდილოური, ღრუბლიანი და წვიმიანი, ზაფხული კი — არც ისე ცხელი. ეტესიები გამუდმებით უბერავდნენ. მალე, არკტურის ამოსვლის წინ, კვლავ დაიწყო ჩრდილოური ქარები და წვიმები.

V. თუმცა მთელი წელი ტენიანი, ცივი და ჩრდილოური იყო, ზამთარში უმეტესობა თავს კარგად გრძნობდა. გაზაფხულის დაწყებისას კი მრავალი და უმეტესობაც კი გამუდმებით ავადმყოფობდნენ. პირველად დაეწყოთ თვალებიდან კატარალური, მტკივნეული გამონადენები, თვალებზე გაუჩნდათ პატარა, ჩირქოვანი, უმრავლესობისათვის ძნელად მოსაშორებელი მუწუკები. ხშირ შემთხვევაში რეციდივით. მორჩნენ გვიან შემოდგომაზე. ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ჰქონდათ დისენტერიები, ჭინთვები, ლეიენტერიები, ასევე ნაღვლისფერი ფაღარათი დიდი რაოდენობით, თხელი, მოუნელებელი და მწვავე განავალი, ზოგიერთს მთლად წყწლ-წყალა. მრავალს დაეწყო ნაღვლისფერი, წყალ-წყალა, ნამცეცებიანი, ჩირქოვანი და მტკივნეული გამონადენები, არანეფრიტული შარდშეკავებები, თუმცა ერთის მაგიერ მეორე ნიშანი გამოუჩნდებოდათ ხოლმე. ჰქონდათ ლორწოვანი პირღებინებები. აღებინებდნენ ნაღველმინარევ,

მოუნელებელ საჭმელს. ყველას ჰქონდა საერთო ოფლიანობა. მრავალმა ეს გადაიტანა უსიცხოდ და მოსიარულემ, თუმცა მრავალს სიცხეც მისცა, რომელთა შესახებ ქვემოთ ვიტყვით. რომელთაც ყოველივე ზემოთდაწერილი შეემჩნეოდა, ბევრს წვალობდნენ, ახველებდნენ.

შემოდგომასა და ზამთარში გამოვლინდა გამუდმებული სიცხეები: ზოგიერთს მწვავე, ერთდღიანი, ერთღამიანი, სამდღენახევრიანი, ზუსტად სამდღიანი, ოთხდღიანი, ცვალებადი. თითოეული ჩამოთვლილი ცხელებები ძალიან ბევრს დაემართა.

VI. ასე რომ, მწვავე ციებ-ცხელებები ძალზე ცოტას დაემართა და სხვებთან შედარებით ესენი ნაკლებად იტანჯებოდნენ, არც სისხლი სდიოდათ ცხვირიდან , მხოლოდ სულ ცოტა და ისიც იშვიათად თუ წამოუვიდოდა ზოგიერთს. არც ბოდავდნენ და ყველაფერმა სხვამაც ადვილად ჩაიარა. ყველა სრულიად წესისამებრ, უმეტესობა ჩვიდმეტი დღის განმავლობაში გამოჯანმრთელდა და არა მგონია, რომ მაშინ ამ დაავადებით ვინმე მომკვდარიყო, არც რამ ფრენიტი დამართნია ვინმეს. სამაგიეროდ სამდღიანი ციებ-ცხელებები იყო მეტი და უფრო ძნელი, ვიდრე ეგრეთწოდებული მწვავეები. ყველა ავადმყოფთან ისინი პირველი შეტევიდან მეოთხე პერიოდამდე მიმდინარეობდნენ ზომიერად. მეშვიდე პერიოდში მათ ჰქონდა ბოლო კრიზისი და არავის არ შებრუნებია. ოთხდღიანი ციებ-ცხელებები კი უმეტესობას თავიდანვე უვითარდებოდა ზუსტად ოთხდღიანების შესაბამისად, ზოგიერთს კი, არც თუ ცოტას, ოთხდღიანი ციებ-ცხელებები გაუჩნდა სხვა სახის ციებ-ცხელებებიდან და მიმდინარეობდნენ მტკივნეულად და ნივთიერებათა დანალექით. ასეთ შემთხვევაში ისინი იყვნენ ჩვეულებრივ გახანგრძლივებულები და ზოგჯერ კიდევ უფრო ხანგრძლივები. მოხეტიალე და ღამეული ერთდღიანი ციებ-ცხელებები მრავალს ჰქონდა. ამათგან ავადმყოფობა ზოგმა ფეხზე გადაიტანა, ზოგმა კი მწოლიარემ. მათ შორის მრავალს ეს დაავადება ჰქონდა პლეიადების დროს და თვით ზამთარშიც კი. მრავალს, გან-

საკუთრებით ბავშვებს თავიდან დაეწყო კრუნჩხვები. ხანგრძლივი კრუნჩხვები ჰქონდა აგრეთვე მრავალს ციებ-ცხელების შემდეგაც, მაგრამ უვნებლად. ასე რომ არავისათვის არ ყოფილა იგი სასიკვდილო.

VII ხოლო გაუნელებელი ციებ-ცხელებები და საერთოდ ისინი, რომლებიც არანაირად არ წყდებოდნენ და მწვავდებოდნენ, სამდღიანთა მსგავსად იყვნენ ერთ დღეს მსუბუქნი, მეორე დღეს კი უფრო ძლიერები. ისინი ყველა მაშინდელ დაავადებათა შორის იყვნენ უმძიმესნი, უხანგრძლივესნი და უძნელესნი, ისინი თავიდან მსუბუქნი იყვნენ, შემდეგ კი უცებ მწვავდებოდნენ და უარესდებოდნენ. ზოგჯერ მცირეოდნად ნელდებოდნენ, მაგრამ შუალედის შემდეგ ძლიერ მძვინვარებდნენ და ავადმყოფები კრიტიკულ დღეებში ყველაზე მეტად იტანჯებოდნენ, დაეწყოთ უწეს-რიგო და არასწორი ჩამცივნებები, ამათ უფრო მცირე და უფრო იშვიათი, მაგრამ სხვა ციებიანებთან შედარებით უფრო ხანგრძლივი. ჰქონდათ ხშირი, მაგრამ არცთუ ძლიერი ოფლიანობა, თუმცა ეს კი არ უმსუბუქებდათ მდგომარეობას, არამედ უუარესებდათ კიდეც, საშინლად უცივდებოდათ კიდურები და დიდი გაჭირვებით თუ უთბებოდათ. საერთოდ ყველანი იტანჯებოდნენ უძილობით, მაგრამ ესენი ყველაზე მეტად, შემდეგ კი ძილქუში ეწყებოდათ. კუჭი ყველას აშლილი და ცუდადმოქმედი ჰქონდა, ამათ კი კიდევ უარესად. შარდი უმეტეს მათთაგანს ჰქონდა წყალ-წყალა, უმწიფარი და უფერული, ცოტა ხნის შემდეგ კი–მეტ-ნაკლებად გადახარშული (როგორც კრიზისის დროს იცის), ან გამოირჩეოდა სიბლანტით, თითქოს არც მღვრიე და არც დანალექიანი, ანდა დანალექი იყო მცირეოდენი, საზიზღარი და მოუნელებელი, ეს უკანასკნელი კი უკიდურესად უსაზიზღრესი. სიცხეებს თან ახლდა ხველა, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რაიმე ზიანი ან სარგებლობა თუ მოუტანა ამან ავადმყოფებს.

VIII. ეს დაავადებები იყვნენ ხანგრძლივები და საკმაოდ ძნელები, მიმდინარეობდნენ უწესრიგოდ და მოხეტიალედ. უმეტეს შემთხვევაში ისინი უკრიზისოდ მთავრდებოდნენ

მაათეის, ვინც საშიშ მდგომარეობაში იყვნენ, თუმცა მათთვისაც, ვისაც რაიმე საშიშროება ემუქრებოდა, ან–არა. თუ ვინმეს ისინი მცირედ მაინც შეუმსუბუქდებოდნენ, მალე ისევ უძლიერდებოდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ავადმყოფობა სულ ცოტა ოთხმოც დღეს გრძელდებოდა, მაგრამ ზოგიერთებს იგი ისევ გაუმეორდა და მრავალი ზამთარშიც კი ავადმყოფობდა. მრავალი მათგანი უკრიზისოდ მთავრდებოდა და ეს ყველას ერთნაირად შეემთხვა, ვინც გადარჩა და ვინც არა. თუმცა მრავალი სხვადასხვაობა დასტურდებოდა ამ დაავადებებში კრიზისის არარსებობისას, მაგრამ უმეტესი და ყველაზე უარესი ნიშანი, რომელიც უმეტესობას ბოლომდე თან სდევდა ის იყო, რომ ავადმყოფები არ ღებულობდნენ არავითარ საკვებს, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთა მდგომარეობა საშიში იყო. ძლიერი და არადროული წყურვილი ამ ციებ-ცხელების დროს არ დადასტურებულა. დიდი ხნის გასვლის, მრავალი ტანჯვის და ძლიერი განლევის შემდეგ დაეწყო ასეთ ავადმყოფებს სითხის დაგროვება, – ან ბევრის, რომელსაც არ შეეძლო რაიმე ზიანის მიყენება, ან მცირეოდენის, რომელსაც არ შეეძლო რაიმე სიკეთის მოტანა, მაგრამ ისეთები, რომლებიც უკანვე მიიქცეოდნენ ორგანიზმში და იწვევდნენ გაუარესებას.

IX. ასეთებს დაეწყოთ დისენტერიები და ჭინთვები, ლიენტერიები და მწვავე ფაღარათები, ზოგიერთებს წყალმანკები იგივე ნიშნებით ან მათ გარეშე. რაც ყოველივე ამათგან ძლიერი ძალით გამოელინდა, მალე აძაბუნებდა ავადმყოფს და უკანვე აბრუნებდა მისკენ, რასაც არ მოჰქონდა არავითარი სარგებლობა. გამოელინდნენ წვრილ-წვრილი და ამგვარი დაავადებისათვის არაშესაფერისი მუწუკები და მალევე გაქრნენ, ანდა დაუსივდათ ყურები, რამაც მალევე გაიარა და არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. ზოგიერთ ავადმყოფს გამოუვლინდა დანალექები სახსრებში, (განსაკუთრებით თეძოების სახსრებზე). ზოგიერთებს ამან კრიზისის დროს გაუარა და მალევე კვლავ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდნენ.

X. ყველანაირი დაავადებით იღუპებოდნენ ადამიანები, მაგრამ განსაკუთრებით ამით. მათ შორის ძუძუს ახლადმოწყვეტილი ბავშვები და ცოტა უფროსებიც: რვაწლისანი, ათწლისანი და ჯერ კიდევ მოუწიფავები. ყოველივე ეს მათ დაემართათ არა ზემოთაღწერილი, არამედ ამ უკანასკნელი ნიშნების გარეშე. მხოლოდ ერთი აღმოჩნდა სასარგებლო და ასე თუ ისე გადამრჩენი ნიშანი, რომელმაც მრავალი იხსნა დანამუქრები უდიდესი საშიშროებისაგან. – ესენი იყვნენ, რომელთაც ყველაფერი შარდის შეფერხებით დაუმთავრდათ და სწორედ აქ წარმოექმნათ დანალექები, აკი შარდის შეფერხება განსაკუთრებით დაემართათ ზემოთმითითებული ასაკის ადამიანებს, თუმცა იგი დაემართათ სხვებსაც, მოსიარულეთაც და მწოლიარეთაც. ასეთებს მრავალს გამოუვლინდა ყველაფრის რაღაც სწრაფი და დიდი ცვალებადობა. კერძოდ, თუ კუჭი ძლიერ ჰქონდათ აშლილი, უმალ ეკერებოდათ და დიდი სიამოვნებით ღებულობდნენ ყოველგვარ საჭმელს და ციებ-ცხელება ამის მერე თანდათან ნელდებოდა. რაც შეეხება შარდის შეფერხებას, ეს მათთვის იყო ხანგრძლივი და მეტად მტკივნეული. შარდს გამოყოფდნენ ბევრს, სქელს, სხვადასხვაგვარს და წითელი ფერისას, ზოგჯერ ჩირქიანსაც და მტკივნეულად. მაგრამ ისინი ყველანი გადარჩნენ და არა მგონია, რომ ვინმე დაღუპულიყო.

XI. საშიში შემთხვევების დროს კარგად უნდა დავაკვირდეთ იმ ნივთიერებების მომწიფების ხარისხს, რომლებიც ნებისმიერი მხრიდან გამოედინებიან; ასევე-ყოველგვარ დანალექს, სასიკეთოსაც და სასარგებლოსაც. კარგად მონელება გარდატეხის მოახლოების მაჩვენებელი და გამოჯანმრთელების ნამდვილი მაუწყებელია, ნედლი და მოუნელებელი კი, და ყველაფერი, რაც ცუდ დანალექს წარმოქმნის, მიუთითებს გარდატეხის სიშორეზე და ტკივილების გაგრძელებაზე, ან სიკვდილზე, ან ყოველივე ამის უკუქცევაზე. ყოველივე ამათგან თუ რომელი მოხდება ყველაზე ადრე, სხვა ნიშნებზე დაკვირვებით უნდა გავიგოთ: უნდა გავეცნოთ აავადმყოფობის წარსულს, უნდა შევისწავლოთ მისი ახ-

ლანდელი მდგომარეობა და უნდა შეეძლოთ მისი მომაელის განჭვრეტა. ამაში ბევრი უნდა ვივარჯიშოთ. დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა ესაა: "დაეხმარე და არათუ ავნო". საექიმო ხელოვნება ეს სამი რამაა: ავადმყოფობა, ავადმყოფი, ექიმი. ექიმი ამ ხელოვნების მსახურია, ავადმყოფი კი ექიმთან ერთად უნდა ებრძოლოს დაავადებას.

XII. ტკივილები სიმძიმის შეგრძნობით თავსა და კისერში არის ხოლმე სიცხითაც და უსიცხოდაც. ფრენიტიანებისათვის ეს კრუნჩხვებისა და ჟანგისფერი პირღებინების მომასწავებელია და მათგან ზოგიერთები მალე იღუპებიან. მწვავე და სხვა ციებ-ცხელებების დროს, რომელთაც დაეწყებათ კისრის ტკივილი და საფეთქლებში სიმძიმის შეგრძნება, თითქოს რომ შავ ლაქებს ხედავენ და ნეკნებქვეშ რომ უმტკივნეულო დაძაბულობას იგრძნობენ, ცხვირიდან სისხლისდენა დაეწყებათ, ხოლო რომლებიც სიმძიმეს იგრძნობენ მთელ თავში, ასტკივდებათ მუცელი, დაეწყებათ პირღებინება და ამოაღებინებენ ნაღვლისფერსა და ლორწოვანს. ასეთ შემთხვევაში ბავშვებს ხშირად ეწყებათ კრუნჩხვები, ასევე ემართებათ ქალებს და ამავე დროს ეწყებათ ტკივილები საშვილოსნოში. ხანში შესულებს და ყველას, ვისაც აღარ ჰყოფნის სითბო, ზოგს ემართება დამბლა, ზოგს მანია, ზოგი კი ბრმავდება.

XIII. კუნძულ თასოსზე არკტურის ამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე და არკტურის დროს იყო ხანგრძლივი და თავსხმა წვიმები ჩრდილოეთის ქართან ერთად. დღეღამსწორობისას და თვით პლეიადებამდე კი – ზომიერი, სამხრეთული წვიმები. ზამთარი იყო ჩრდილოური, მშრალი, ცივი, დიდი ქარებით. გაზაფხულიც ჩრდილოური, მშრალი, მცირე ნალექით. ზაფხულის ნაბუნიობევს ქოფაკის თანავარსკლავედამდე დაიწყო მცირე წვიმები და ძლიერი სიცივეები, ხოლო ქოფაკის თანავარსკვლავედიდან ვიდრე არკტურამდე დაიწყო ცხელი ზაფხული, განუწყვეტელი, გამუდმებული და სასტიკი სიცხეები, არ იყო არანაირი წვიმები, ქროდნენ ეტესიები.

მხოლოდ არკტურის დროს დაიწყო სამხრეთული წვიმები და გაგრძელდა დღე-ღამსწორობამდე.

XIV. ამინდის ასეთი მდგომარეობის გამო ზამთარში დაიწყო პარაპლეგიები და მრავალს დაემართა იგი. მათ შორის რამდენიმე მალევე დაიღუპა კიდეც და, თუმცა ეს დაავადება მოარული იყო, ბევრი გადაურჩა.

ადრე გაზაფხულზე დაიწყო მწვავე ციებ-ცხელებები, მძვინვარებდა დღე-ღამსწორობამდე და ზაფხულამდეც კი. ვინც მაშინვე, გაზაფხულის ან ზაფხულის დადგომისთანავე დაავადდა, მათი დიდი ნაწილი გადარჩა, რამდენიმე კი დაიღუპა. შემოდგომაზე კი ისინი სასიკვდილონი გახდნენ და ავადმყოფთა უმეტესობა დაიღუპა. ეს ცხელებები ისეთი ხასიათისანი იყვნენ, რომ ისინი, ვისაც ცხვირიდან სისხლი უხვად და კარგად წამოუვიდა, ამის წყალობით გადარჩნენ და მე არ ვიცი ვინმე ასეთი, რომ ამინდის ამგვარი მდგომარეობის დროს მომკვდარიყო. ვინმე ფილისკს, ეპამენონს და სილენოსს მეოთხე და მეხუთე დღეს ცხვირიდან მხოლოდ მცირეოდენი სისხლი წამოუვიდათ და, ამიტომ დაიღუპნენ. ავადმყოფთაგან უმრავლესობას და განსაკუთრებით მათ, რომელთაც ცხვირიდან სისხლისდენა არ ჰქონდათ, კრიზისის დროს ჩაამციენათ, მერე კი ოფლიც წამოუვიდათ.

XV.ზოგიერთს მეექვსე დღეს დაემართა სიყვითლე, მაგრამ მათ უშველა ან საშარდე ბუშტიდან განწმენდამ, ან კუჭის ა'შლამ, ანდა ცხვირიდან ძლიერმა სისხლდენამ, როგორც მაგალითად ჰერაკლიდეს, რომელიც იწვა არისტოკიდესთან. თუმცა მას ხომ ცხვირიდან ძლიერი სისხლისდენაც ჰქონდა, კუჭიც აეშალა და საშარდე ბუშტიდანაც გაიწმინდა და გამოჯანმრთელდა მეოცე დღეს ისე კი არა, როგორც ფანაგორეს მსახური, რომელსაც არაფერი ასეთი არ დამართნია და სწორედ ამიტომ გარდაიცვალა. ძალიან ბევრს ჰქონდა ცხვირიდან სისხლისდენა, უმეტესად კი მოზარდებსა და შეღერებულებს, მაგრამ მრავალნი მაინც ისინი დაიხოცნენ, რომელთაც ცხვირიდან სისხლისდენა არ ჰქონდათ. ხანდაზმულებს იგი გადაეზარდათ სიყვითლეში ან ფაღარათში,

როგორც მაგალითად ვინმე ბიოჩს, რომელიც იწვა სელენოსის კლინიკაში. დისენტერიები გახშირდნენ ზაფხულში და ზოგიერთს, რომელსაც აგრეთვე ცხვირიდან სისხლისდენა ჰქონდა, ბოლოს ასევე დისენტერიით დაუმთავრდა, როგორც მაგალითად ერატონოსის მონას და მილოსს, რომელთაც ძლიერი სისხლისდენის შემდეგ დაემართათ დისენტერია და გადარჩნენ. მართლაც, ძირითადად ეს სითხე მბრძანებლობდა უმეტესობაზე, რამეთუ მათ, ვისაც კრიზისის დადგომისას ცხვირიდან სისხლი არ წამოუვიდა და ყურების ახლოს გაჩენილი სიმსივნეები გაუქრა, რომელთა გაქრობისას სიმძიმის შეგრძნება ჰქონდათ მარცხენა საზარდულიდან თეძოს თავამდე, როცა კრიზისის მერე დაეწყოთ ტკივილი და წყალ-წყალა შარდის გამოყოფა, ზოგიერთს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა და 24-ე დღეს დანალექიც სისხლისდენით დასრულდა. მაგალითად კრიტებოლე ანტიფანტის ძეს სენი შეუნელდა და საბოლოოდ შეუწყდა კიდეც მეორმოცე დღეს.

XVI. მაშინ ქალებიც დაავადდნენ, თუმცა მამაკაცებზე ნაკლებნი და არც ისე ბევრი დაღუპულა. სამაგიეროდ მათგან ძალიან ბევრი ძნელად მშობიარობდა და მშობიარობის შემდეგ კვლავ ავადმყოფობდნენ.

ასეთთაგან ბევრი დაიღუპა კიდეც, მაგალითად ტელებულეს ქალიშვილი მოკვდა მშობიარობიდან მეექვსე დღეს. ძალზე ბევრს ამ სიცხეების დროს დაეწყო მენსტრუაცია და ქალიშვილებს მაშინ იგი პირველად მოუვიდათ. ზოგიერთს ცხვირიდან სისხლისდენაც დაეწყო, ზოგს ორივე, მენსტრუაციაც და ცხვირიდან სისხლისდენაც, როგორც მაგალითად დაითარსეს ქალიშვილს, ქალწულს თვიურიც მაშინ პირველად წამოუვიდა და ცხვირიდანაც ბევრი სისხლი დაღვარა. და მე არა მგონია, რომ მათგან ვინმე დაღუპულიყოს, რადგან ყველაფერმა ამან კარგად ჩაიარა. ხოლო მათ, რომლებიც ფეხმძიმობისას დაავადდნენ, როგორც ვიცი, ყველას მუცელი მოეშალა.

XVII. შარდი უმეტესობას კარგი ფერისა ჰქონდა, მაგრამ წყალ-წყალა და მცირეოდენი დანალექით. უმეტესობას კუჭი ჰქონდა აშლილი და ამონაღები იყო თხელი და ნაღველმინარევი. მრავალს კრიზისის შემდეგ დაავადება დისენტერიაში გადაუვიდა, როგორც მაგალითად ქსენოფანეს და კრიტოსს. ზოგს შარდი ჰქონდა უხვი, წყალ-წყალა, თხელი, სუფთა და კრიზისის შემდეგ მას'ში წარმოიქმნებოდა კარგი დანალექები. მაშინ ყველა სხვა დანარჩენიც კარგად დამთავრდა. ჩამოეთვლი, თუ ვინ იყვნენ ესენი: ბიონი, რომელიც იწვა სილენოსთან; კრატიდი, რომელიც იწვა ქსენოფანესთან, არეტონის მონა და მნესისტრატეს ცოლი. ბოლოს ყველა მათგანს დისენტერია დაემართა. არკტურის ამოსვლისას კი, კრიზისიდან მეთერთმეტე დღეს, მრავალი განიკურნა და დაავადება აღარ შებრუნებია, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მაგრამ ამავე დროს იყო ძილქუშის შემთხვევებიც, განსაკუთრებით ბავშვებში და, მათგან რამდენიმე დაიღუპა კიდეც.

XVIII. დღე-ღამტოლობისა და პლეიადების დროს (და ზამთარშიც კი) გაგრძელდა ძლიერი ციებ-ცხელებები. ამავე დროს მაშინ მრავალს დაემართა ფრენიტი და ბევრი დაიღუპა. ზაფხულ'ში ფრენიტი ძალიან ცოტას დაემართა. მწვავე ციებ-ცხელების დასაწყისი კარგად აჩვენებდა, თუ ვის ემუქრებოდა სიკვდილი, რადგან ამათ დაეწყოთ მწვავე ციებ-ცხელებები ცოტა ჩამცივნებით, უძილობით, წყურვილით, ღებინებით, მცირეოდენი ოფლიანობით შუბლსა და ლავიწებში, (ზოგჯერ მთელ სხეულზეც). ბევრს ბოდავდნენ, ეშინოდათ, დაეცნენ სულიერად, დაუციოდათ კიდურები, განსაკუთრებით ფეხებისა და ხელების ბოლოები. ეს გამწვავებები მხოლოდ ლუწ დღეებში ხდებოდა. უმეტესობას ძლიერი ტკივილები და განსაკუთრებით ცივი ოფლი ჰქონდა მეოთხე დღეს. ხელები უკვე აღარ უთბებოდათ, ჰქონდათ გაცივებულები და დალურჯებულები. ამავე დროს არც სწყუროდათ. შარდი ჰქონდათ მცირეოდენი, შავი, თხელი, დაეწყოთ კუჭის შეკრულობა, ცხვირიდან სისხლი არავის წამოსვლია. ვისაც

ყოველივე ეს შეემთხვა, სულ ცოტა რამ დენა ჰქონდა მხოლოდ რამდენიმეს. რეციდივამდე არავინ მისულა, მაგრამ მეექვსე დღეს ოფლიანობით დაიღუპნენ. ფრენიტიანებსაც დაემართათ ყოველივე ზემოთაღწერილი, მაგრამ მათ უმრავლესობას კრიზისი მეთერთმეტე, ზოგიერთს კი—მეოცე დღეს დაეწყო. მათ, რომელთაც ფრენიტი თავიდან, მესამე, ან მეოთხე დღეს დაეწყო და დაავადება პირველივე დღეებიდან ზომიერად მიდიოდა, მეშვიდე დღეს გაუმწვავედათ.

XIX. ასე რომ მრავალგვაროვანი იყო ეს დაავადებები. ავადმყოფთაგან უმეტესად დაიღუპნენ მოზარდები, ყმაწვილები, მოწიფულები, ქოსები, თეთრკანიანები, სწორთმიანები, შავთმიანები, შავთვალები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჭკუასუსტები იყვნენ, წვრილხმიანები, უხეშხმიანები, ბლუები, გულფიცხები. ასეთივე თვისებების ქალებიც უმეტეს შემთხვევაში კვდებოდნენ. ამინდის ასეთი მდგომარეობის დროს უმეტესად გადარჩნენ შემდეგი 4 თვისების მქონებელნი: კერძოდ, 1. რომელთაც წინასწარ ჰქონდათ ცხვირიდან ძლიერი სისხლისდენა; 2. რომელთაც საშარდე ბუშტიდან გამოეყოთ ბევრი შარდი სასიკეთო და უხვი დანალექით; 3. რომელთაც აშლილი კუჭიდან დროულად გამოყვეს ნაღველნარევი განავალი; 4. რომელთაც დაემართათ დისენტერია. ბევრისთვის სასარგებლო ისიც იყო, რომ მათ კრიზისი დაეწყოთ ზემოთაღწერილი არა ერთი ნიშნიდან, არამედ თითქმის ყველადან და ამასთანავე უფრო მძიმედ. მაგრამ გადარჩნენ ყველანი, რომელთაც ასეთი რამ შეემთხვათ. ქალებსა და ქალწულებსაც გამოაჩნდათ ზემოთაღწერილი ყველა ნიშანი და ზოგს უფრო მეტად ემართებოდა ასეთი რამე, ანდა ჰქონდათ უხვი მენსტრუაცია. ისინი გადარჩნენ და განიკურნენ და, რამდენადაც ვიცი, არცერთი არ მომკვდარა, რომელთაც ყოველივე აქედან რაიმე დაემართათ საჭიროებისამებრ კარგად. რაც შეეხება ფილინოსის ქალიშვილს, თუმცა უხვად წამოუვიდა სისხლი ცხვირიდან, მაგრამ, რადგან მეშვიდე დღეს მეტისმეტად უდროოდ ჭამა, გარდაიცვალა. (მწვავე ციებ-ცხელებიანებს და,კიდეე უფრო მეტად, ანთებიანებს უნ-

ებური ცრემლი სდიოდათ, მათვე ნესტოებიდან უმნიშვნელო, არა სიკვდილის მაუწყებელი სისხლი წამოუვიდათ).

XX. ციებ-ცხელების დროს ზოგიერთს ყურებთან ახლოს გაუჩნდა მტკივნეული სიმსივნეები და კრიზისის დროს რომ ციებამ გაუარა, ისინი არც ქრებოდნენ და არც ჩირქდებოდნენ. მაშინ ნაღველნარევმა ფაღარათმა ან დისენტერიამ ან სქელ შარდთან ერთად გამოყოფილმა სქელმა ნალექმა განკურნა ეს დაავადება, როგორც, მაგალითად ჰერმიპტო კლაძომენელი. რაც შეეხება კრიზისს, მისი მეშვეობით ჩვენ გამოვიცანით, თუ რომლები არიან მსგავსები და რომლები განსხვავებულები; მაგალითად ეპიგენეოსის საზაფხულო თეატრთან მცხოვრებ ორ ძმას, იგი ერთსადაიმავე საათზე დაეწყო და უფროსს კრიზისი ჰქონდა მეექვსე, ხოლო უმცროსს მეშვიდე დღეს. ორივეს შეუბრუნდა ერთსადაიმავე დროს, გაუგრძელდათ ხუთ დღეს და შებრუნების შემდეგ ორივე ერთდროულად გამოჯანმრთელდა მე-17 დღეს. უმეტესობა განიკურნა მეექვსე დღეს. შუალედი ექვსი დღე. ვისაც დაავადება შეუბრუნდა, კრიზისი ჰქონდა მე-5 დღეს. ვისაც მე-7 დღეს ჰქონდა კრიზისი, შუალედი ჰქონდა 7 დღე. შუალედის შემდეგ კრიზისი ჰქონდათ მე-3 დღეს. მე-7 დღეს კვლავ კრიზისი. სამდღიანი შუალედის შემდეგ კრიზისი მე-7 დღეს. ვისაც მე-6 დღეს ჰქონდა კრიზისი, ექვსდღიანი შუალედის შემდეგ სამ დღეს იავადმყოფა. ერთი დღე შუალედი, ერთი დღე შეტევა, მერე კრიზისი, როგორც მაგალითად ევაგონტე დაითარსეოსის ძეს. მათ კი მე-6 დღეს ჰქონდათ კრიზისი. 7 დღე შუალედი და მეოთხე დღეს განმეორების შემდეგ ავადმყოფობა დამთავრდა კრიზისით, როგორც, მაგალითად აგლაიდეს ქალიშვილს. აი, ავადმყოფობის როგორი მიმდინარეობა ჰქონდა უმრავლესობას ამინდის ასეთი მდგომარეობის შემდეგ. და მე არ ვიცი არცერთი ცოცხლად დარჩენილთაგან, რომელსაც სწორად შებრუნებული რეციდივი არ ჰქონოდეს, და ყველა, როგორც ვიცი, გამოჯანმრთელდა, ვისაც კი ამ სახის რეციდივები ჰქონდა. არავის, ვინც ამგ-

ვარად ავადმყოფობდა, არამგონია, რომ დაავადება ვინმეს განმეორებოდეს.

XXI. ამ დაავადებებისაგან მრავალი დაიხოცა მეექვსე დღესვე, მაგალითად ეპამეინონდე, სილენოსი და ანტაგორეს ვაჟი ფილისკოსი. ისინი, რომელთაც ყურების მიდამოები დაუსივდათ, მე-20 დღეს განიკურნენ. ამ სიმსივნემ ყველას გაუარა, არ დაჩირქებიათ, მაგრამ გადაუვიდათ საშარდე ბუშტზე. დაუჩირქდათ მხოლოდ კრატისტონაქტს, რომელიც ჰერაკლეს ტაძართან ცხოვრობდა და სკიმონის მთელავ მსახურს და ამის გამო გარდაიცვალნენ. ზოგს კრიზისი ჰქონდა მე-7 დღეს, შუალედი 9 დღე, შემდეგ შეუბრუნდათ და შებრუნებიდან მე-4 დღეს განიკურნენ, როგორც მაგალითად პანტაკლეოსი, რომელიც ცხოვრობდა დიონისეს ტაძართან; ზოგს კრიზისი ჰქონდა მე-7 დღეს, შუალედი 6 დღე; ზოგს კვლავ შეუბრუნდა და შებრუნების შემდეგ კრიზისი კვლავ მე-7 დღეს, როგორც მაგალითად ფანაკრიტოსს, რომელიც იწვა მთელავ განათონთან (მასაჟისტი ხომ არაა? ნ.გ).

XXII. მაგრამ ზამთარში, ნაბუნიობევს და თვით დღეღამსწორობამდე გაგრძელდნენ მწვავე ციებ-ცხელებები და ფრენიტები და მრავალი დაიხოცა. კრიზისები სხვადასხვაგვარად იცვლებოდნენ და მრავალს კრიზისი ჰქონდა დაავადებიდან მე-5 დღეს, შუალედი 4 დღე. მერე კვლავ უბრუნდებოდათ და შებრუნებიდან მე-5 დღეს კვლავ კრიზისი, საერთო ჯამში გამოდიოდა 14 დღე. ამდაგვარად ჰქონდათ კრიზისები ბავშვთა და მოზარდთა უმრავლესობას. ზოგიერთს კრიზისი ჰქონდა მე-11 დღეს, მერე გაუმეორდათ მე-14 დღეს და საბოლოო კრიზისი ჰქონდათ მე-20 დღეს. რომელთაც მე-20 დღეს ჩაამცივნათ, მათ კრიზისი ჰქონდათ მე-40 დღეს. უმრავლესობას ჩაამცივნა პირველი კრიზისისთანავე. მათ კი, რომელთაც მანამდეც აციებდათ, კვლავ გაუმეორდათ სენის და კრიზისის შებრუნებისას. გაზაფხულზე ციება ძალიან ცოტას ჰქონდა, ზაფხულში კი — მრავალს, შემოდგომაზე კიდევ მეტს, ზამთარში კი — უკვე უმრავლესობას. სისხლისდენები ნელ-ნელა შეწყდა.

XXIII. რაც შეეხება დაავადებების დროს არსებულ მდგომარეობას, რის საფუძველზეც უნდა დაისვას დიაგნოზი, გავიგებთ ყოველთა საერთო ბუნებით, განსაკუთრებით თითოეული ადამიანის, თითოეული სენისა და თითოეული სნეულისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც დაენიშნება ავადმყოფს და ვინც დაუნიშნავს, აკი ამის შესაბამისად სნეულები თავს ან უკეთ, ან უარესად გრძნობენ; საერთო და კერძო ციური მოელენებიდან, თითოეული ქვეყნიდან, ჩვევებიდან, კვების ნირიდან, ცხოვრების წესიდან, თითოეულის ასაკიდან, საუბრის მანერიდან, ზნე-ჩვეულებებიდან, დუმილიდან, აზრებიდან, ძილიდან, ღვიძილიდან, სიზმრიდან, როგორი და რა დროისანი არიან ისინი, კრუნჩხვებიდან, ქავილიდან, ცრემლიდან, პაროქსიზმიდან, განავლიდან, შარდიდან, ნერწყვიდან, ღებინებიდან... უნდა დავაკვირდეთ აგრეთვე სენთა ცვალებადობას – რომლებიდან რომლები წარმოიქმნებიან, ასევე დანალექს, რომელსაც მიჰყავს ავადმყოფი სიკვდილამდე ან გადარჩენამდე, ამავე დროს – ოფლს, ხმაურიან და უხმაურო გაქარვებს, სისხლის დენის ხასიათს... აი, ყოველივე ამაზე და ამათგან გამოწვეულ ნიშნებზე გვმართებს კარგი დაკვირვება.

XXIV. ციებ-ცხელებები არსებობენ: გაუნელებლები; ისეთები, რომლებიც დღისით არსებობენ და ღამით ნელდებიან, ან პირიქით, ღამით არსებულნი დღისით რომ ნელდებიან; ასევე არსებობენ დღენახევრიანები, სამდღიანები, ხუთდღიანები, შვიდდღიანები და ცხრადღიანები. გაუნელებელი ციებ-ცხელების დროს სენი არსებობს უმწვავესი, უდიდესი, უმძიმესი და უდამღუპველესი. მრავალთა შორის ყველაზე არასაშიში, ყველაზე ადვილი და ყველაზე ხანგრძლივია ოთხდღიანი. ამასთანავე იგი მხოლოდ თავისთავად კი არაა ასეთი, არამედ იგი ასევე ათავისუფლებს ავადმყოფს სხვა საშიში დაავადებებისაგან. დღენახევრიანად წოდებული ციების დროს არის ხოლმე სხვა მწვავე დაავადებებიც და მაშინ იგი ყველაზე უფრო სასიკვდილოა. ასევე ჭლექიანები და სხვა ხანგრძლივი სენით დაავადებულებიც უმეტეს შემთხვევაში ამგ-

ვარად ავადმყოფობენ. ღამეული ციებ-ცხელება არც თუ ისე საშიშია, თუმცა ხანგრძლივია, დღისეული კი კიდევ უფრო ხანგრძლივი, ზოგჯერ იგი ჭლექში გადაიზრდება ხოლმე შვიდდღიანი მართალია ხანგრძლივია, მაგრამ სასიკვდილო არაა. ცხრადღიანი კიდევ უფრო ხანგრძლივია, მაგრამ არც ისაა სასიკვდილო. სამდღიანი ნამდვილია, კრიზისიც მალე აქვს, მაგრამ არც ისაა სასიკვდილო. ხუთდღიანი უმძიმესია ყოველთა შორის და თუ იგი დაჭლექიანების წინ დაემართა ადამიანს, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი მოკვდება.

XXV. თითოეულ ამ ციებ-ცხელებას აქვს თავისი სახე, მდგომარეობა და გართულებები. განუწყვეტელი ციებ-ცხელება ზოგჯერ მაშინვე, დაწყებისთანავე ყვავის, ძლიერდება, მიჰყავს ავადმყოფი უძნელეს მდგომარეობამდე, მაგრამ კრიზისის წინ და თვით კრიზისის დროს მცირდება. ზოგიერთს იგი ეწყება მსუბუქად და წყნარად, მერე იზრდება დღითიდღე და ძლიერდება, მაგრამ კრიზისამდე და თვით კრიზისის დროს გამოჩნდება ხოლმე მთელი თავისი ძალით. არის შემთხვევები, როცა იგი გარკვეული დასაწყისის შემდეგ ძლიერდება და მწვავდება, ხოლო, როცა გარკვეულ სიმაღლეს მიაღწევს, კვლავ სუსტდება კრიზისის წინ და თვით კრიზისის დროს. ყოველივე ეს ცვალებადობა ჩვეულებრივია ყოველგვარი ციებ-ცხელებისა და დაავადების დროს. ამ შემთხვევებზე კარგად დაკვირვებით უნდა დადგინდეს და განისაზღვროს ავადმყოფის ცხოვრების ნირი (დღის რეჟიმი). კიდევ სხვა მრავალი განსაკუთრებული ნიშანია ასეთი, რომლის შესახებაც ნაწილობრივ დაწერილია ზემოთ, ნაწილობრივ კი დაიწერება ქვემოთაც. აი, ეს უნდა გავიაზროთ და განვსაჯოთ, რომელი მათგანია უმწვავესი და სასიკვდილო, ან რომელი მიუთითებს, რომ ავადმყოფი გადარჩება, ან ვის უნდა მივცეთ საკვები და ვის არა, როგორი და რა რაოდენობის უნდა მივცეთ სასმელი და საჭმელი.

XXVI. ლუწ დღეებში გამწვავებულები გარდატყდებიან ლუწსავე დღეებში, ხოლო კენტ დღეებში გამწვავებულები – კენტ დღეებში. რომელნიც ლუწ დღეებში გარდატყდე-

ბიან, პირველი ხანა აქვთ მეოთხე, შემდეგ VI,VIII, X, XIV, XX, XXIV, XXX, XXXX, მე-60, მე-80 და 120-ე დღეს. კენტ დღეებში გამწვავებულებს კი პირველი ხანა აქვთ მე-3 დღეს, შემდეგი კი მე-5, მე-7, მე-9, მე-11, მე-17, 21-ე, 27-ე, 31-ე დღეს. სასარგებლოა აგრეთვე ვიცოდეთ, თუ ზემოთწარმოდგენილი თანმიმდევრობისაგან განსხვავებულად მიმდინარეობს გარდატეხის პერიოდი, ეს იმაზე მიუთითებს, რომ დაავადება შემობრუნდება, მეტიც, გვაუწყებს საშიშროებასაც კი.

ასევე უნდა მივაქციოთ ყურადღება და უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ ამ მითითებულ დროებში წარმოებული გარდატეხები მიგვანიშნებენ, გადარჩება თუ დაიღუპება ავადმყოფი, ან ცვალებადობაზე უკეთესისაკენ ან უარესისაკენ. ხოლო თუ როდის გარდატყდებიან მოხეტიალე ოთხ, ხუთ, შვიდ და ცხრადღიანი ციებ-ცხელებები, ეს უნდა შევისწავლოთ.

თოთხმეტი ავადმყოფი.

I. ფილისკოსი ცხოვრობდა კედელთან და ჩაწვა თუ არა, უმალ დაემართა მწვავე ციებ-ცხელება, ასხამდა ოფლს და ღამე მეტად მძიმე ჰქონდა. მეორე დღეს ყველაფერი უფრო გამწვავდა, მერე კი, ოყნის გაკეთების შემდეგ, მომჯობინდა. ღამე ჰქონდა მშვიდი. მესამე დღეს, განთიადიდან შუადღემდე, როგორც ჩანს, უსიცხოდ იყო, სამხრობისას კი მისცა მაღალი სიცხე, დაასხა ოფლი და მოწყურდა. ენა გაუშრა, შარდავდა შავს. ღამე ჰქონდა ძნელი, არ ეძინა, ბევრს ბოდავდა. მეოთხე დღეს ყველაფერი გამწვავდა, შარდი კვლავ შავი. ღამე ჰქონდა შედარებით მსუბუქი, შარდი უკეთესი ფერის. მეხუთე დღეს, შუადღის დადგომამდე ცხვირიდან მცირეოდენი სუფთა სისხლი წამოუვიდა. შარდი სხვადასხვაგვარი, რაღაც მრგვალი, მოტიეტივე, სპერმისმსგვარი მიმობნეული მინარევებით, რომელიც არ ილექებოდა. სანთლების გაკეთების შემდეგ კუჭიდან მცირეოდენი ჰაერი გამოუშვა. ღამე მძიმე, ცოტა ეძინა, ბოდავდა, დაუცივდა

ხელები და ვერა და ვერ გაუთბეს, შარდავდა შავს, განთიადისას ცოტა ჩაეძინა, ხმა დაუსუსტდა, დაასხა ციცი ოფლი, კიდურები დაულურჯდა. მეექვსე დღეს, შუადღისას გარდაიცვალა. სუნთქვა გამუდმებით ჰქონდა უმძიმესი, თითქოს მაეედრებელი, ძლიერი ხრიალით. ელენთა ამოებურცა მრგვალი კუზივით, ბოლომდე ასხამდა ციცი ოფლს, გამწვავებები ჰქონდა წყვილ დღეებში.

II. სილენოსი ცხოვრობდა მოედანზე, ევკლიდეს მეზობლად, რომელსაც გადაღლილობის, ლოთობის და არასწორად ვარჯიშის გამო მისცა სიცხე. ტკივილები წელიდან დაეწყო. თავში გრძნობდა სიმძიმეს, კისერი დაეჭიმა. კუჭიდან პირველ დღეს გამოუვიდა ნაღველნარევი, შეურეველი, ქაფიანი, მეტად შეფერადებული განავალი. შარდი ჰქონდა შავი, შავი დანალექით. ძლიერ მოწყურდა, ენის ზედა მხარე გაუშრა, ღამე თითქმის არ ეძინა. მეორე დღეს მისცა მაღალი სიცხე; უხვი, თხელი, ქაფიანი განავალი; შარდი შავი. ღამე მოუსვენარი, დროდადრო ბოდავდა. მესამე დღეს ყველაფერი გამწვავდა, ნეკნებქვეშ ორივე მხარე დაეძაბა, დაურბილდა და დაუგრძელდა ჭიპი. განავალი ჰქონდა თხელი, მოშავო; შარდი ამღვრეული, მოშავო ფერის; მთელი ღამე არ ეძინა, ლაქლაქებდა, იცინოდა, მღეროდა, თავს ვერ იკავებდა. მთელი მეოთხე დღე იგივე მდგომარეობა. მეხუთე დღეს განავალი სუფთა, ნაღველმინარევი, ლორწოიანი, ცხიმიანი; შარდი თხელი, გამჭვირვალე. ცოტა გონს მოეგო. მე-6 დღეს თავზე ცოტა ოფლი დაასხა, კიდურები დაუცივდა, დაულურჯდა; ბევრი იშფოთა, კუჭიდან არაფერი გამოიყოფოდა, შარდიც შეუჩერდა, მერე დაეწყო მწვავე ცხელება. მე-7 დღეს ხმა დაკარგა, კიდურები აღარ უთბებოდა, ვერ შარდავდა. მე-8 დღეს მთელ ტანზე დაასხა ციცი ოფლი, გაუჩნდა ოფლიანი წითელი გამონაყარები, მრგვალები, პატარები, ფერიმჭამელების მსგავსი. ისინი არც მცირდებოდნენ და არც ქრებოდნენ. კუჭის მცირეოდენი აშლის მერე გამოყო თხელი განავალი, თითქოს მოუნელებელი. კუჭში გადიოდა ბევრს და მტკივნეულად შარდავდა ძნელად,

მწვავედ. კიდურები ოდნავ გაუთბა. ძილი მსუბუქი, თითქოს კომატოზური, ხმა დაკარგა, შარდავდა თხელსა და გამჭვირვალეს. მე-9 დღეს ყველაფერი ისევე. X დღეს სასმელს არ იღებდა, კომატოზური მდგომარეობა, ძილი მსუბუქი, განავალი წინა დღის მსგავსი; შარდავდა ხშირად, საკმაოდ ბლანტს; დაყენების შემთხვევაში შარდში იყო ნაღერღი ფქვილის მსგავსი თეთრი დანალექი. კიდურები ისევ ცივი. მეთერთმეტე დღეს გარდაიცვალა. დასაწყისიდან ბოლომდე სუნთქვა ჰქონდა ძლიერი, ხრიალა და ნეკნებ ქვეშ გამუდმებული ბაგუნი. იყო დაახლოებით იცი წლის.

III. ჰეროფონტეს შეეყარა მწვავე ციებ-ცხელება. კუჭის მოქმედება თავიდან ჰქონდა ძნელი, — ჭინთვებით; შემდეგ კი გამოყო თხელი, ნაღველნარევი, საკმაოდ უხვი განავალი. ვერ იძინებდა. შარდი ჰქონდა შავი და თხელი. მეხუთე დღეს დილაადრიან — სიყრუვე. ყველაფერი გამწვავედა, ელენთა გაებერა. ნეკნებქვეშ დაძაბულობა, განავალი ცოტა და შავი. ბოდავდა. მეექვსე დღეს ალაპარაკდა, ღამით ოფლი დაასხა, ჩაამციენა, ბოდვა გაგრძელდა.

მეშვიდე დღეს მთლიანად ჩაამციენა, მოწყურდა, გააფრინა, ღამით გონს მოეგო, მერე ჩაეძინა. მერვე დღეს მისცა სიცხე, ელენთა დაუცხრა, სრულ გონებაზე მოვიდა. თავიდან ტკივილს გრძნობდა საზარდულში ელენთას მხარეს, შემდეგ კი გადაუვიდა ორივე ნაკუთალში. ღამე იყო უკეთესი, შარდიც უკეთესი ფერის გახდა, თუმცა ცოტა იყო და დანალექიანი. მეცხრე დღეს ოფლიანობის შემდეგი კრიზისი და მერე შუალედი. მეხუთე დღეს რეციდივი, მაშინვე გაებერა ელენთა, მწვავე ციებ-ცხელება, კვლავ დაყრუვდა. რეციდივის შემდეგ მესამე დღეს ელენთა დაუცხრა, ასტკივდა ფეხები, ღამით ოფლი დაასხა. განიკურნა მეჩვიდმეტე დღეს. რეციდივის დროს ავადმყოფი არ ბოდავდა.

IV. კუნძულ თასოსზე ფილინოსის ცოლმა ქალიშვილი რომ დაბადა, როცა მშობიარობისშემდგომმა განწმენდამ ჩვეუ-

ლებრივ ჩაიარა და თავს კარგად გრძნობდა, მშობიარებიდან მე-14 დღეს ჯერ ჩაამცივნა და მერე მაღალი სიცხე მისცა. ჯერ ასტკივდა გული და მარჯვენა ნეკნებქვეშა არე. დაეწყო ქალური ტკივილები, განწმენდა შეუჩერდა. პესარიუმის გაკეთების შემდეგ ყოველივე ეს შეუმსუბუქდა, მაგრამ თავის, კისრის და წელის ტკივილები გაუგრძელდა. ვერ იძინებდა, კიდურები დაუცივდა, ძლიერ მოწყურდა, კუჭი შეეკრა და ძლივს გადიოდა, შემდეგ კვლავ კარგად აუმუშავდა. შარდი ჰქონდა თხელი და თავიდან უფერული. მე-6 დღეს, ღამით ბევრი იბოდა და მერე კვლავ გონს მოეგო, მეშვიდე დღეს მოწყურდა, გამოყო ცოტაოდენი, ნაღველნარევი, მეტად მუქი განავალი. მერვე დღეს, ახალი ჩამცივნების შემდეგ მწვავე ციებ-ცხელება, ხშირი კრუნჩხვები ტკივილებით, ბევრს ლაპარაკობდა, სანთლების გაკეთების შემდეგ წამოდგა მოსასაქმებლად. განავალი ჰქონდა უხვი და ნაღველისფერი. ვერ დაიძინა. მეცხრე დღეს კრუნჩხვები. მეათე დღეს ცოტა გონს მოეგო. მეთერთმეტე დღეს იძინა, ყველაფერი გაახსენდა, მაგრამ მალევე კვლავ ბოდვა დააწყებინა. კრუნჩხვების დროს, როცა რამდენჯერმე გონზე მოიყვანეს, ბევრი მოშარდა ბლანტი და თეთრი, ისეთი, როგორიც ხდება ხოლმე ნადგომი შარდი განჯღრევისას; დგომის შემდეგ იგი არ ილექებოდა, მაგრამ ფერითა და სისქით მოგაგონებდათ საპალნენატარები პირუტყვის შარდს. აი, ასეთი იყო ის შარდი, რომელიც მე ჩემი თვალით ვნახე. მე-14 დღეს მთელი სხეულით ცახცახი დააწყებინა, ბევრს ლაპარაკობდა, ოდნავ გონებაზე მოვიდა, მაგრამ მალევე კვლავ ბოდვა დაიწყო. მე-17 დღეს ხმა დაკარგა, მე-20 დღეს გარდაიცვალა.

V. ეპიკრატეს მეუღლეს, რომელიც არხეგეტესთან იწვა, მშობიარობის წინ საშინლად ჩაამცივნა, როგორც ამბობენ, ველარ თბებოდა და მომდევნო დღესაც იგივე მდგომარეობა გაუგრძელდა. მესამე დღეს დაბადა გოგონა და სხვა ყველაფერი წესისამებრ წავიდა. მშობიარობიდან მეორე დღეს მისცა მაღალი სიცხე, ასტკივდა თავი და ქალური ორგა-

ნოები. პესარიუმის გაკეთების შემდეგ ეს ყველაფერი შემსუბუქდა, მაგრამ ასტკივდა თავი, კისერი და წელი. არ ეძინა, გამოყო მცირეოდენი, ნაღვლისფერი, თხელი, უმინარევო განავალი; შარდი ჰქონდა თხელი და მოშავო. სიცხის მიცემიდან მე-6 დღეს, ღამით ბოდვა დაიწყო. მე-7 დღეს ყველაფერი გამწვავდა, დაეწყო უძილობა, ჰალუცინაციები, მოწყურდა, განავალი ჰქონდა მუქი, ნაღვლისფერი. მერვე დღეს ჩაამცივნა და მერე კარგად იძინა. IX დღეს ყოველივე ისევე დარჩა. X დღეს ძალიან ასტკივდა ფეხები, კვლავ დაეწყო ტკივილები გულში, სიმძიმე თავში, აღარ ბოდავდა, ცოტა იძინა, კუჭი შეეკრა. XI დღეს მოშარდა უკეთესი ფერის და უხვი დანალექით, თავს უკეთესად გრძნობდა, XIV დღეს ჩაამცივნა, მერე მაღალი სიცხე მისცა. XV დღეს აღებინა ნაღვლისფერი, ყვითელი, არც ისე ბევრი, დაასხა უსიცხო ოფლი. შარდი ჰქონდა ბლანტი, თეთრი დანალექით. ღამით მისცა მაღალი სიცხე. XVI დღეს ყველაფერი გამწვავდა, ღამე ჰქონდა მოუსვენარი, ვერ დაიძინა, ბოდავდა. მე-18 დღეს ძლიერ მოწყურდა, ენა გაუშრა, არ ეძინა, ბევრს ლაპარაკობდა, აწუხებდა ფეხების ტკივილი.

XX დღეს, განთიადისას ცოტა ჩაამცივნა, კომა. მერე მშვიდად ეძინა. აღებინა ნაღველნარევი, ცოტა და შავი. ღამე დაყრუდა. XXI დღის დადგომამდე მარცხენა ფერდი ყოველი მხრიდან დაეძაბა და ასტკივდა, ცოტას ახველებდა. შარდი ჰქონდა ბლანტი, მღვრიე, მოწითალო, დანალექის გარეშე. სხვა მხრივ ავადმყოფი შედარებით კარგად იყო, მაგრამ არა უსიცხოდ. ავადმყოფს თავიდან ასტკივდა და გაუწითლდა ხახა და ნაქი ზემოთ ამოექაჩა. ჰქონდა ბევრი, მწვავე, მარილიანი გამონადენი. ასე გაგრძელდა ბოლომდე. 27-ე დღეს სიცხემ გაუარა, შარდავდა დანალექიანს, ცოტა ფერდიც სტკიოდა. 31-ე დღეს კვლავ სიცხე მისცა, კუჭი აეშალა. მე-40 დღეს გამოყო ცოტა და ნაღველნარევი განავალი, მე-80 დღეს, გარდატეხის შემდეგ, საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.

VI. კლენაკტიდეს, რომელიც ჰერაკლეს ტაძრის ზემოთ ცხოვრობდა, დაეწყო ცვალებადი სიცხე, პირველად ასტკივდა თავი და მარცხენა ფერდი. ასევე, თითქოს მოწყენილობისაგანო, სხვა ნაწილებიც ტკიოდა. დაეწყო სიცხიანი, უწესრიგო პაროქსიზმები, ხან ასეთი, ხან ისეთი. ოფლი ხან ჰქონდა, ხან – არა. ცხელების პაროქსიზმები ძირითადად კრიტიკულ დღეებში ემართებოდა. XXIV დღეს ასტკივდა ხელის წვერები, აღებინებდა ყვითელს, ნაღველოვანს, არც თუ ცოტას, მოგვიანებით ჟანგისფერს. ყველაფერი შეუბრუნდა. XXX დღეს დაეწყო შეუჩერებელი სისხლისდენა ორივე ნესტოდან და გაგრძელდა ნელ-ნელა კრიზისამდე. საჭმელზე უარს არ ამბობდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში არც წყურვილს შეუწუხებია და არც უძილობას. შარდი ჰქონდა თხელი და არც თუ უფერული. მეორმოცე დღეს გამოყოფდა მოწითალო შარდს ბევრი და წითელი დანალექით, თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ შემდეგ შარდი გახდა სხვადასხვაფერი, ხან ჰქონდა დანალექი, ხან – არა. მესამოცე დღეს შარდის დანალექი იყო ბევრი, თეთრი და რბილი. ყველაფერი შემსუბუქდა, სიცხემ გაუარა. შარდი კვლავ წყალ-წყალა, თუმცა კარგი ფერისა ჰქონდა. 70-ე დღეს კვლავ სიცხე. შუალედი 10 დღე. მე-80 დღეს ჯერ ჩაამციცნა და მერე მისცა მაღალი სიცხე. ძლიერი ოფლიანობა. შარდის დანალექი წითელი და რბილი. ბოლოს განიკურნა.

VII. ვინმე მეტონს მისცა მაღალი სიცხე, დაეძაბა და ასტკივდა წელი. II დღეს, ბევრი წყლის სმის შემდეგ კუჭში ჩვეულებრივ გადიოდა. III დღეს დაუმძიმდა თავი, განავალი ჰქონდა თხელი, ნაღველნარევი, მოწითალო. IV დღეს ყველაფერი გაუარესდა. მარჯვენა ნესტოდან ორჯერ წამოუვიდა მცირეოდენი სისხლი. ღამე იყო მძიმე. განავალი ისეთივე, როგორიც წინა დღეს. შარდი მოშავო, რომელშიც ზემოდან დაცურავდა რაღაც მოშავო და დაულექავი ლაქები. V დღეს მარცხენა ნესტოდან წამოუვიდა ბევრი და წმინდა სისხლი. ოფლის დასხმის შემდეგ კრიზისი, კრიზისის შემდეგ – უძილობა, არეული ლაპარაკი. შარდი თხელი და მოშავო ფერ-

ის. თავის დაბანის შემდეგ ავადმყოფი დამშვიდდა, გონზეც მოვიდა, ავადმყოფობა აღარ შებრუნებია, მაგრამ კრიზისის შემდეგაც ხშირად სდიოდა ცხვირიდან სისხლი.

VIII. ერასინოსს, რომელიც ბოოტიის მთის ერთ-ერთ ნაკადულთან ცხოვრობდა, ეახშმის მერე მაღალი სიცხე მისცა. ღამე ჰქონდა საშინელი. პირველი დღე მშვიდი იყო, ღამე–ძნელი. II დღეს ყველაფერი გაუარესდა, მთელი ღამე ბოდავდა. III დღე – მძიმე, ბევრს ბოდავდა. IV დღე – უმძიმესი, მთელი ღამის განმავლობაში ვერ დაიძინა, ჰქონდა არეული ძილ-სიზმრები და გაუთავებლად ლაქლაქებდა. შემდეგ კვლავ ძლიერი და საშიში გართულებები. შიში, მოუსვენრობა. V დღეს, განთიადისას, დამშვიდდა, სრულ გონებაზე მოვიდა, მაგრამ მოგვიანებით, შუადღისას კვლავ აურია, თავს ვერ იკავებდა, კიდურები დაუცივდა და დაულურჯდა, შარდი შეუჩერდა. გარდაიცვალა მზის ჩასვლისას. სიცხე და ოფლიანობა ჰქონდა ბოლომდე, ნეკნებქვეშეთი გაბერილი, დაძაბული და მტკივნეული. შარდი შავი, თავზე მოტივტივე მრგვალი ლაქებით, რომელიც არ ილექებოდა. კუჭში კარგად გადიოდა, გამუდმებით წყუროდა, თუმცა არც ისე ძლიერად. სიკვდილის წინ ჰქონდა საშინელი კრუნჩხვები და ძლიერი ოფლი.

IX. თასოსზე მცხოვრებ კრიტონს, სრულიად ჯანმრთელსა და ფეხზე მოსიარულეს ფეხის საშინელი ტკივილი დაეწყო ცერიდან. იმავე დღეს ჩაწვა, ჩაამცივნა, ააურეოლა და აღებინა. მერე ცოტა სიცხე მისცა. მთელი ღამე აბოდებდა. II დღეს დაუსივდა, დაეძაბა და დაუწითლდა ფეხი კოჭამდე. დააყარა შავი პატარა ბუშტუკები (ფლიქტენები), მისცა მაღალი სიცხე, დააწყებინა ბოდვა. განავალი ჰქონდა უხვი, სუფთა, ნაღველისფერი. გარდაიცვალა მეორე დღესვე.

X. ერთ-ერთ კლაძომენელს, რომელიც ცხოვრობდა ფსინიქიდეს ჭასთან, უცებ სიცხე მისცა. ჯერ ასტკივდა თავი, კისერი და წელი, შემდეგ კი დაყრუვდა. ვერ იძინებდა, სიცხემ აუწია, ნეკნებქვეშ დაებერა და დაუსივდა არც თუ ძლიერი დაძაბულობით. ენა გაუშრა. IV დღეს, ღამით ბო-

დავდა. V დღე – უძაძიმესი. VI დღეს ყველაფერი კიდევ უფრო გაუარესდა. XI დღეს ცოტა მომჯობინდა. დასაწყისიდან XIV დღემდე განავალი ჰქონდა თხელი, ბევრი, წყალ-ნაღველნარევი. აქამდე განავალს ადვილად გამოყოფდა, შემდეგ კი კუჭის მოქმედება შეუჩერდა. შარდი მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო თხელი, მაგრამ კარგი ფერის. თავზე, შუა ადგილას მოღებული ჰქონდა რაღაც ლაქისმაგვარი, რომელიც არ ილექებოდა. XVI დღეს მოშარდა ცოტა უფრო ბლანტი, რომელმაც გაიკეთა მცირეოდენი დანალექი. ავადმყოფი ცოტა მოკეთდა და გონზეც მოვიდა. XVII დღეს შარდი კვლავ თხელი, ორივე ყურის არე დაუსივდა და ასტკივდა. არ ეძინა, ბევრს ლაპარაკობდა, ატკივდა ფეხები. XX დღეს უსიცხო კრიზისი, ოფლი არ ჰქონდა და სრულ გონებაზე მოვიდა. XXVII დღეს მარჯვენა თეძო-ბარძაყში იგრძნო ძლიერი ტკივილი, მაგრამ მალევე გაუარა, ხოლო ყურებთან არსებული სიმსივნეები არც გაუქრა და არც დაუჩირქდა, მაგრამ სტკიოდა კი. XXXI დღეს–ფაღარათი უხვი, წყლიანი მინარევებით და დისენტერიის თანხლებით. შარდავდა ბლანტს. სიმსივნეები ყურებთან დაუცხრა. მე-40 დღეს ასტკივდა მარჯვენა თვალი და მხედველობა დაუქვეითდა. გადარჩა.

XI. დრომეადიოსის ცოლს მას შემდეგ, რაც ქალიშვილი დაბადა და ყველაფერი წესისამებრ მიმდინარეობდა, მეორე დღეს ძლიერ ჩაამცივნა და მერე მისცა მაღალი სიცხე. პირველად ტკივილები დაეწყო ნეკნებქვეშ, დააწყებინა კანკალი, ვერ ისვენებდა და მომდევნო დღეემში ვერ იძინებდა. სუნთქვა უცნაური, ღრმა და ხანმოკლე. ჩამცივნებიდან მეორე დილას კუჭში კარგად გავიდა. შარდი ჰქონდა ბლანტი, თეთრი, მღვრიე, ისეთი, როგორიც გახდება ხოლმე დანალექებისაგან, როცა დიდი ხნის დგომის შემდეგ გაანჯღრევენ. არ ილექებოდა. მთელ ღამეს არ უძინია. III დღეს, შუადღისას ჯერ ჩაამცივნა, მერე მაღალი სიცხე მისცა. შარდი ისეთივე. ტკივილები ნეკნებქვეშ. აღებინა. ღამე მძიმე, არ ეძინა, მთელ ტანზე ცივი ოფლი დაასხა, მაგრამ მალე

ვათბა. IV დღეს ტკივილი ნეკნებქვეშ ცოტა შეუმსუბუქდა, მაგრამ დაუმძიმდა და ასტკივდა თავი. წამიერად ღრმად ჩაეძინა, ცხვირიდან ცოტა სისხლმა წამოწვეთა, ენის ზედაპირი გაუშრა, მოწყურდა. შარდი ცოტა, თხელი, ცხიმიანი. ცოტა წაიძინა. V დღეს მოწყურდა, აღებინა. შარდი ისეთივე, კუჭიდან არაფერი. შუადღისას ჰალუცინაციები და მალე კვლავ გონს მოეგო, ძლიეს წამოდგა, მერე ცოტა ჩაამცივნა. ღამით ცოტა იძინა, კვლავ ბოდავდა. VI დღეს დილით ადრე ჩაამცივნა და მალეეე გაცხელდა, მთელ ტანზე ოფლი დაასხა. კიდურები დაუცივდა, ბოდავდა, სუნთქვა წყვეტილი და ძლიერი. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ კრუნჩხვები დაეწყო და მალე გარდაიცვალა.

XII. ერთმა სიცხიანმა კაცმა მომეტებულად ჭამა და სვა, ამიტომაც ღამე ბევრი აღებინა, მისცა მაღალი სიცხე, მარჯვენა ნეკნებქვეშა არე ასტკივდა, ქვემო მუცელში შიგნითა მხრიდან იგრძნო ანთება. ღამე ჰქონდა მოუსვენარი. შარდი თავიდან ჰქონდა ბლანტი, წითელი ფერისა და არ ილექებოდა. ენა ძლიერ გაუშრა, ცოტა მოწყურდა. IV დღეს დაეწყო ძლიერი სიცხე, ყველაფრის ტკივილი. V დღეს მოშარდა ადვილად, ბევრი, ცხიმიანი. კვლავ მაღალი სიცხე. VI დღის საღამოს ბევრი იბოდა, ღამით ვერ დაიძინა. VII დღეს ყველაფერი გამწვავდა, შარდი იგივე, ბევრს ლაპარაკობდა, თავს ვერ იკავებდა, აშლილი კუჭიდან გამოყოფდა თხელ, ჭიებიან განავალს. ღამე უმძიმესი ჰქონდა. დილაადრიან ჯერ ჩაამცივნა, მერე მისცა მაღალი სიცხე, დაასხა ცხელი ოფლი, რის შემდეგაც, როგორც ჩანს, სიცხემ დაუკლო.. დაიძინა. ძილის მერე კვლავ ჩაამცივნა, იფურთხებოდა. საღამოს ბევრს ბოდავდა. ცოტა ხნის მერე დააწყებინა შავი ფერის, ნაღველნარევი ღებინება. IX დღეს კვლავ ჩაამცივნა, ბოდავდა და არ ეძინა. X დღეს ატკივდა თავი, ყველაფერი გაუარესდა, კვლავ ბოდავდა. XI დღეს გარდაიცვალა.

XIII. ერთ, ზღვის პირას მცხოვრებ, სამი თვის ფეხმძიმე ქალს მაღალი სიცხე მისცა და მაშინვე წელიც ასტკივდა. III დღეს ატკივდა თავი, კისერი და მარჯვენა ლავიწი. მალე წაერთვა ენაც, მარჯვენა ხელი კრუნჩხვებით მოუდუნდა ისე, როგორც დამბლის დროს იცის. გამუდმებით ბოდავდა. ღამე ჰქონდა საშინელი, არ ეძინა. აშლილი კუჭიდან გამოყოფდა ნაღველისფერ, შეურეველ, ცოტა განავალს. IV დღეს გაურკვევლად ლაპარაკობდა, შემდეგ გაუარა. იგივე ორგანოებში კრუნჩხვები და ტკივილები არ ცხრებოდა. ნეკნებქვეშ გაუჩნდა მტკივნეული სიმსივნე. არ ეძინა, საშინლად ბოდავდა, კუჭი ჰქონდა აშლილი, შარდი თხელი და ცუდი ფერის. V დღეს მისცა მაღალი სიცხე და ნეკნებქვეშეთი ასტკივდა, დაიწყო ათასნაირი რაღაცების ბოდვა. განავალი გაუხდა ნაღველნარევი. ღამით ჯერ ოფლი დაასხა და მერე სიცხემაც გაუარა. VI დღეს გონს მოეგო. ყველაფერი შემსუბუქდა, მაგრამ მარჯვენა ლავიწის ახლოს ტკივილი კელავ გრძელდებოდა, წყუროდა, არ ეძინა, შარდი წყალ-წყალა. VII დღეს ცახცახი დააწყებინა, ცუდად ეძინა, ცოტას ბოდავდა, ტკივილები ლავიწსა და მარჯვენა ხელზე გრძელდებოდა, სხვამხრივ კი ყველაფერი გაუმჯობესდა, სრულ გონებაზე მოვიდა. სამ დღეს სიცხე აღარ ჰქონია. XI დღეს ავადმყოფობა შეუბრუნდა, ჩაამცივნა, მერე მისცა მაღალი სიცხე. XIV დღეს აღებინა ბევრი, ნაღველნარევი, ყვითელი. დაასხა ოფლი. გადარჩა.

XIV. მელიდოსს, რომელიც ცხოვრობდა ჰერას ტაძართან ახლოს, დაეწყო თავის, კისრის და გულ-მკერდის ძლიერი ტკივილი და მაშინვე მისცა მაღალი სიცხე. ცოტა თვიური წამოუვიდა. ყველა დასახელებული ორგანო კელავ გამუდმებით სტკიოდა. VI დღეს ძილქუში, ღებინება, კანკალი, ლოყები დაუწითლდა, ცოტას ბოდავდა. VII დღეს ოფლი დაასხა, სიცხემ დაუწია, ტკივილები გაგრძელდა, სიცხემ კელავ აუწია. ცოტა იძინა. შარდი თუმცა ყოველთვის ჰქონდა წყალ-წყალა, მაგრამ კარგი ფერის. განავალი თხელი,

ნაღველნარევი, მწვავე, ცოტა, შავი ფერის და მყრალი. შარდის დანალექი რბილი, თეთრი. დაასხა ოფლი. საბოლოოდ განიკურნა XI დღეს.

III წიგნი.
პირველი ნაწილი.

I. პითიონს, რომელიც გეას ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა, ხელები აუცახცახდა. პირველსავე დღეს მისცა მაღალი სიცხე, დააწყებინა ბოდვა. II დღეს ყველაფერი გაუუარესდა. III დღეს იგივე მდგომარეობა. IV დღეს გამოყო ციტა, შეურეველი და ნაღველისფერი განავალი. V დღეს ყველაფერი კვლავ გაუუარესდა, თუმცა ცოტა იძინა და კუჭი შეეკრა. VI დღეს სხვადასხვაგვარი, მოწითალო განავალი. VII დღეს სახე მოეღრიცა. VIII დღეს კვლავ გაუარესდა ყველაფერი, კანკალი გაგრძელდა. შარდი დასაწყისიდან VIII დღემდე ჰქონდა თხელი, უფერული, რაღაც ღრუბლისმაგვარი მინარევებით. X დღეს ოფლი დაასხა, თითქოს მომწიფებული და თხელი. კრიზისი. კრიზისის დროს შარდი თხელი. კრიზისის მერე, მეორმოცე დღეს, საჯდომზე ჩირქგროვები გაუჩნდა და დაეწყო სტრანგურიული შეკავებები.

II. ერმოკრატეს, რომელიც ახალ კედელთან ცხოვრობდა, სიცხე მისცა. დაეწყო თავისა და წელის ტკივილი. ნეკნებქვეშეთი დაეძაბა შესიების გარეშე. ენა თავიდანვე ჰქონდა დათუთქულივით. უმალ დაყრუვდა, არ ეძინა, ცოტა მოწყურდა. შარდი ბლანტი, წითელი, რომელიც არ ილექებოდა, გამოყო არც თუ ცოტა დამწვარივით განავალი. V დღეს მოშარდა წყწლ-წყალა, თავზე მონაღებით, რომელიც არ ილექებოდა. ღამით ბოდვები. VI დღეს დაემართა სიყვითლე, ყველაფერი გამწვავდა, გონებაზე არ იყო. VII დღე მძიმე. შარდი თხელი, წინა დღის მსგავსი და მომდევნო დღეებშიც ასეთივე შენარჩუნდა. XI დღეს ყველაფერი შემსუბუქებული ჩანდა, მერე კი კომა, შარდავდა უფერი ბლანტს, მოწითალოს, რაც ზევით იყო სქელი, დაბლა კი თხელი, არ

ილექებოდა. მერე ნელ-ნელა გონს მოეგო. XIV დღეს სიცხემ გაუარა, აღარც ოფლს ასხამდა, იძინა, სრულ გონებაზე მოვიდა, შარდი წინა დღეების მსგავსი. XVII დღეს ავადმყოფობა შეუბრუნდა, სიცხემ აუწია. მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა მაღალი სიცხე. შარდი თხელი. ჰალუცინაციები. XX დღისთვის კვლავ კრიზისი, სიცხემ გაუარა, აღარ ოფლიანობდა. დიდხანს მადა არ ჰქონდა. სრულ გონებაზე მოვიდა, თუმცა საუბარი არ შეეძლო, ენა გამშრალი ჰქონდა, თუმცა არ სწყუროდა. ცოტა წაიძინა, მერე კომაში ჩავარდა. 24-ე დღეს ჩაახურა, განავალი ჰქონდა წყლიანი და თხელი, ბევრი. მომდევნო დღეებშიც მაღალი სიცხე. ენა თითქოს დათუთქული. 27-ე დღეს გარდაიცვალა. მას სიყრუვე ახლდა მთელი ავადმყოფობის განმავლობაში, შარდი ჰქინდა ბლანტი და წითელი, რომელიც არ ილექებოდა, ან თხელი და უფერული, რომელსაც თავზე მოღებულო ჰქონდა რაღაც ლაქისმაგვარი. ჭამა არ შეეძლო.

III. დელეარკოსის ბაღში მწოლარე ვინმე კაცს დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა თავის სიმძიმე და სტკიოდა მარჯვენა საფეთქელი. ამის გამო სიცხე მისცა და ჩაწვა. II დღეს მარცხენა ნესტოდან ცოტა წმინდა სისხლი წამოუვიდა. განავალი ნორმალური ჰქონდა, შარდი — თხელი, სხვადასხვაფერი, მცირე ზომის, ქერის ბურღულის ან სპერმის მსგავსი მოცურაევ ლაქებით. III დღეს მაღალი სიცხე, განავალი შავი, თხელი, ქაფიანი, მოლურჯო ფერის დანალექით. ეძინა მძიმედ, ადგომისას თავს მოუსვენრად გრძნობდა, შარდში მოლურჯო, თითქოს წებოვანი დანალექი. IV დღეს აღებინა ნაღველოვანი, ყვითელი, ცოტა, მერე ჟანგისფერი. მარცხენა ნესტოდან წამოუვიდა მცირეოდენი წმინდა სისხლი. განავალი და შარდი იგივე, თავზე და ლავიწებში ოფლი დაასხა. ელენთა დაუსივდა და ასტკივდა შესაბამისი თეძო. მარჯვენა ნეკნებქვეშ, ქვემო მუცელთან მცირე დაძაბულობა. ღამით არ ეძინა, ცოტას ბოდავდა. V დღეს განავალი უფრო მეტი, შავი, ქაფიანი, შავი დანალექით. მთელი ღამე არ ძინებია,

ბოდავდა. VI დღეს განავალი შავი, ცხიმიანი, წებოვანი, მყრალი. ცოტა იძინა, ცოტა გონზეც მოვიდა. VII დღეს ცოტა ენა გაუშრა, მოწყურდა, არ ეძინა, ბოდავდა. შარდი თხელი, არაკარგი ფერის. VIII დღეს განავალი მკვრივი, ცოტა და შავი. იძინა, გონს მოეგო, ცოტა მოწყურდა. IX დღეს ჩაამცივნა, მერე მაღალი სიცხე მისცა, დაასხა ოფლი, კვლავ ჩაამცივნა, ბოდავდა, მარჯვენა თვალი დაებრიცა, ენა გაუშრა, მოწყურდა, არ ეძინა. X დღეს ყველაფერი ასევე. XI დღეს სრულიად დაუბრუნდა გონება, სიცხემ გაუარა, იძინა. კრიზისის წინ თხელი შარდი. ორი დღე უსიცხოდ გაატარა. ავადმყოფობა შეუბრუნდა XIV დღეს, ამის მერე ღამით არ ეძინა, ბევრს ბოდავდა. XV დღეს შარდი ამღვრეული, ისეთი, რომ გაანჯღრევენ ხოლმე დგომის შემდეგ. კვლავ მაღალი სიცხე, ბევრი იბოდა, არ ეძინა, სტკიოდა მუხლები და ნაკუთალები. სანთლების გაკეთების შემდეგ გამოყო შავი განავალი. XVI დღეს შარდი თხელი, რაღაც ღრუბლისმსგავსი ლაქებით. იბოდა. XVII დღეს დილაადრიან დაუცივდა კიდურები, შეფუთნეს, კვლავ მაღალი სიცხე, მთელ ტანზე ოფლი დაასხა, მერე ცოტა მომჯობინდა, გონზე სრულად მოვიდა, სიცხემ არ დაუკლო. მოწყურდა, აღებინა ცოტა, ნაღველნარევი, ყვითელი. კუჭში კარგად გავიდა, მაგრამ ჰქონდა შავი, წვრილ-წვრილი განავალი. შარდი თხელი, არაკარგი ფერის. XVIII დღეს გონებაზე ვერ მოვიდა. კომა. XIX დღეს იგივე მდგომარეობა. XX დღეს იძინა, სრულ გონებაზე მოვიდა, დაასხა უსიცხო ოფლი, არ მოწყურებია, შარდი თხელი. XXI დღეს ცოტას ბოდავდა, ცოტა მოწყურდა, მარჯვენა ნეკნებქვეშ ატკივდა და დაეწყო გამუდმებული პულსაცია ჭიპის არეში. XXIV დღეს შარდი დანალექით. სრულ გონებაზე მოვიდა. XXVII დღეს ტკივილები მარჯვენა თეძოში, სხვა მხრივ კი ყველაფერი გაუმჯობესდა. შარდი დანალექით. XXIX დღეს ატკივდა მარჯვენა თვალი. შარდი თხელი. მე-40 დღეს ლორწოვანი, თეთრი, საკმაოდ სუფთა განავალი, საერთო ძლიერი ოფლიანობა. საბოლოოდ განიკურნა.

IV. კუნძულ თასოსზე მცხოვრებ ფილისტეს თავი სტკიოდა დიდი ხნის განმავლობაში დროდადრო ძილქუში იპყრობდა და შემდეგ ჩაწვა. ბევრი სმისა და მაღალი სიცხის შემდეგ სენი გამწყაედა. თავიდან სიცხე მისცა ღამით. I დღეს აღებინა ჯერ ნაღველნარევი, ცოტა და ყვითელი, შემდეგ კი – ყანგისისფერი. განავალი მკვრივი, ღამე მოუსვენარი. II დღეს დაყრუედა, მისცა მაღალი სიცხე, მარჯვენა ნეკნებქვეშ დაეძაბა, რაც შიგნით ეზიდებოდა. შარდი ცოტა, თხელი, გამჭვირვალე, სპერმისმაგვარი, ღრუბლისფერი დანალექით. შუადღისას დაეწყო აგრესიული ჰალუცინაციები. III დღე მოუსვენარი. IV დღეს კრუნჩხვები, ყველაფერი გაუარესდა. V დღეს, განთიადისას, გარდაიცვალა.

V. ხარიონს, რომელიც იწვა დემაინეტესთან, ბევრი სმის გამო სიცხე მიცა. შემდეგ თავის დამძიმება და ტკივილი შეიგრძნო. ვერ იძინებდა, კუჭი აშლილი ჰქონდა და გამოყოფდა თხელსა და მონაღვლისფეროს. III დღეს მისცა მაღალი სიცხე, დაეწყო თავის კანკალი, განსაკუთრებით უცახცახებდა ქვედა ბაგეები. მალე, ჩამციენების შემდეგ, დაეწყო კრუნჩხვები, ბევრს ბოდავდა. ღამე ჰქონდა მოუსვენარი. IV დღეს დამშვიდდა, ციტა წაიძინა, ალაპარაკდა. V დღე იყო ძალიან ძნელი, ყველაფერი გართულდა, არეული ბოდვები. ღამე მოუსვენარი, ვერ იძინებდა. VI დღეს იგივე მდგომარეობა. VII დღეს ჩაამცივნა, მერე მისცა მაღალი სიცხე, მთელ სხეულზე ოფლი დაასხა. კრიზისი. განავალი მთელი ამ დროის განმავლობაში იყო ნაღველნარევი, არც ისე ბევრი, შეურეველი, შარდი თხელი, არც თუ კარგი ფერის, ღრუბლისმაგვარლაქებიანი. VIII დღეს შარდი უკეთესი ფერის, ცოტაიდენი, თეთრი დანალექით. სიცხემ გაუარა, გონებაზე მოვიდა. IX დღეს ინტერმისია. XIV დღეს კვლავ მაღალი სიცხე. XVI დღეს აღებინებდა ხშირ-ხშირად ნაღველნარევს და ყვითელს. XVII დღეს ჩაამცივნა, მერე მისცა მაღალი სიცხე, დაასხა ოფლი, მერე სიცხემ დაუკლო. კრიზისი. შარდი შებრუნებისა და გარდატეხვის შემდეგ კარგი ფერის და დანალექიანი. შებრუნების შემდეგ ჰალუცინაციური მოვლე-

ნები აღარ ჰქონია. XVIII დღეს ცოტა ჩაახურვა, ცოტაც მოწყურდა. შარდი ჰქონდა თხელი, ღრუბლისმაგვარი მოტიეტიეე ლაქებით. ცოტა იბოდა. XIX დღეს სიცხემ გაუარა, ასტკივდა კისერი, შარდი ჰქონდა ნალექიანი. საბოლოოდ განიკურნა XX დღეს.

VI. ევრიანაქტის ქალიშვილს, ქალწულს, მისცა სიცხე. მთელი ავადმყოფობის განმაელობაში არც მოწყურებია და არც მადა ჰქონდა. განავალი მცირეოდენი, შარდიც ცოტა, წყალ-წყალა, არ თუ კარგი ფერის, სიცხის მიცემისას ტკივილი იგრძნო საჯდომზე. VI დღეს სიცხემ გაუარა, არც ოფლი ჰქონდა, კრიზისი. საჯდომზე გაუჩნდა ჩირქოვანი მუწუკები. კრიზისის დროს მუწუკებიდან ჩირქი წამოუვიდა. VII დღეს, კრიზისის შემდეგ, ჩაამცივნა, შემდეგ ცოტა გათბა, დაასხა ოფლი, შემდეგ კი კიდურები გამუდმებით ცივი ჰქონდა. X დღისათვის, ოფლიანობის შემდეგ, ბოდვები დაიწყო და მალევე გონს მოეგო. ამბობდნენ, რომ ეს ყურძნის მტევნის შეჭამამ გამოიწვია. შუალედის შემდეგ, XII დღეს, ძალიან ბევრი იბოდა, კუჭი აეშალა; განავალი ყვითელი,შეურეველი, თხელი, მწვავე. ხშირ-ხშირად დგებოდა. ბოლო ბოდვების შემდეგ VII დღეს გარდაიცვალა. ავადმყოფობის დაწყებამდე აწუხებდა ყელის ტკივილი, ყელი გამუდმებით წითელი ჰქონდა, ნაქი უკან ჰქონდა გადახრილი, გამოყოფდა ბევრ, თხელ და მწვავე გამონადენს, ახველებდა, მაგრამ ვერაფერს იღებდა, მთელი ავადმყიფობის განმაელობაში არ ღებულობდა არავითარ საკვებს და არც ჰქონდა ამისი სურვილი. არც წყურვილის სურვილი ჰქონდა და არც სვამდა რაიმეს იმდენს, სათქმელად რომ ღირდეს. გამუდმებით დუმდა, არაფერს ამბობდა, თავს დათრგუნულად გრძნობდა, იყო სასოწარკვეთილი, ემჩნეოდა თანდაყოლილი ჭლექის ნიშნები.

VII. არისტიონთან მცხოვრებ ქალს შეეყარა ანგინა. თავიდან იგი დაეწყო ხმის ჩახლეჩით. ენა გაუწითლდა, გაუშრა. პირველსავე დღეს ჯერ ჩაამცივნა, მერე ჩაახურვა. III დღეს დააწყებინა კანკალი, შემდეგ მისცა მაღალი სიცხე, გაუჩნდა

მაგარი და მოწითალო სიმსივნე კისრისა და მკერდის ორივე მხარეს, კიდურები დაუცივდა და დაულურჯდა, სუნთქვა ზედაპირული, სასმელი ნესტიებიდან გამოსდიოდა, ყლაპვა არ შეეძლო, კუჭის მოქმედება და შარდვა შეუწყდა. VI დღეს გარდაიცვალა.

VIII. ახალგაზრდა კაცს, რომელიც ცრუების მოედანზე ცხოვრობდა, მძიმე და გამუდმებული შრომის, დაღლილობის და უჩვეულო სირბილის შემდეგ მისცა სიცხე. პირველ დღესვე აეშალა კუჭი. განავალი ნაღველმინარევი, თხელი, ბევრი; შარდი წყალწყალა, მოშავო ფერის; არ ეძინა, ძლიერ მოწყურდა. II დღეს ყველაფერი გაუარესდა, განავალი უხვი და არადროული, არ ეძინა, გაღიზიანდა, დაასხა მცირე ოფლი. III დღე მოუსვენარი, ძლიერი წყურვილი, გულისრევა, ძლიერი მოუსვენრობა, დარდი, ბოდვები, კიდურები დაუცივდა და დაულურჯდა. ნეკნების ქვეშ ორივე მხრიდან დაძაბულობა შეციების გარეშე. IV დღეს ვერ იძინა, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა; VII დღეს გარდაიცვალა. იყო სულ რაღაც ოც წლამდე.

IX. ქალს, რომელიც იწვა ტეისამენოსთან, უცებ დაეწყო ნაწლავის გაუვალობის ნიშნები: ხშირი ღებინება, სასმელს ვერ იკავებდა ორგანიზმში, ატკივდა ნეკნებქვეშ, დაეწყო ტკივილები და გამუდმებული სერვები ქვემო მუცელში, წყურვილს არ განიცდიდა, მისცა მაღალი სიცხე, კიდურები მთლიანად დაუცივდა; კვლავ ღებინება, უძილობა, შარდი მცირე და წყალ-წყალა; განავალი მოუნელებელი, თხელი, ცოტა; ვერაფრით ეუშველეთ, გარდაიცვალა.

X. პანტიმედეს სახლის ქალთაგან ერთ-ერთს აბორტის შემდეგ პირველსავე დღეს სიცხე მისცა, ენა გაუშრა, მოწყურდა, აღებინა, ვერ დაიძინა, კუჭი აეშალა, განავალი თხელი, ბევრი, მოუნელებელი. II დღეს ჯერ ჩაამცივნა და მერე მაღალი სიცხე მისცა; უხვი განავალი, არ ეძინა. III დღეს ტკივილები გაძლიერდა. IV დღეს ბოდავდა. VII დღეს გარდაიცვალა. კუჭი დაუსუსტდა ბევრი, თხელი, მოუნელებელი

განაელის გამოყოფის გამო. შარდი ჰქონდა ცოტა და წყალ-წყალა.

XI. მეორე ქალს, ჰიკეტოსის მეუღლეს აბორტის შემდეგ V თვეს მისცა სიცხე. თავიდან ძილქუში, შემდეგ კი – უძილობა. ასტკივდა წელი, დაუმძიმდა თავი. II დღეს აეშალა კუჭი; თავიდან ჰქონდა მცირე, თხელი და წმინდა განავალი, III დღეს კი – უფრო მეტი, უარესი; ღამით არ ეძინა. IV დღეს იბოდა, ეშინოდა, დეპრესია, დაებრიცა მარჯვენა თვალი, თავზე დაასხა მცირე ცივი ოფლი, დაუცივდა კიდურები. V დღეს ყველაფერი გაუარესდა, ბევრი იბოდა და მერე კვლავ გონს მოეგო, არ ჰქონდა წყურვილის გრძნობა, არ ეძინა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოყოფდა ბევრ, მოუნელებელ განავალს; შარდი ცოტა, თხელი, მოშავო ფერის; კიდურები დაუცივდა, დაულურჯდა. VI დღეს იგივე მდგომარეობა. VII დღეს გარდაიცვალა.

XII. ქალს, რომელიც ცრუების მოედანზე ცხოვრობდა, პირველ ვაჟზე ძნელი მშობიარობის შემდეგ სიცხე მისცა. თავიდან დაეწყო ძლიერი წყურვილი, ღებინებით, გულის ყრუ ტკივილით. ენა ცოტა გაუშრა, კუჭი აეშალა, განავალი ცოტა და თხელი, არ ეძინა. II დღეს ცოტა ჩაამცივნა, მერე მაღალი სიცხე მისცა, თავზე მცირეოდენი ცივი ოფლი დაასხა. III დღეს მდგომარეობა დამძიმდა, გამოყო უხვი, მოუნელებელი, თხელი განავალი. IV დღეს ააკანკალა, ყველაფერი გამწვავდა, არ ეძინა. V დღესაც მძიმე მდგომარეობა.VI დღეს იგივე. VII დღეს ჩაამცივნა, მერე მისცა მაღალი სიცხე, ძლიერ მოწყურდა, ვერ ისვენებდა; საღამოს ცივი ოფლი დაასხა მთლიანად, მერე ჩაამცივნა, ცივი კიდურები აღარ უთბებოდა; მთელი ღამის განმავლობაში კვლავ სიცივე, კიდურები კვლავაც ვერ გაუთბეს, არ ეძინა; ცოტა იბოდა და მალევე გონზე მოვიდა. VIII დღეს, შუადღისას გათბა, მოწყურდა, კომატოზური მდგომარეობა, აღებინა, აღებინებდა ნაღველნარევს, ცოტას და მოყვითალოს; ღამე მოუსვენარი, არ ეძინა, გაეპარა ბევრი შარდი. IX დღეს ყველაფერი გაუმჯობესდა, კომატოზური მდგომარეობა, საღა-

მოს ცოტა ჩაამცივნა, აღებინა ცოტა და ნაღველნარევი. X დღეს კვლავ ჩაამცივნა, მერე სიცხემ აუწია, საერთოდ არ ძინებია, განთიადისას მოშარდა ბევრი, უდანალექო, კიდურები გაუთბა. XI დღეს აღებინა ნაღველნარევი, ყანგისფერი; ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ჩაამცივნა და კვლავ დაუცივდა კიდურები: საღამოს ოფლი დაასხა, ჩაამცივნა, აღებინა ბევრი; ღამე ძალიან ძნელი ჰქონდა. XII დღეს ამოაღებინა ბევრი, შავი ფერის, მყრალი, დააწყებინა ჩქარი სლოკინი, შემაწუხებლად ძლიერი წყურვილი. XIII დღეს აღებინა შავი ფერის, მყრალი, ბევრი; კვლავ ჩაამცივნა, შუადღისას ხმა ჩაუწყდა. XIX დღეს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. გარდაიცვალა. მთლიანი ავადმყოფობის განმავლობაში ჰქონდა თხელი განავალი, ურეოლა. იყო 17-ამდე წლის.

ამინდის დამასნეულებელი მდგომარეობა.
(კატასტასი)

II. სამხრეთული, წვიმიანი წელიწადი, მთელი წლის განმავლობაში ქარი თითქმის არ ყოფილა, უშუალოდ ამის წინ, დიდი გვალვები რომ იყო, არკტურის ამოსვლამდე დაიწყო დიდი წვიმები სამხრეთის ქართან ერთად. ბნელი, ღრუბლიანი შემოდგომა გამუდმებული წვიმებით. ზამთარი სამხრეთული ქარებით, ნესტიანი; ხოლო ნაბუნიობეეის შემდეგ– შედარებით რბილი. კარგა ხნის შემდეგ, დღე–ღამსწორობის მოახლოებისას თითქოს ზამთარი შემობრუნდა და, უკვე დღე-ღამსწორობისას დაიწყო ჩრდილოეთის ქარები თოვლთან ერთად, თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა. კვლავ სამხრეთული გაზაფხული უქაროდ; ხშირი, გადაუღებელი ძლიერი წვიმები ქოფაკის ვარსკვლავის ამოსვლამდე. ზაფხული ნათელი, ცხელი, სულისშემხუთველი სიცხეები, ეტესიები იშვიათად და არეულად ქროდნენ; შემდეგ კი, არკტურის ამოსვლის წინ, დაიწყო ხშირი წვიმები ბორეასთან ერთად. ჰოდა, როცა წელიწადი იყო სამხრეთული, სუსტი

და ნესტიანი ქარების თანხლებით, ხალხი, ჭლექიანების გარდა, თავს ჯანმრთელად გრძნობდა მთელი ზამთრის განმავლობაში, ჭლექიანებს შესახებ კი ქვემოთ წერია.

III. ადრე გაზაფხულზე, სიცივეების დადგომისთანავე ბევრს, ზოგს რაიმე მიზეზით, ზოგს კი უმიზეზოდ შეეყარა ძალიან ცუდი თვისებების წითელი ქარები და მრავალი დაიღუპა. ზოგს ყელი ასტკივდა, შეეცვალა ხმა. ზოგს სიცხე მისცა, ზოგს ფრენიტი დაეწყო, ზოგს აფთები გამოუვიდა პირის ღრუში, ზოგს – სიმსივნეები სასქესო ორგანოებში, ზოგს – თვალების ანთება, ზოგს–კარბუნკულები, აეშალათ კუჭი, დაეწყოთ ანორექსიები; ზოგს მძაფრი წყურვილი, ზოგს –პირიქით; შარდი ამღვრეული, უხვი, უვარგისი, მრავალს ჯერ ძილქუში და მერე უძილობა. ზოგს არ ჰქონია კრიზისი და ვისაც ჰქონდა, ძალიან მძიმედ გადაიტანა; წყალმანკები; მრავალი დაჭლექიანდა... აი, ასეთი იყო ეპიდემიურად გავრცელებული დაავადებები. ყველა ასეთი, ზემოთადწერილი ავადმყოფები იყვნენ მაშინ და მრავალი დაიხოცა. აი ნიშნებიც, რომლებიც შეემჩნეოდა თითოეულ მათგანს.

IV. უმეტესობას წითელი ქარები დაემართა მთელ ტანზე სრულიად უბრალო მიზეზის, ვთქვათ, სრულიად მცირე ჭრილობის შედეგად, განსაკუთრებით კი სამოციოდე წლის იმ ადამიანებს, რომელთაც პირველად თავზე გაუჩნდათ იგი და ამავე დროს არ მოუფრთხილდნენ მიყენებულ მცირეოდენ ჭრილობას. მრავალს თვით მკურნალობის დროს დაემართა ფლეგმონე და წითელი ქარი სწრაფად ერცელდებოდა ყოველი მიმართულებით. უმეტესობას ჩირქგროვები დაჩირქებებში გადაეზარდა. დიდი რაოდენობით ულპებოდათ და ცვიოდათ ქსოვილი, ძარღვები, ძვლები. წარმოქმნილი გამონადენი ჩირქსაც არ ჰგავდა, იყო რაღაც სხვაგვარი, უცნაური, ბევრი, სხვადასხვა ფერის. მათ, ვისაც თავზე დაემართა დაზიანება, მთელს თავსა და ნიკაპზე გაცვივდა თმა; იყო ძვლების გაშიშვლებისა და გამოცვენის შემთხვევებიც; უმეტესობას ჰქონდა ბევრი გამონადენი. ყოველივე ეს მიმდინარეობდა როგორც სიცხით, ისე უსიცხოდ. ეს შემთხ-

ვეები უცნაურები უფრო იყვნენ, ვიდრე საშიშები, რადგან ისინი, რომელთა ავადმყოფობა მიმდინარეობდა დაჩირქებებითა და სხვა ამგვარით, უმეტესად გადარჩნენ, ხოლო მათგან, რომელთაც ანთებამ და წითელმა ქარმა გაუარა და არ დაუტოვა არავითარი მსგავსი რამ ჩირქგროვა, უმეტესობა დაიხოცა. შემთხვევები ყოველთვის ერთნაირები იყვნენ, სხეულის რომელ ნაწილზეც არ უნდა ყოფილიყო ეს მოარული სენი. მრავალს ბეჭი და წინამხარი მთლიანად და ირგვლივ გაუშიშელდა. რომელთაც მკერდზე გაუჩნდათ იგი, მთლიანად დაუზიანა ან წინა, ან უკანა კედლები, სხვებს კი მთელი თეძო, მუხლი ან ტერფი მთლიანად გაუშიშელდა. მათ შორის ყველაზე ძნელები იყვნენ ისინი, რომლებიც გამოდიოდნენ ბოქვენზე და სასირცხვო ადგილებში. ასეთი იყვნენ წითელი ქარები, რომლებიც გამოვლინდნენ ჭრილობების გარშემო რაღაც შემთხვევითი მიზეზების გამო. მრავალს იგი გამოაჩნდა რიგორც სიცხის დროს, ისე სიცხემდე და ისე სიცხის შემდეგ. ისიც მოხდა, რომ, რომელთაც ჩირქგროვები და ჩირქოვანები გაუჩნდათ კუჭის დროული მოქმედების დროს, რომლებიც ჩვეულებრივ გადიოდნენ შარდზეც, პრაქტიკულად ამით განიკურნენ, ხოლო ისინი, რომელთა შემთხვევაშიც არ ყოფილა რაიმე ასეთი და რომელთაც ყოველივემ რაიმე შესამჩნევი ნიშნის გარეშე გაუარა, დაიღუპნენ. ეს წითელი ქარები განსაკუთრებით მძვინვარებდნენ გაზაფხულზე, თუმცა გაგრძელდნენ ზაფხულშიც და თვით შემოდგომამდეც კი.

V. მრავალგვარი ტკივილები გამოიწვია რაღაც შესიებებმა ყელში, ენის ანთებამ და ჩირქოვანმა მუწუკებმა ღრძილებზე. მრავალს ხმა რაღაც საშინელი, წყვეტილი და ცვალებადი გაუხდა. თავიდან ეს ჭლექიანებს დაემართათ, შემდეგ კი ცხელებიანებსა და ფრენიტიანებსაც.

VI. ცხელებები და ფრენიტები ადრე გაზაფხულზე დაეწყოთ სიციევების გამო და მაშინ ძალიან ბევრი დაავადდა. ამავე დროს იყო მწვავე და სასიკვდილო მინიშნებებიც.

წარმო'მობილ ცხელებათა საერთო ნიშნები იყო ასეთი: დასაწყისშივე კომა, ღებინება, კანკალი, მაღალი სიცხე, არც ისე ძლიერი წყურვილი, არავითარი ბოდვა, ნესტოებიდან მცირეოდენი სისხლი წამოუვიდათ. წყვილ დღეებში უმეტესობას ჰქონდა პაროქსიზმები. პაროქსიზმების დროს კარგავდნენ მეხსიერებას, ჰქონდათ საერთო სისუსტე, დაკარგეს ხმა; პაროქსიზმის მოახლოებისას გამუდმებით გაყინული კიდურები კიდევ უფრო უციოდებოდათ. შემდეგ ნელნელა შეთბნენ, თუმცა უსიამოვნოდ, კვლავ გონს მოეგნენ და ალაპარაკდნენ; ისინი ან ძლიერ, მაგრამ უძილო კომაში იყვნენ, ან საერთოდ ვერ იძინებდნენ ტკივილების გამო. მათგან უმრავლესობას კუჭი ჰქონდა აშლილი, გამოყოფდა მოუნელებელ, თხელსა და ბევრ განავალს; შარდიც ბევრი, თხელი, რომელიც არც რაიმე კრიტიკულს მოასწავებდა და არც რაიმე სასიკეთოს. □მათ, როგორც დაავადებულებს, არ გამოჩენიათ აგრეთვე არავითარი რაიმე კრიტიკული მოვლენა, არც რამ ცხვირიდან კარგი სისხლისდენა, არც რამ კრიტიკული პერიოდის მომასწავებელი ჩირქგროვები, რაიც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში.. ავადმყოფები ისე იხოცებოდნენ, ვისაც როგორ და როდის მოუწევდა, ყოველგვარი წესების გარეშე: ზოგი დიდი ხნის ხმის ჩაწყვეტის, ზოგი ძლიერი ოფლის შემდეგ... აი, ასეთი იყო სიკვდილის მომასწავებელი ნიშნები. იგივე დაემართათ ფრენიტით დაავადებულებს. ყოველივე ეს მიმდინარეობდა წყურვილის ყოველგვარი განცდის გარეშე. არცერთ მათგანს გონება არ დაუკარგავს, როგორც ეს სხვა შემთხვევებში შეიმჩნეოდა, მაგრამ ამასთანავე ისინი ჩაფლულნი იყვნენ რაღაც მოდუნებულ და საშინელ ლეთარგიაში, რის სიმძიმისა გამო დაიღუპნენ კიდეც.

VII. იყო სხვაგვარი სიცხეებიც, რომელთა შესახებ უკვე დაიწერა. მრავალს პირის ღრუში გაუჩნდა აფთები, წყლულები; სასირცხვო ორგანოებში ხშირი შეშუპებები, სიმსივნეები გარედანაც და შიგნიდანაც, შებერვები ფენთხებში, თვალების ხანგრძლივი, სველი და მტკივნეული ანთება,ქუთუთოების

შიგნით და გარეთ განუვითარდათ რაღაც ხორცოვანი სიმსივნეები, რასაც ფიგებს უწოდებენ (სიკოზი). სხვა ჭრილობებსა და სასირცხეო ადგილებშიც გაჩნდნენ აგრეთვე მრავალგვარი სიმსივნეები. ზაფხულში თავი იჩინა აგრეთვე მრავალმა კარბუნკულმა და სხვა, ეგრეთწოდებულმა სეპტიკურმა დაავადებამ. მრავალს გაუჩნდა დიდ-დიდი,გაფანტული, ბუშტუკებიანი ფუჭი გამონაყარი.

VIII. ბევრს დაემართა მრავალგვარი და სასიკვდილო კუჭისმხრივი შეტევები, თავიდან მრავალს ჰქონდა მტკივნეული ტენეზმები, განსაკუთრებით ბავშვებს და მათ, რომლებსაც მომწიფებული ასაკისათვის ჯერ ვერ მიეღწიათ. მათგან უმეტესობა დაიღუპა. მრავალს დაეწყო ფაღარათი და დისენტერია, რომელთა გამო არც ისე დიდ ტკივილს განიცდიდნენ. განავალი ჰქონდათ ნაღელოვანი, ცხიმიანი, თხელი და წყალ-წყალა. უმეტეს შემთხვევაში თვით ესენი ითვლებოდნენ დაავადებებად და მიმდინარეობდნენ როგორც უსიცხოდ, ისე სიცხეებით. ჰქონდათ მტკივნეული ჭვალები და სერვები ნაწლავებში. თუმცა ბევრი რამ ნივთიერება იყო ორგანიზმში შეფერხებული, მაგრამ მისი გამოდევნა არ ამსუბუქებდა ტკივილებს და ავადმყოფთათვის მიცემული სამკურნალო საშუალებები ძნელად თუ მოქმედებდნენ, უფრო სწორად, სასაქმებელი საშუალებები უმეტესობას კიდეც უძლიერებდა ტკივილებს. ისინი, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში იყვნენ, უმეტესობა მალე დაიხოცა, თუმცა საკმაოდ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მეტ ხანს გაძლეს. საბოლოოდ ყველანი, ისინიც, რომელთაც დიდ ხანს იავადმყოფეს და ისინიც, რომელთაც ხანმოკლე მწვავე დაავადებები ჰქონდათ, დაიხოცნენ კუჭისმხრივი გართულებების შედეგად, რამეთუ, სწორედ რომ კუჭმა დაღუპა ყველა ისინი.

IX. არა მხოლოდ ზემოთაღწერილ ავადმყოფთათვის, არამედ ამათთათვისაც და სხვებისათვისაც, რომელთა სიცოცხლესაც საშიშროება ემუქრებოდა, საერთო დამახიათებელი ნიშანი იყო უმადობა, რომლის მსგავსი მე არასოდეს შემხვედრია.

ზოგს აწუხებდა წყურვილი, ზოგს – არა. სიცხეებისა და სხვა დაავადებების დროსაც არცერთი ავადმყოფი არ გრძნობდა ძლიერ წყურვილს და შენ შეგეძლო მაშინ მიგეწოდებინა მათთვის სასმელი, როცა მოისურვებდი.

X. შარდი ჰქონდათ უხვი, იმასთან შედარებით ბევრად მეტი, რასაც სასმელს ღებულობდნენ, ამასთანავე მასში ბევრი იყო რაღაც უვარგისი, მას არც კონსტიტენციურობა ჰქონდა და არც მონელების ნიშნები, არც რამ სასარგებლო გამწმენდი მოქმედება. საერთოდ, შარდის გამწმენდი მოქმედება, რომელიც ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას, კარგის მაუწყებელია; აქ კი იგი მიუთითებდა დაუძლურებაზე, გაღიზიანებაზე, განცდებსა და გარდატეხის ნიშნების არარსებობაზე.

XI. ცხელებებს, ფრენიტებს და ყველა სხვა სახის დაავადებებს ჩვეულებრივ თან ახლდა ძილქუში. საერთოდ ყველას ან ჰქონდა ღრმა, ძლიერი ძილქუში, ანდა ხანმოკლე, მსუბუქი ძილი.

XII. სხვა მრავალგვარი ეპიდემიური ციებ-ცხელებებიც მძვინვარებდნენ მაშინ: სამდღიანები, ოთხდღიანები, ერთღამიანები, განუწყვეტლები, ხანგრძლივნი, მოარულნი, ღებინებითნი, უწესრიგონი. ყველა მათგანს თან ახლდა ძლიერი გამწვავებები; ავადმყოფთა უმრავლესობას კუჭი ჰქონდა აშლილი, აკანკალებდა, არაკრიზისის მომასწავებელი ოფლიანობა; შარდი ისეთივე, როგორიც აღწერილია ზემოთ. უმრავლესობას დაავადება იმიტომ გაუგრძელდა, რომ ჩირქგროვები, რომლებიც მათ გაუჩნდათ, არ იწვევდნენ სრული განკურნებისაკენ შემობრუნებას ისე, როგორც ეს ხდება ხოლმე სხვა შემთხვევებში. ყველა დაავადებას ახასიათებს კრიზისის სიმძიმეც, უქონლობაც, ხანგრძლივობაც, მაგრამ ყოველივე ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ამ დაავადებების დროს. ამათგან უმეტესობას კრიზისი ჰქონდა მე-80 დღეს. ბევრს დაავადება ისე უმთავრდებოდა, როგორც შეემთხვეოდა. ზოგიერთები ჩაუწოლლადაც დაიხოცნენ წყალმანკებით. ისევე, როგორც სხვა დაავადებების დროს, მრავალი

ავადმყოფი იტანჯებოდა შეშუპებული სიმსივნეებით, განსაკუთრებით კი ჭლექიანები.

XIII. უდიდესი, უმძიმესი და ყველაზე მეტი ადამიანის მომაკვდინებელია ჭლექი. მრავალს ავადმყოფობა დაეწყო ზამთარში და ზოგი მათგანი ჩაწვა, ზოგმა კი ფეხზე გადაიტანა. რომლებიც ჩაწვნენ, მათგან უმრავლესობა ადრე გაზაფხულზეე დაიხოცა. რაც შეეხება სხვებს, ხველება არავის არასდროს შეჩერებია, ხოლო ზაფხულში ოდნავ შეუმსუბუქდათ, მაგრამ შემოდგომაზე ყველანი ჩაწვნენ და მათგან მრავალი დაიხოცა. მათი უმრავლესობა ხანგრძლივად ავადმყოფობდა. მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესება უმეტესობას გამოეხატებოდა შემდეგი ნიშნებით: ხშირი ჩამციენება, ბევრ შემთხვევაში განუწყვეტელი მაღალი სიცხე, არადროული, ძლიერი და ციები ოფლი ბოლომდე. ხშირად აციებდათ და მერე ძლივძლივობით კვლავ თბებოდნენ. კუჭნაწლავი დროდადრო ხან შეეკვრებოდათ, ხანაც თითქმის წყალზე გადიოდნენ. აღსასრულის წინ ყველას ჰქონდა ძლიერი ფაღარათი. რაც შეეხება ფილტვებს, ყველაფერზე საუბარია ქვემოთ.

ჰქონდათ უხვი, წყალ-წყალა შარდი, რომლის გამოყოფასაც არ მოჰქონდა არავითარი სარგებელი. ახველებდნენ ბოლომდე, გაბმულად და შეუჩერებლად უხვი ამონახველით, ნახველი იყო თხელი და გადახარშული, იწვევდა მცირეოდენ ტკივილებსაც და თუმცა წვალობდნენ ავადმყოფები, ფილტვების ამოწმენდა მაინც ძალიან ადვილად ხდებოდა. ყელი არც თუ ისე გაღიზიანებული ჰქონდათ და მარილიანი ლორწო არც თუ ისე შემაწუხებელი იყო. თავზე ჩამოედინებოდდათ რაღაც წებოვანი, თეთრი, თხელი, ქაფიანი, ბევრი ნივთიერება.. ყვალაზე დიდი უბედურება, რომელიც არ ეშვებოდა არც ამ და არც სხვა ავადმყოფებს, იყო უმადობა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, რადგან არ ჰქონდათ არავითარი ჭამისა და სმის სურვილი. განსაკუთრებით წყურვილის გრძნობა საერთოდ არ ჰქონდათ. მთელ სხეულში გრძნობდნენ სიმძიმეს. მერე ძილქუში. მრავალს ჰქონდა შეშუპებები, რომლებიც

შემდეგ წყალმანკებად იქცეოდნენ ხოლმე. ბევრს ჰქონდა ჩამციენებები და ცახ-ცახი, სიკვდილის წინ კი – ბოდვები.

XIV. ჭლექი მძვინვარებდა უთმოებზე, მოთეთროებზე, ფერმკრთალებზე, მოწითურებზე, ნათელთვალებიანებზე, ლეეკოფლეგმატიკებზე, ფრთისმაგვარმხრიანებზე, ქალებზე. რაც შეეხება მელანქოლიკებსა და სისხლჭარბებს, მათ ჰქონდათ მაღალი სიცხეები, ფრენიტები და დისენტერიები. ახალგაზრდა ფლეგმატიკი გოგონები ტენიზმით იყვნენ დაავადებულები და ჰქონდათ ნაღველნარევი, ხანგრძლივი ფაღარათი მწვავე და ცხიმიანი განავლით.

XV. აღწერილ დაავადებათათვის ყველაზე უფრო საბედისწერო იყო გაზაფხული და ამ დროს ბევრი დაიღუპა. ზაფხული შედარებით კარგი იყო და მხოლოდ მცირეოდენი დაიღუპა. შემოდგომასა და პლეიადების დროს, უმეტესად მეოთხე დღეს, კვლავ მრავალი დაიღუპა.

ეფიქრობ, რომ გამოჯანმრთელება, რომელიც მოხდა ზაფხულში, შეესაბამება აზრს, რომ ზამთარი განკურნავს ზაფხულის დაავადებას, ხოლო ზაფხული – ზამთრისას, თუმცა ამ წლის ზაფხული არ იყო ჩვეულებრივი, იყო შეუფერებლად თბილი, სამხრეთული და უქარო, თუმცა მისმა ცვალებადობამ საპირისპიროდ, სარგებლობაც კი მოიტანა.

XVI. მე უდიდეს ხელოვნებად მიმაჩნია ის, რომ სწორად გაიაზრო და შეაფასო ყოველივე, რაც აქ წერია. ვისაც აქვს ეს ნიჭი და შეუძლია იმით სარგებლობა, მგონი არ დაუშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს საექიმო ხელოვნებაში. უნდა შეეძლოთ წელიწადის ყოველი დროისა და ამინდის მდგომარეობის, თითოეული დაავადების შემეცნება, თუ რაა სასარგებლო ამა თუ იმ ამინდსა და დაავადებაში; რაა საზიანო ამა თუ იმ ამინდსა და დაავადებაში; რომელი დაავადებაა ხანგრძლივი და სასიკვდილო, რომელი ხანგრძლივი, მაგრამ არასასიკვდილო; რომელი დაავადებაა მწვავე და სასიკვდილო, რომელი მწვავე, მაგრამ არასასიკვდილო. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია დავადგინოთ კრიტიკული დღეების რიგი და აქედან გავაკეთოთ პროგნოზიც. როცა ყველაფერი

ეს ვიცით, ვიცით ისიც, თუ რომელ ავადმყოფს როდის და როგორი დიეტა უნდა დავუნიშნოთ.

16 ავადმყოფი.

I. კუნძულ თასოსზე ვინმე პაროსელს, რომელიც არტემიდეს ტაძრის ზემოთ ცხოვრობდა, მისცა მაღალი სიცხე, თავიდან გაუნელებელი, მწველი. დაეწყო ძლიერი წყურვილი, ჯერ ძილქუში, შემდეგ კი უძილობა. აეშალა კუჭი, შარდი ჰქონდა წყალ-წყალა; VI დღეს მოშარდა ცხიმიანი. ბოდავდა. VII დღეს ყველაფერი გაუუარესდა, საერთოდ არ ეძინა, შარდი ისეთივე, გონება აერია, განავალი ნაღველნარევი და წებოვანი. VIII დღეს ცხვირიდან მცირეოდენი სისხლი წამოუვიდა, აღებინა რაღაც ჟანგისფერი, ცოტა წაიძინა. IX დღეს იგივე მდგომარეობა. X დღეს ყველაფერი გაუმჯობესდა. XI დღეს საერთო ოფლიანობა, ჯერ ჩაამციენა და მერე კვლავ გათბა. XIV დღეს კვლავ მაღალი სიცხე, უხვი, თხელი, ნაღველნარევი განავალი, შარდში რაღაცები დაცურავდნენ, ბოდავდა. XVII დღე ძნელი ჰქონდა, ვერ იძინებდა, სიცხემ აუწია. XX დღეს საერთო ოფლიანობა უსიცხოდ (უძილოდ)? განავალი ნაღველნარევი. უმადობა. ძილქუში. XXIV დღეს სიცხე შეუბრუნდა, XXXIV დღეს კი გაუარა, თუმცა კუჭი არ შეეკრა და მალე კვლავ სიცხე მისცა. მე-40 დღეს კუჭი ცოტა ხნით შეეკრა, სიცხემ დაუწია, მადა არ ჰქონდა. მალე სიცხემ კვლავ აუწია და, სიცხე საერთოდ ჰქონდა ცვალებადი: ამ წუთს ჰქონდა, მეორე წუთს – არა. თითქოს იყო რაღაც შუალედები და შემსუბუქება და უცებ კვლავ მაღალ სიცხეს აძლევდა. ჭამდა ცოტას და უგემურად, ცუდად ეძინა, რეციდივის დროს აბოდებდა. შარდი ჰქონდა ბლანტი; შარდავდა უნებლიედ, უდროოდ და მტკივნეულად. კუჭი ხან შეეკვრებოდა, ხან აეშლებოდა. სიცხე არ უნელდებოდა; განავალი უხვი და თხელი. 120-ე დღეს გარდაიცვალა. ამ ავადმყოფს პირველივე დღეებიდან ბოლომდე კუჭი ან აშლილი ჰქონდა, განავალი კი უხვი, ნაღველოვანი და თხელი, ანდა,

თუ კუჭი შეეკერებოდა, განავალი თითქის დამწვარი იყო და მოუნელებელი. შარდი ბოლომდე ცუდი ჰქონდა; ხშირი ძილქუში, შემაწუხებელი,

მტანჯველი უძილობა, გამუდმებული უმადობა.

II. კუნძულ თასოსზე, ციკი წყაროს მახლობლად მცხოვრებ ქალს ქალიშვილის დაბადების შემდეგ სამშობიარო განწმენდა არ გამოუვიდა და მესამე დღეს მისცა მაღალი, ამაზრზენი სიცხე. მას მშობიარობამდეც ჰქონდა სიცხეები, იწვა და მადაც არ ჰქონდა, ხოლო ჩამციენების შემდეგ დაეწყო მაღალი სიცხეები. VIII და მომდევნო დღეებში საერთო ჰალუცინაციები და ხშირირი ნათელი შუალედები; კუჭი აშლილი ჰქონდა, განავალი თხელი, ბევრი, წყალ-ნაღველმინარევი. წყურვილის გრძნობა არ ჰქონდა. XI დღეს გონს მოეგო, თუმცა მალევე ძილქუშმა შეიპყრო. შარდი საკმაოდ ბევრი, შავი და წყალ-წყალა... კვლავ უძილობა. XX დღეს ცოტა ჩაამციენა და უმალვე გაცხელდა. ცოტა იბოდა, კვლავ უძილობა, განავალი და კუჭის მოქმედება ისეთიევ, შარდი ბევრი და წყალ-წყალა. XXVII დღეს აპირექსია, კუჭი შეეკრა. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვენა ფერდის ძლიერი და ხანგრძლივი ტკივილი. კვლავ მაღალი სიცხე, შარდი წყალ-წყალა. მე-40 დღეს ფერდის ტკივილი ცოტა შეუმსუბუქდა, მაგრამ დაეწყო განუწყვეტელი ხველება თხელი, უხვი ამონახველით, კუჭი შეეკრა, მადა არ ჰქონდა. შარდი ისეთივე, გაუნელებელი სიცხეები, გართულებებიც არ ჰქონდა წესისამებრ, ხან იყო, ხან – არა. მე-60 დღეს ხველება უცებ შეუწყდა. ამონახველში არ იყო არაფერი მომწიფებული, არავითარი ჩვეულებრივი ჩირქოვანები. მარჯვენა ლოყაზე დაეწყო კრუნჩხვითი მოვლენები. მერე ძილქუში, ჰალუცინაციები და კვლავ გონს მოეგო. საჭმელი ეზიზღებოდა; ლოყის კრუნჩხვები შეუმცირდა. განავალი ცოტა და ნაღველნარევი, სიცხემ კიდევ უფრო აუწია, მერე ჩაამციენა. შემდეგ დღეებში ხმა დაკარგა, მერე კი კვლავ ალაპარაკდა. მე-80 დღეს გარდაიცვალა. ბოლომდე იყო ძილქუშში, ეზიზღებოდა საჭმელი,

დაეცა სულიერად, არ ეძინა, ბობოქრობდა, ვერ ისვენებდა, გამუდმებული სევდა- მელანქოლია.

III. კუნძულ თასოსზე, ჰერკულესის ტაძრის ზემოთ მცხოვრებ პითეონს დიდი შრომის, გადაღლილობისა და დაუდევარი ცხოვრების ნირის გამო ჯერ საშინლად ჩაამცივნა და მერე მაღალი სიცხე მისცა. ცოტა ენა გაუშრა, ძლიერ მოწყურდა, ასტკივდა ნაღველი, ვერ დაიძინა, შარდი ჰქონდა მოშავო, რომელშიც რაღაცები ტივტივებდნენ და არ ილექებოდნენ. II დღეს, შუადღისას, დაუცივდა კიდურები, განსაკუთრებით ხელები და თავი, დაყრუვდა, დამუნჯდა. მთელი ამ დროის განმავლობაში სუნთქავდა მოკლე შუალედებით; შემდეგ გათბა, კვლავ ძლიერ მოწყურდა. ღამე მშვიდი ჰქონდა, თავზე მცირეოდენი ოფლი დაასხა. III დღეს მშვიდად იყო, მაგრამ საღამოს, მზის ჩასვლისას, კვლავ ცოტა ჩაამცივნა და აღებინა, ვერ ისვენებდა, ღამე მძიმე ჰქონდა, ვერ იძინებდა, გამოყო მცირეოდენი მკვრივი განავალი. IV დღის დილა მშვიდი იყო, შუადღისას კი ყველაფერი გამწვავდა; ჩაამცივნა, დაყრუვდა, დამუნჯდა, ყველაფერი გაუარესდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაცხელდა; შარდავდა შავს, მოტივტივე რაღაც ლაქებით. ღამე მშვიდად ეძინა. V დღეს უკეთესად გამოიყურებოდა, ოღონდ კუჭში გრძნობდა მტკივნეულ სიმძიმილს; ძლიერ მოწყურდა. ღამე ძალიან მძიმე ჰქონდა. VI დღის დილამ მშვიდად ჩაიარა, მაგრამ საღამოსთვის ტკივილები გაძლიერდნენ, ყველაფერი გაუარესდა. საღამოს, ოყნის გაკეთების შემდეგ კუჭში კარგად გავიდა, ღამით ეძინა. VII დღეს დღისით აღებინა, ცოტა მოუსვენრობა, შარდავდა ცხიმიანს, ღამე ჰქონდა ძალიან ძნელი, ბოდავდა, ვერ იძინებდა. VIII დღეს, დილით, ცოტა წაიძინა, მაგრამ მალევე ჩაამცივნა, დაეკარგა ხმა, სუნთქავდა მსუბუქად, გრძნობდა საერთო სისუსტეს. საღამოს კვლავ სიცხემ აუწია, ბოდავდა; განთიადისას ცოტა მოკეთდა, გამოყო ცოტაოდენი, წმინდა, ნაღველნარევი განავალი. IX დღეს ძილქუში; თუ გაიღვიძებდა, აღებინებდა. მოწყურდა. მზის ჩასვლისას მოუსვენრობა დაეწყო, ბოდავდა, ღამე მძიმე ჰქონდა. X დღეს, განთიადი-

სას, ხმა დაკარგა, ძლიერ ჩაამციენა, მერე კი მაღალი სიცხე მისცა, მთლიანად ოფლმა დაასხა. გარდაიცვალა. ყველაზე უფრო წვალობდა ლუწ დღეებში.

IV. ერთ-ერთ ფრენიტიანს, მწოლიარეს, პირველსავე დღეს დააწყებინა ძლიერი ღებინება, აღებინებდა თხელსა და ჟანგისფერს, ძლიერი, მოცახცახე ციებ-ცხელება. მთელ ტანზე ოფლმა დაასხა; თავსა და ყელში გრძნობდა მტკივნეულ სიმძიმეს; შარდი ჰქონდა წყალწყალა, პატარა, მოცურავე, გაფანტული რაღაცებით, რომლებიც არ ილექებოდნენ, გამოყოფდა რბილ, ბევრ განავალს, ბოდავდა, არ ეძინა. მეორე დღეს, განთიადისას, ხმა ჩაუწყდა, მისცა მაღალი სიცხე, დაასხა ოფლმა, აუკანკალდა მთელი სხეული, ღამით კრუნჩხვები. III დღეს ყველაფერი გაუუარესდა. IV დღეს გარდაიცვალა.

V. ლარისაში ერთმა მელოტმა კაცმა უეცრად ტკივილი იგრძნო მარჯვენა ფერდში. არცერთმა მიცემულმა წამალმა არაფერი უშველა. პირველსავე დღეს მისცა მაღალი, მწველი სიცხე, თუმცა იყო მშვიდად, ტკივილი კი არ უნელდებოდა. II დღეს ფერდში ტკივილმა უკლო, მაგრამ სიცხემ კიდევ უფრო აუწია. შფოთავდა, ვერ ისვენებდა; დაუციედა კიდურები; გამოყოფდა ბევრ, უვარგის შარდს. III დღეს ფერდის ტკივილმა გაუარა, მაგრამ ძალიან გაღიზიანდა და აირია, ღელავდა და შფოთავდა. IV დღეს, შუადღისას გარდაიცვალა.

VI. აბდერის მცხოვრებ პერიკლეს მისცა მაღალი, გაუნელებელი და მტკივნეული სიცხე. ძლიერ მოწყურდა, დამწუხრდა, ორგანიზმში სითხეს ვერ ინარჩუნებდა; ოდნავ გაეზარდა ელენთა და დაუმძიმდა თავი. პირველსავე დღეს მარცხენა ნესტოდან სისხლი წამოუვიდა, სიცხემ კი კიდევ უფრო აუწია. შარდავდა ბევრს, მღვრიეს, თეთრს... დაყენებისას არ ილექებოდა. II დღეს ყველაფერი გაუუარესდა, თუმცა შარდი, ჯერ კიდევ ბლანტი, კარგად ილექებოდა. სევდა შეუმსუბუქდა, ეძინა კიდეც. III დღეს სიცხემ დაუწია; შარდი ბევრი, კარგად მონელებული, ბევრი დანალექით.

ღამე მშვიდი ჰქონდა. IV დღეს, შუადღისას მთელ ტანზე ცხელი ოფლი დაასხა, სიცხემ გაუარა, კრიზისი. სიცხე აღარ მიუცია.

VII. აბდერაში, წმინდა ქუჩაზე მცხოვრებ ქალიშვილს მისცა მაღალი და მწველი სიცხე, დაეწყო ძლიერი წყურვილი და უძილობა; მენსტრუაცია პირველად დაეწყო. VI დღეს ძლიერ დასევდიანდა, გაწითლდა, მერე ჩაამცივნა, საშინლადდ მოიწყინა. VII დღეს იგივე მდგომარეობა, თუმცა შარდი ჰქონდა წყალ-წყალა, მაგრამ კარგი ფერის. კუჭის მხრივ არაფერი აწუხებდა. VIII დღეს დაყრუვდა, მისცა მაღალი სიცხე, არ ეძინა, ჩაამცივნა, აღებინა. გონებაზე იყო. შარდი ისეთივე. IX და მომდევნო დღეებში ისეთივე მდგომარეობა, სიყრუეც გრძელდებოდა. XIV დღეს გონება აემღვრა, სიცხე შეუნარჩუნდა. XVII დღეს ცხვირიდან ბევრი სისხლი წამოუვიდა, სიყრუემ ცოტა დაუკლო; მომდევნო დღეებში კვლავ სევდა, სიცივე, ბოდვები. XX დღეს ატკივდა ფეხები, კვლავ სიყრუე, აღარ ბოდავდა, ცხვირიდან ცოტა სისხლი წამოუვიდა, დაასხა ოფლი, სიცხემ გაუარა. XXIV დღეს სიცხე შეუბრუნდა, კვლავ დაყრუვდა, ფეხები კვლავაც ტკიოდა, გონება აერია. XXVII დღეს დაასხა ძლიერი ოფლი, სიცხემ გაუარა, სიყრუეც გაქრა; ფეხები ისევ ტკიოდა, საბოლოოდ კი მთლიანად განიკურნა.

VIII. აბდერელ ანაქსიონს, რომელიც თრაკიის ჯიშკართან ცხოვრობდა, მისცა მაღალი სიცხე, დაეწყო მარცხენა გვერდის განუწყვეტელი ტკივილი, მშრალი ხველა, პირველ დღეებში ყოველგვარი ამონახველის გარეშე. ძლიერი წყურვილი, უძილობა; შარდი უხვი, კარგი ფერის, თხელი. VI დღეს ბოდვები, სიცხე არ ნელდებოდა, VII დღე ძალიან ძნელი იყო, სიცხე მოემატა, ტკივილებმა კი არ დაუკლო. ტანჯავდა ხველება, უჭირდა სუნთქვა. VIII დღეს სისხლი გამოეუღეთ მკლავიდან; სისხლის დენა კარგი იყო, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო; ტკივილები შეუმსუბუქდა, მაგრამ მშრალი ხველება კვლავაც გრძელდებოდა. XI დღეს სიცხემ დაუკლო, თავზე ცოტა ოფლი დაასხა, ხველება

და ფილტვებიდან ამონახველი უკვე უფრო სველი გახდა. XVII დღეს დაეწყო ცოტა მომწიფებული ნახველის ამოღება. მოკეთდა. XX დღეს ოფლი დაასხა და სიცხემ დაეწია, მაგრამ კრიზისის შემდეგ მოწყურდა და ფილტვებიდან ამონახველი კარგის მომასწავებელი არ ჩანდა. XXVII დღეს სიცხე შეუბრუნდა, კვლავ ახველებდა და ამოახველებდა ბევრს, მომწიფებულს და თხელს.. შარდს ჰქონდა ბევრი, თეთრი დანალექი, არ ჰქონდა წყურვილის გრძნობა, კარგად სუნთქავდა. XXXIV დღეს მთელ სხეულზე ოფლი დაასხა, სიცხემ გაუარა. ბოლო კრიზისი.

IX. აბდერელ ჰერიპითოსს ზეზეულა ატკივდა თავი და ცოტა ხნის შემდეგ ჩაწვა. იგი ცხოვრობდა ზემოთა გზის მახლობლად. უეცრად მისცა მაღალი და მწველი სიცხე, აღებინა ბევრი და ნაღველნარევი, მერე მოწყურდა და დააწყებინა ძლიერი შფოთვა; შარდი ჰქონდა თხელი და შაეი, ზოგჯერ თავზე მოღებული მოტიეტივე ლაქებით, ზოგჯერ კი უამისოდ. ღამე მძიმე, სიცხე ხან ასე და ხან ისე ძლიერდებოდა და მწეავდებოდა, საერთო ჯამში იყო ყოვლად უწესრიგო. XIV დღეს დაყრუვდა, სიცხემ კიდევ უფრო აუწია, შარდი ისეთივე შეუნარჩუნდა. XX და მომდევნო დღეებში ბევრი იბოდა. მე-40 დღეს ცხვირიდან ბევრი სისხლი წამოუვიდა და ცოტა გონზე მოვიდა. სიყრუე კვლავ გრძელდებოდა, თუმცა ცოტა რამ გაიგონა, მერე სიცხემაც დაუწია. მომდევნო დღეებში ცხვირიდან სისხლისდენა განუახლდა. დენა ჰქონდა ხშირ-ხშირი და ცოტა-ცოტა. მე-60 დღეს სისხლისდენა შეუჩერდა, მაგრამ ძლიერ ატკივდა მარჯვენა თეძო და სიცხემაც აუწია. ცოტა ხნის შემდეგ მთელი ქვემო სხეული ატკივდა; ისეც ხდებოდა, რომ ან მაღალი სიცხე ჰქონდა და ძლიერი სიყრუე, ან ესენი სუსტდებოდნენ, ხოლო ტკივილები თეძოსა და ქვემო ნაწილებში ძლიერდებოდნენ. მე-80 დღეს გარდა იმისა, რომ ზოგი რამ შემსუბუქდა, საერთო გაუმჯობესებაც შეიმჩნეოდა, რადგან გამოყოფდა კარგი ფერის და ბევრდანალექიან შარდს და შეუმცირდა ჰალუცინაციებიც. მეასე დღეს აშლილი კუჭიდან გამოყო უხვი

და ნაღვლისშემცველი განავალი და ეს არც თუ ცოტა ხანს გაგრძელდა; შემდეგ კვლავ დაეწყო დისენტერიული მტკივნეული შეტევები, სხვა ყველაფერი კი გაუმჯობესდა. საბოლოოდ სიცხემაც გაუარა და სიყრუემაც; ასმეოცე დღეს საბოლოოდ განიკურნა.

X. აბდერელ ნიკოდემონს გადაჭარბებული სექსისა და სმის გამო მაღალი სიცხე მისცა. თავიდან იგი რაღაც სევდას განიცდიდა და გულისტკივილსაც გრძნობდა, მეტისმეტად მოიწყინა, ენა თითქოს დაეწვაო, შარდი ჰქონდა თხელი და შავი. II დღეს სიცხემ აუწია, მერე ჩაამციენა, დასევდიანდა, აღებინა, ვერ იძინებდა; აღებინებდა ნაღველნარევს, ყვითელს. შარდიც ასეთივე. ღამემ შედარებით მშვიდად ჩაიარა, ჩაეძინა კიდეც. III დღეს ყველაფერი შემსუბუქდა, ავადმყოფი მომჯობინდა, მაგრამ მზის ჩასვლისას კვლავ გართულდა მდგომარეობა და ღამე უმძიმესი ჰქონდა. IV დღეს ჩაამციენა, მერე კვლავ ძლიერი სიცხე მისცა, ყველაფერი ატკივდა; შარდი წყალ-წყალა, მინარევი რაღაც ლაქებით. მთელი ღამე მშვიდად იყო. V დღეს ყველაფერი ასევე დარჩა, თუმცა ცოტა შემსუბუქდა კიდეც. VI დღეს ისევ საერთო ტკივილები, შარდში რაღაც დაცურავდა; ბევრს ბოდავდა. VII დღეს მდგომარეობა გაუმჯობესდა. VIII დღეს ყოველგვარმა ტკივილმა დაიკლო. X და შემდეგ დღეებში კვლავ ჰქონდა ტკივილები, მაგრამ ბევრად უფრო სუსტი. გართულებები და სხვადასხვა სახის ტკივილები უმეტესად წყვილ დღეებში ჰქონდა. XX დღეს მოშარდა თეთრი, ბლანტი, რომელიც დადგომის მერეც არ დაილექა. დაასხა ძლიერი ოფლი. ავადმყოფს ეჩვენებოდა, თითქოს უსიცხოდ იყო, მაგრამ საღამოს კვლავ გაცხელდა, კვლავ დაეწყო ტკივილები, ჩაამციენა, მოწყურდა, ცოტა იბოდა კიდეც. XXIV დღეს მოშარდა ბევრი და თეთრი, რომელსაც ბევრი დანალექი ჰქონდა. მთელ ტანზე დაასხა ბევრი და ცხელი ოფლი. ბოლოს სიცხემ გაუარა და განიკურნა კიდეც.

XI. კუნძულ თასოსზე ვინმე სევდიან ქალს, რომელსაც ჰქონდა კიდეც მწუხარების მიზეზი, ფეხზე მოსიარულეს

დაეწყო უძილობა და უმადობა, წყურვილის დიდი შეგრძნება და დარდი. იგი ცხოვრობდა ველზე პილადეს სახლის მახლობლად. პირველსავე დღეს, ღამის დადგომისთანავე, დაეწყო დიდი შიშები, სულიერი სიძაბუნე... ბევრს ქაქანებდა, ცოტა სიცხემაც აუწია. განთიადისას დაეწყო ხშირი კრუნჩხვები. როცა კრუნჩხვები შეუჩერდა, ბოდვა დაიწყო; ბილწსიტყვაობდა. სხვადასხვა ადგილების ძლიერი, გამუდმებული ტკივილები. მეორე დღეს არაფერი შეცვლილა, საერთოდ ვერ დაიძინა, სიცხემ კიდევ უფრო აუწია. III დღეს კრუნჩხვები შეუწყდა, მაგრამ ჩავარდა კომასა და რაღაც დამთრგუნველ მდგომარეობაში და შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა. – იგი წამოხტა საწოლიდან, თავს ვერ იკავებდა, ბევრს ბოდავდა, მისცა მაღალი სიცხე, იმავე ღამით მთელ ტანზე დაასხა ძლიერი და ცხელი ოფლი. მერე სიცხე დაუვარდა, დაეძინა, გონებაზეც მოვიდა. კრიზისი. III დღეს მოშარდა შავი ფერის და წყალ-წყალა, რომელშიც დაცურავდნენ და არ ილექებოდნენ რაღაც მრგვალი ლაქები. კრიზისის წინ დიდი რაოდენობით მოუვიდა თვიური.

XII. ლარისაში ქალწულ ქალს მისცა მაღალი სიცხე, დაეწყო უძილობა, ძლიერი წყურვილი, ენა დაეხორკლა და გაუშრა; შარდი თუმცა კარგი ფერის ჰქონდა, მაგრამ წყალ-წყალა. II დღე მეტად მძიმე ჰქონდა, არ ეძინა. III დღეს გამოყო ბევრი, თხელი, მომწვანო ფერის განავალი, ასევე განმეორდა მომდევნო დღეებშიც, ოღონდ ცოტა შემსუბუქებულად. IV დღეს მოშარდა ცოტა და წყალ-წყალა, რომელშიც ტივტივებდნენ და არ ილექებოდნენ რაღაც ლაქისმაგვარები. ღამით ბევრი იბოდა. VI დღეს ცხვირიდან ბევრი სისხლი წამოუვიდა. ჯერ ჩაამცივნა და მერე მთელ ტანზე დაასხა ცხელი ოფლი. მალევე სიცხემ გაუარა და განიკურნა. ციებ-ცხელებისა და კრიზისის შემდეგ მას პირველად დაეწყო მენსტრუაცია, ის ხომ ქალიშვილი იყო. მთელი ავადმყოფობის განმავლობაში იგი იყო სევდიანი, აკანკალებდა, შუბლი გაწითლებული ჰქონდა, ტკიოდა თვალები, დამძიმებული

ჰქონდა თავი, რეციდივები არ ყოფილა. ტკივილები ჰქონდა ლუწ დღეებში.

XIII. აპოლონიოს აბდერელი ფეხზე მოსიარულე ჩამოხმა. კარგა ხანს დაბერილი ჰქონდა შიგნეულობა და დიდი ტკივილები ღვიძლის არეში და ამის მერე დაეწყო სიყვითლე, შებერვები, გაფერმკრთალდა, მოთეთრო-მოყვითალო ფერი მიიღო; უდროო დროს რომ დალია ძროხის რძე, თავიდან ცოტა ჩაახურა და ჩაწვა. იგი საერთოდ დიდი რაოდენობით ღებულობდა როგორც მოდულებულ, ისე თხისა და ცხვრის უმ რძეს, საერთოდ არასწორად იკვებებოდა და ამიტომ ყველაფერი ძლიერ ასტკივდა, სიცხეც გაუძლიერდა. მიღებულ საკვებთან შედარებით განავალი ძალიან ცოტა ჰქონდა. შარდსაც ცოტას და წყალ-წყალას გამოყოფდა. არ ეძინებოდა, ჰქონდა ძლიერი მეტეორიზმი, გამუდმებული წყურვილი, კომა; დაებერა და ასტკივდა მარჯვენა თირკმელქვეშა არე, კიდურაბი ოდნავ დაუცივდა, ცოტას ბოდავდა, ყველაფერი ავიწყდებოდა, რასაც ამბობდა, არ იყო გონზე. ჩაწოლიდან XIV დღეს ჯერ ჩაამცივნა და მერე ჩაახურა, გონება მთლიანად დაკარგა, ყვიროდა, ღრიალებდა, ვერ ისვენებდა, ბევრს ლაქლაქებდა, შემდეგ ოფლი დაასხა და კომაში ჩავარდა. მერე კუჭი აეშალა, გამოყოფდა ბევრ, ნაღელოვან შეურეველ და მოუნელებელ მასას. შარდი ჰქონდა შავი, ცოტა და თხელი. ვერ ისვენებდა, განავალი კვლავ სხვადასხვანაირი, ან შავი, ცოტა და მომწვანო, ან ცხიმიანი, მოუნელებელი, მწვავე, ზოგჯერ კი რძისფერიც მოგეჩვენებოდათ. XXIV დღე მშვიდი, სხვა ყველაფერი თითქმის იგივე, ოღონდ ცოტა გონს მოეგო, მას ხომ მის მერე, რაც ჩაწვა, თითქმის არაფერი ახსოვდა, მაგრამ მალე კვლავ ბოდვა დაიწყო, ყველაფერი გაუარესდა. XXX დღეს კვლავ მაღალი სიცხე, განავალი უხვი და თხელი; კვლავ ბოდავდა; კიდურები დაუცივდა, ხმა დაეკარგა. XXXIV დღეს გარდაიცვალა. მის მერე, რაც მე იგი ვნახე, ბოლომდე ჰქონდა აშლილი კუჭი, წყალ-წყალა, შავი შარდი, კომა და უძილობა, დაცივებული კიდურები და ყოველდღიური ბოდვა.

XIV კიძიკოსში ქალს, რომელმაც ტყუპი გოგონები დაბადა, მძიმე მშობიარობისა და არც თუ სრული მშობიარობის-შემდგომი განწმენდის შემდეგ მისცა მაღალი სიცხე, დაეწყო სიმძიმის შეგრძნება და ტკივილები თავსა და კისერში.. თავიდანვე დაეწყო უძილობა, ხმას არ იღებდა, იყო მოღუშული და დაუმორჩილებელი. შარდი ჰქონდა წყალ-წყალა და უფერული; ძლიერი წყურვილი და ღებინება, გონება – არეული. კუჭი ხან შეეკვრებოდა და ხან აეშლებოდა. VI დღეს, ღამით ბევრი იბოდა, ვერ დაიძინა. XI დღეს გააფრინა და მერე კვლავ გონებაზე მოვიდა. შარდი ჰქონდა შავი, თხელი და დროდადრო ცხიმიანი. განავალი უხვი, თხელი და მღვრიე. XIV დღეს დაეწყო ხშირი კრუნჩხვები, დაუცივდა კიდურები, გონზე მოსვლის არავითარი ნიშანი; შარდი შეუჩერდა. XVI დღეს ხმაც დაკარგა. XVII დღეს გარდაიცვალა.

XV. კუნძულ თასოსზე, ვინმე დელეაკროსის ცოლს, რომელიც ცხოვრობდა ველზე, რაღაცის გამო მწუხარების შემდეგ მისცა მაღალი და მოცახცახე სიცხე. თავიდან ბოლომდე ის ხმას არ იღებდა და მთლიანად თავზე საბანს იფარებდა, სხეულის სხვადასხვა ნაწილს ხელით ისინჯავდა, იგლეჯდა და იკაწრავდა; იგრეხდა თმებს, ხან ტიროდა და ხან იცინოდა. ვერ იძინებდა, კუჭ-ნაწლავი გაღიზიანებული ჰქონდა, თუმცა განავალი საერთოდ არ იყო. როცა მოაგონდებოდა, ცოტას სვამდა. შარდი წყალ-წყალა და ცუდი. ხელით შემოწმებისას არ უნდა ჰქონებოდა მაღალი სიცხე, კიდურები დაუცივდა. IX დღეს ბევრი იბოდა, შემდეგ კი გონს მოეგო. კვლავაც დუმდა. XIV დღეს სუნთქვა წყვეტილი ჰქონდა, -ხანგრძლივის მერე კვლავ მოკლე და აჩქარებული ეწყებოდა. XVII დღეს გაუღიზიანდა და აეშალა კუჭი; თითქმის დალევისთანავე გამოყოფდა სითხეს, ველარ იკავებდა ველარაფერს და ვერც გრძნობდა. კანი დაეჭიმა და გაუშრა, XX დღეს ბევრი ილაპარაკა და მერე დაჩუმდა, ხმაც დაკარგა, მოკლედ სუნთქავდა. XXI დღეს გარდაიცვალა. მთელი ავადმყოფობის განმავლობაში სუნთქვა ჰქონდა იშვიათი და ხანგრძლივი, საერთოდ ვერაფერს გრძნობდა;

სულ მუდამ იფურთხებოდა, ან ქაქანებდა, ან საერთოდ დუმდა.

XVI. მელიბოელ ყმაწვილ კაცს გამუდმებული ხანგრძლივი სმისა და აღვირახსნილი სექსის გამო მაღალი სიცხე მისცა და ჩაწვა. ჩაამცივნა, აღებინა, ვერ იძინებდა, წყურვილის გრძმობა არ ჰქონდა. I დღეს, თავიდანვე ჰქონდა მეტნაკლებად მკვრივი განავალი ბევრ გამონადენ სითხესთან ერთად. შემდგომ დღეებშიც განავალი იყო წყალწყალა და მომწვანო ფერის. შარდი ჰქონდა თხელი, ცოტა, უფერული; სუნთქვა არეული, დროდადრო შენელებული და ღრმა. ნეკნებქვეშ, ქვემო მუცელთან მსუბუქი დაძაბულობა, რომელიც მერე ორივე მხარეს გაგრძელდა. მთელი ავადმყოფობის განმავლობაში გულის განუწყვეტელი ბაგუნი. შარდავდა ცხიმიანს. X დღეს მშვიდად იბოდა, იგი ხომ საერთოდ წყნარი და მოწესრიგებული იყო. კანი დაეჭიმა და გაუშრა; განავალი ხან უხვი და თხელი, ხანაც ნაღვლოვანი და ცხიმიანი. XIV დღეს ყველაფერი გაუუარესდა, დაეწყო ჰალუცინაციები, ბევრს ლაქლაქებდა. XX დღეს გააფრინა. საერთოდ ვერ ისვენებდა, შარდი შეუკავდა, ორგანიზმში სითხე მცირეოდენიღა ჰქონდა. XXIV დღეს გარდაიცვალა.

(სხეულის) საკვების შესასხებ.

1. საკვები და საკვების სახეობა ერთიცაა და მრავალიც; ერთია იმდენად, რამდენადაც წარმომაელობითაა ერთიდაიგივე, მაგრამ არსებობს სველი და მშრალი საკვები. ასევეა ფორმაც და რაოდენობაც – ასეთი თუ ისეთი, ამდენი თუ იმდენი.

2. საკვები ხომ ზრდის, ამაგრებს, ხორცს ასხამს, ამსგავსებს ან განასხვავებს ყოველივე იმას, რაც ახასიათებს თითოეულ ნაწევარს მისი ბუნებისა და საწყისი ძალის შესაბამისად.

3. ძალისმიერად იგი მაშინ ამსგავსებს, როცა მიღების შემდეგ გადაიხარშება და შეწოვისას სხეულში ჩაერთვება.

4. ხოლო იგი თანაბრდება მაშინ, როცა პირველი იშლება ან ერთდება დროის მიხედვით; ან, დროის სესაბამისად, როცა უკანასკნელი იშლება ან ერთდება.

5. ერთსაც და მეორესაც ადრე თუ გვიან აფუჯებს გარედან გამუდმებით მინაღები, ყველა ნაწევართან ხანგრძლივად და მჭიდროდ დაკავშირებული საკვები.

6. საკვები იცვლის თავის პირველ სახეს, ანუ უარყოფს პირველადს და მსუბუქდება, გადახარშული კი კვებავს [სხვულს]. ზოგჯერ კი, თუ შეიცვალა პირველადი სახე, აზიანებს მას.

7. საკვების ძალა გადადის ძვლებში და მის ყველა ნაწილში, ნერვებში, ვენებში, არტერიებში, კუნთებში, გარსებში, ქსოვილებში, ცხიმებში, სისხლში, ლორწოებში, ძვლისა და ზურგის ტვინში, თავის ტვინში, შიგნეულობასა და მის ყველა ნაწილში. იგი მოქმედებს თვით სითბოზე, სუნთქვასა და ტენიანობაზე.

8. საკვები ისაა, რაც კვებავს, საკვები ისაა, რასაც ძალუცს კვება, საკვები ისაა, რამაც უნდა კვებოს.

9. დასაწყისი ყოველთვის ერთია და, დასასრულიც ყოველთვის ერთია. დასასრულიც და დასაწყისიც ერთი და იგივეა.

10. ის, რაც ნაწილ-ნაწილ საკვებში კარგია, ცუდად შეიწოვება; კარგი ისაა, რაზეც უკვე ითქვა, ცუდი კი ისაა, რასაც ამისი საწინააღმდეგო თვისება აქვს.

11. წვენები სხვადასხვაგვარია როგორც ფერით, ისე ძალით, როგორც მაწყინარობით, ისე სარგებლიანობით, როგორც არამავნებლობით, ისე არასარგებლიანობით; რაოდენობით, სიჭარბით და უკმარისობით, ზოგ ნაწევართან მჭიდრო, ზოგთან კი არავითარი კავშირით.

12. საკვები საზიანო და სასარგებლოა ყველაფრის გასათბობად; საზიანო და სასარგებლოა ყველაფრის გასაგრილებლად; საზიანო და სასარგებლოა აგრეთვე ძალ-ღონისთვისაც.

13. ძალ-ღონის ბუნებრივი თვისებები სხვადასხვაგვარია.

14. არიან მთლიანის ან რაიმე ნაწილის გამაფუჭებელი სითხეები როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად; როგორც თავისთავად, ისე არათავისთავად; ჩვენთვის თავისთავადები, მიზეზობრივად კი არათავისთავადები. რაც შეეხება მიზეზს, ზოგი თვალხილულია, ზოგი უხილავი, ზოგი – შესაძლებელი, ზოგი – შეუძლებელი.

15. ბუნება ყველას ყველაფერში ჰყოფნის.

16. ამის საპირისპიროდ გარედან ცხელი საფენის დადება, დაზელვა, სუნელ-საცხებელის წასმა, სრული ან ნაწილობრივი გაშიშვლება, მთლიანი, ან ნაწილობრივი შეფუთვა, ასეთივე წესით ჩახურება ან შეცივება, დაჭიმვა, დაწყლულება, კბენა, გასუქება.. შიგნიდან – რაიმე ზემოთჩამოთვლილიდან და, გარდა ამისა, ნაწილობრივის თუ მთლიანის ფარული მიზეზი ამისათვის თუ არა ამისათვის.

17. კუჭის, შარდის, ოფლის, ნერწყვის, ლორწოს, საშვილოსნოს ბუნებრივი გამონადენებია: ჰემოროიდებიდან, მუწუკებიდან, კეთრის, კარცინომის, ცხვირიდან, ფილტვებიდან, კუჭიდან, უკანა ხვრელიდან, სასქესო ორგანოებიდან გამონადენები მიმდინარენი როგორც ბუნებრივად, ისე მის საპირისპიროდ. სხვადასხვა ადამიანებს ყოველივე ეს სხვაობა სხვადასხვაგვარი აქვს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვაგვარად. ყოველივე ეს ერთიანი ბუნებაცაა და არაერთიანიც. ბუნებრივად ესენი არის მრავალიც და ერთიც.

18. წამლის მიღება შეიძლება ზემოდანაც და ქვემოდანაც. არც ზემოდან და არც ქვემოდან.

19. ჭამის დროს წამლებით გაწმენდა საუკეთესოა; ჭამის დროს წამლებით გაწმენდა ცუდია; ცუდია, ან კარგი მდგომარეობის შესაბამისად.

20. წყლული, ქავილი, სისხლი, ჩირქი, ბალღამი, კეთრი, ქეცი, მუნი, სირსველი, ვიტილიგო, ჭორფლი ხან ვნებს, ხანაც შველის, ზოგჯერ კი არც ვნებს და არც შველის.

21. საკვები საკვები არაა, თუ დანაყრება არ შეუძლია; არასაკვები კი საკვებია, თუკი დანაყრება შეუძლია. საკვები

სახელდებით და არა სინამდვილეში; საკვები სინამდვილეში და არა მხოლოდ სახელდებით.

22. თმებში, ფრჩხილებში და [სხეულის] გარე ზედაპირში საკვები შიგნიდან მიედინება; შინაგან ორგანოებს საკვები გარედან და გარე ზედაპირიდან მიეწოდება.

23. ერთიანი შერწყმა, ერთიანი სუნთქვა, თანახვედრა ყველაფერში; ყოველი ნაწილი თავისი თავისთავადობით და თითოეული ნაწილის ყოველი ნაწევარი საერთო მოქმედებისათვის.

24. დიდი დასაწყისიდან [ყველაფერი] ბოლოსაკენ მიდის; უკიდურესიდან კი – დიდი საწყისისაკენ; არსობაც ერთია – ყოფნა, არყოფნა..

25. დაავადებები განსხვავდებიან კვებაში, სუნთქვაში, სითბოში, სისხლში, ლორწოში, ნაღველში, სითბოში, ქსოვილებში, ცხიმებში, ვენებში, არტერიებში, ნერვებში, კუნთებში, გარსებში, ძვლებში, თავისა და ზურგის ტვინში, პირში, ენაში, საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში, დიაფრაგმაში, მუცელში, ღვიძლში, ელენთაში, თირკმლებში, შარდის ბუშტში, საშვილოსნოში, კანში.. ყველაში ერთობლივად და ცალცალკე; მათი ზომა დიდიცაა და არადიდიც.

26. ნიშნები: ქავილი, ტკივილი, ნახეთქები, ჩაფიქრება, ოფლი, დანალექი შარდში, სიმშვიდე, მოუსვენრობა, თვალების ბრიალი, ბოდვა, სიყვითლე, სლოკინი, ეპილეფსია, სისხლი მთლიანად, ძილ-სიზმარი; ამ და სხვა შემთხვევებით, ბუნების შესაბამისობით და სხვა ყველა ამგვარით გამოწვეულია მდგომარეობები, რომლებიც მოქმედებენ საზიანოდ ან სასარგებლოდ; მთლიანი და ნაწილობრივი ტკივილები, გადიდების ნიშნებით, ზოგი დიდისათვის, ზოგი მცირესათვის; ორივე დიდისათვის და ორივე მცირესათვის.

27. [საკვები არის] სასიამოვნო და არასასიამოვნო: სასიამოვნო სიძლიერით, როგორიცაა [მაგალითად] წყალი; სასიამოვნო გემოთი, როგორიცაა [მაგალითად] თაფლი.

ნიშნები ორივესათვის: წყლულები, თვალების ანთებები და გემოს შეგრძნება.. და ყოველოვე ეს მეტად ან ნაკლებად;

სასიამოვნო შესახედაობით, ფერით და სხვა მინარევებით; სასიამოვნო მეტად ან ნაკლებად.

28. ტანის სიგამხდრე მისთვის, ვისაც ბევრი აქვს დაკლებული, კარგია კანის სუნთქვის თვალსაზრისით; ტანის სიგამხდრე მისთვის, ვისაც ცოტა აქვს დაკლებული, საზიანოა კანის სუნთქვის თვალსაზრისით. ისინი, ვისაც კარგი პერსპირაცია აქვთ, უფრო სუსტები არიან, თუმცა აქვთ კარგი ჯანმრთელობა და ადვილად გამოკეთდებიან ხოლმე; ისინი, რომელთაც ცუდი აქვთ პერსპირაცია, დაავადებამდე შედარებით ძლიერები არიან, მაგრამ, თუ დაავადდნენ, ძნელად თუ გამოჯანმრთელდებიან; ეს ასაეა საერთოდაც და კერძო შემთხვევებშიც.

29. ფილტვები სხეულის საპირისპიროდ ითვისებენ საკვებს, ყველა სხვა ნაწევარი კი – სხეულის მსგავსად.

30. ჰაერით კვების დასაწყისია ნესტოები, პირი, ბრონქები, ფილტვები და სხვა პერსპირაციები; როგორც წვნიანი, ისე მშრალი საკვების დასაწყისია პირი, საყლაპავი მილი და კუჭი. საკვების დასაწყისი ქვემო მუცელში იქაა, სადაც ჭიპია.

31. ვენების ფესვები ღვიძლშია, არტერიების კი–გულში; ამათგან მიმოიქცევა ყველა ნაწევარში სისხლი და, სითბოც ამათგან მომდინარეობს.

32. ძალა ერთიცაა და არაერთიც, რომლისაგანაც წარიმართება ყველა და ყველაფერი; ერთი–მთლიანისა დანაწილობრივის სიცოცხლისათვის, მეორე კი – მთლიანისა და ნაწილობრივის შესაგრძნობლადაა განკუთვნილი.

33. რძე იმისათვისაა საკვები, ვისთვისაც ის ბუნებრივი საკვებია, სხვებისათვის კი–არა; ზოგიერთისათვის ღვინო საკვებია, ზოგიერთისათვის კი –არა, ისევე, როგორც ხორცი და საკვების სხვა სახეობები ქვეყნისა და წეს-ჩვეულებების შესაბამისად.

34. ზოგნი იკვებებიან როგორც გაზრდისათვის, ისე არსებობისათვის, ზოგნი კი – მხოლოდ არსებობისათვის, მაგალითად მოხუცები. ზოგიერთები ძალ-ღონისათვისაც იკვებე-

ბიან. ათლეტური აღნაგობა არაბუნებრივია. ჯანმრთელი აღნაგობა ყოველმხრივ დიდებულია.

35. დიდი საქმეა, თუ გონივრულად შევუფარდებთ ძალას და ოდენობას.

36. რძე და სისხლი მეტისმეტი საკვებია.

37. დროდადრო ჩვეულებრივ არის ხოლმე თანხვედრა ჩანასახსა და მის კვებას შორის, **ამასთანავე–მოძრაობაში ზემოთ–რძისა და ბავშვის კვებისათვის.**

38. [საკვებით] ცოცხლდება უსიცოცხლო; საკვებით ძლიერდება ცოცხალი, ცოცხლდებიან ცოცხალთა ნაკვთები.

39. ბუნებას არავისთვის არაფერი უსწავლებია.

40. სხვისი სისხლი მარგებელია; საკუთარი სისხლი მარგებელია; სხვისი სისხლი მავნებელია, საკუთარი სისხლი მავნებელია; საკუთარი სითხე მავნებელია, სხვისი სითხე მავნებელია; სხვისი სითხე მარგებელია, საკუთარი სითხე მარგებელია. შეუთანხმებელი შეთანხმებულია, შეთანხმებული შეთანხმებულია; სხვისი რძე მარგებელია, საკუთარი რძე მავნებელია. საკუთარი რძე მარგებელია, სხვისი რძე მავნებელია.

41. ახალგაზრდების საკვები მალე იცვლება, მოხუცების–უკიდურესად მალე, მოწიფულებისა კი საერთოდ არ იცვლება.

42. მიიჩნევენ, რომ ჩასახვისათვის [საჭიროა] 35 დღე, ამოძრავებისათვის – 70, დასრულებისათვის – 210. სხვების თქმით კი: ჩასახვისათვის – 45, ამოძრავებისათვის – 90, დაბადებისათვის – 270 დღე. კიდევ სხვების მიხედვით: წარმოსაქმნელად – 50, პირველი ამოძრავებისათვის – 100, დასრულებისათვის – 300 დღე. კიდევ სხვები: ნაკვთების გასარჩევად – 40, გადანაცვლებისათვის – 80, დაბადებისათვის – 240 დღე. ეს ასე არის კიდეც და არც არის, ასეთ შემთხვევებში არის მეტიც და ნაკლებიც, საერთოდაც და კერძო შემთხვევებშიც, მეტზე ცოტა მეტი და ნაკლებზე ცოტა ნაკლები. ეს ასევეა სხვა, მსგავს არსებებთან მიმართებაშიც.

43. ძელების კვება მოტეხილობის შემდეგ: ცხვირისთვის [საჭიროა] ორჯერ ხუთი დღე, ყბის, ლავიწისა და ნეკნისათვის – ორმაგი რაოდენობის; იდაყვისათვის–სამმაგი; მუხლისა და ბეჭისათვის–ოთხმაგი; თეძოსათვის – ხუთმაგი და სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება დაჭირდეს ცოტა მეტი ან ნაკლები.

44. სისხლი [არსებობს] თხელი და სქელი; თხელი სისხლი კარგია, თხელი სისხლი ცუდია; სქელი სისხლი კარგია, სქელი სისხლი ცუდია; ყველაფერი კარგია და ყველაფერი ცუდია გარკვეულ შემთხვევაში.

45. გზა მაღლა, გზა დაბლა.

46. როგორც მშრალ, ისე თხევად ნივთიერებებში საკვების ძალა უკეთესია რაოდენობაზე; საკვების რაოდენობა უკეთესია ძალაზე.

47. საკვები გამოიაკლებს და მიუმატებს არა ერთსა და იმავეს; ერთ ნაწევარს თუ გამოაკლებს, მეორეს მიუმატებს იგივეს.

48. ასაკის შესაბამისად ვენების ცემა და სუნთქვა, შეთანასწორებულიც და განსხვავებულიც, არის როგორც ავადმყოფობის, ისე ჯანმრთელობის ნიშანი – უფრო ჯანმრთელობის, ვიდრე ავადმყოფობის და უფრი ავადმყოფობის, ვიდრე ჯანმრთელობის. – სუნთქვაც ხომ იგივე კვებაა.

49. თხევადი საკვები უფრო ადვილი მოსანელებელია, ვიდრე მშრალი; მშრალი საკვები უფრო ადვილად მოსანელებელია, ვიდრე თხევადი. ის, რაც ძნელად იცვლება, ძნელად მოსანელებელიცაა, ის, რაც ადვილად იცვლება, ადვილად მოსანელებელია.

50. მათთვის, რომელთაც მალე ესაჭიროებათ განმტკიცება, თხევადი წამალია საუკეთესო, თუ ვინმეს კიდევ უფრო ჩქარა უნდა, მაშინ სასუნთქი წამალი უნდა მიიღოს. რომელთაც შედარებით ნელა ესაჭიროებათ ჯანმრთელობის აღდგენა, მათ შეუძლიათ მკვრივი წამალი მიიღონ.

51. ძელებისა და ნერვების მსგავსად, მკვრივი კუნთები ძნელად იშლებიან, ვიდრე დანარჩენები; ისინი ვარჯიშისას

ძნელად იცელებიან, რადგან ამ დროს ბუნებრივად მკვრივები არიან და ამიტომაც თავისთავად ძნელად თუ რბილდებიან.

52. ჩირქი ქსოვილისაგან წარმოიშობა; ბალღამი — სისხლისა და სხვა სითხეებისაგან; ჩირქი წყლულის საკვებია, ბალღამი კი ვენებისა და არტერიების.

53. ძვლის ტვინი ძვლების საკვებია, ამიტომაც ამკვრივებს მათ.

54. ძალა არ აძლიერებს, უბრალოდ, კვებავს და ზრდის.

55. სინოტივე საკვების გადამაადგილებელია.

ძველი მედიცინის შესახებ.

1. რომელთაც ხელეწიფებოდათ ექიმობაზე საუბარი ან წერა, რომელთაც თავისი საუბრის საფუძვლად ედოთ ჰიპოთეზა თბილსა და ცივზე, ან სველსა და მშრალზე, ან სხვა რაიმეზე მათი შეხედულების შესაბამისად, ადამიანთა ავადმყოფობისა და სიკვდილის ერთადერთ მიზეზად ერთიდაიგივე, თუნდაც ორი საწყისი რომ მოჰყავდათ, უმეტესად, ცხადია, ცდებიან იმაში, რაზეც საუბრობენ. უპირველესად გაკიცხვის ღირსნი ისინი იმიტომ არიან, რომ შეცდომებს უშვებენ იმ ჭეშმარიტ ხელოვნებაში, რომელიც ყველასათვის უმნიშვნელოვანესია და რომელშიც უნდა მოღვაწეობდნენ საუკეთესო ოსტატები და პრაქტიკოსები; თუმცა არსებობენ როგორც კარგი, ისე ცუდი ოსტატები, მაგრამ ეს ნამდვილად ასე არ იქნებოდა, რომ საექიმო ხელოვნება საერთოდ არ არსებულიყო, რომ არაფერზე არც რამ დაკვირვება ეწარმოებინათ და არც არაფერი არ აღმოეჩინათ, რომ ყველაფერი გამოუცდელებისა და უვიცების ხელში დარჩენილიყო და ავადმყოფთა ბედიც მხოლოდ შემთხვევითობაზე ყოფილიყო დაფუძნებული; მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. როგორც ყველა სხვა ხელოვნებაში, ასევე მედიცინაშიც ოსტატები საკმაოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც ხელების სიმარჯვით, ასევე გონებით; ამიტომ მი-

მაჩნია, რომ არავინ არ უნდა ეყრდნობოდეს ცარიელ ჰიპოთეზებს, როგორც ვერ დავეყრდნობით იმ საგნებს, რომლებიც უხილავნი არიან და საეჭვონი, რომლებზე საუბრისასაც იძულებულნი ვართ, მხოლოდ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით ვილაპარაკოთ. მაგალითად, თუ ვინმე დააპირებს ილაპარაკოს ციური ან მიწისქვეშეთში არსებული საგნების შესახებ, იმის მიუხედავად, რომ იგი ამბობს, რომ კარგად იცის რა მდგომარეობაში არიან ეს საგნები, მაინც, არც მთქმელისათვის და არც მსმენელისათვის არაა ცხადი, მართალია ეს თუ არა, რადგან არაფერია ისეთი ხელმოსაკიდი, რომელიც დაამტკიცებს, რომ ყოველივე ეს მართლაც ასეა.

2. მედიცინაში კი ძველთაგანვე ყველაფერი სახეზეა, მიკვლეულია საწყისიც და ის გზაც, რისი მეშვეობითაც დროთა განმავლობაში აღმოჩენილია ბევრი რამ დიდებული და ამაზე დაყრდნობით კი ბევრი რამ კვლავაც გაირკვევა, თუკი ვინმე, საფუძვლიანად განსწავლული და უკვე აღმოჩენილის კარგად მცოდნე, უკვე აღმოჩენილზე დაყრდნობით, ეცდება რაიმეს გამოკვლევას.

ის კი, ვინც უარყოფს ამას და უგულვებელყოფს, ვინც კვლევის სხვა გზას დაადგება და ამტკიცებს, რომ მან რაღაც აღმოაჩინა, თვითაც ცდება და სხვასაც აცდუნებს, რადგან ასეთი რამე შეუძლებელია. თუ რატომაა ეს შეუძლებელი, შეეცდები დავამტკიცო ქვემოთ, როცა ვისაუბრებ და განვმარტავ, თუ რას ნიშნავს დახელოვნება. მაშინ ნათელი გახდება, რომ გადაჭრით არაფრის მტკიცება არ შეიძლება.

მე მგონი, რომ ამ საქმის მკვლევარებმა უფრო მეტად უნდა ილაპარაკონ იმაზე, რაც იცის უბრალო ხალხმა, რადგან არაფერ სხვაზე არ უნდა წარვმართოთ კვლევა თუ საუბარი, თუ არა იმ დაავადებებზე, რომლითაც თვით ისინი იყვნენ ან არიან შეპყრობილნი და იტანჯებიან. მათ ხომ, რადგან გაუნათლებელნი არიან, არ შეუძლიათ გაიგონ, თუ რა სენით არიან დაავადებულნი, როგორ წარმოიშობიან და ქრებიან ეს დაავადებები, რა მიზეზით ძლიერდებიან ან სუსტდებიან და სხვა; სხვებისაგან აღმოჩენილისა და გან-

მარტებულის გაგება კი ადვილია; მოცემულ შემთხვევაში ხომ თითოეული მხოლოდ გაიხსენებს, რაც მან თვით განიცადა. ხოლო თუ ვინმე არ შეეგუება უბრალო ადამიანების აზრის გაზიარებას და ამასვე ჩაუნერგავს მსმენელებს, იგი ნამდვილად გადაუხვევს ჭეშმარიტების გზიდან. აი, რატომ არ ჭირდება მედიცინას ჰიპოთეზები.

3. საექიმო ხელოვნება ნამდვილად თავიდანვე არ იქნებოდა აღმოჩენილი, არც ძიებას დაუწყებდნენ მას და არც იქნებოდა ამისი საჭიროება, რომ ავადმყოფი ადამიანისთვისაც ყოფა-ცხოვრების იგივე ნირი და იგივე საკვები ყოფილიყო გამოსადეგი, რაც ჯანმრთელი ადამიანებისათვისაა და რომ სხვა რამ არ ყოფილიყო ავადმყოფებისათვის უკეთესი. მაგრამ თანდათან თვით აუცილებლობამ აიძულა ადამიანები, ეკელიათ და აღმოეჩინათ საექიმო ხელოვნება, რადგან ავადმყოფებისათვის იგივე საკვების მიცემამ, რასაც ჯანმრთელები ჭამდნენ, სარგებლობა ვერ მოიტანა და ვერც ახლა მოაქვს.

მეტიც, მე მგონი, რომ ძველთაგანვე არავინ არ გამოიგონებდა ჯანმრთელი ადამიანებისათვის იგივე ცხოვრების წესებსა და საკვებს, რითაც ახლა ისინი ცხოვრობენ, ადამიანებისათვისაც რომ გამოსადეგი ყოფილიყო იგივე სასმელი და საჭმელი, რაც სასარგებლოა, ვთქვათ, ცხენისათვის, ან ხარისათვის და სხვა ცხოველებისათვის ადამიანის გარდა, ყველაფერი, რასაც აღმოაცენებს მიწა: ხილი, ბალახი, თივა და სხვა. ცხოველები ხომ ამით იკვებებიან, იზრდებიან, ავადმყოფობის გარეშე ცოცხლობენ და არ საჭიროებენ არავითარ სხვა საკვებს. ამიტომაც მე მგონი, რომ თავიდან ადამიანებიც ასეთივე საკვებს იყენებდნენ და ახლანდელი საკვებ-სანოვაგე მიკვლეულ, შემუშავებულ და დადგენილ იქნა თანდათანობით ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მართლაც, ალბათ როგორ ბევრგვარ საშინელებებს განიცდიდნენ ადამიანები მძიმე და ცხოველური ყოფა-ცხოვრების გამო, რადგან ჭამდნენ მოუხარშავ, შეუფერებელ და მძიმედ მოსანელებელ საჭმელებს. ეს რომ ასე გაგრძელებულიყო

და ახლაც ასე ყოფილიყო, ადამიანები მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ, დაავადდებოდნენ და მალე დაიღუპებოდნენ. თუმცა, ალბათ მაშინაც ძნელად, მაგრამ მიჩვევის გამო მაინც უფრო ადვილად იტანდნენ ამას მაშინდელი ადამიანები. მათ შორის ისინი, რომლებიც უფრო სუსტები იყვნენ, ალბათ მალევე იღუპებოდნენ, უფრო ძლიერები კი უფრო მეტხანს ცოცხლობდნენ. ასეევა ახლაც; მძიმე საკვებს ზოგი უფრო ადვილად იტანს, ზოგი კი დიდი ტანჯვითა და წვალებით ინელებს. აი, მე მგონი, სწორედ ამის გამო დაიწყეს ადამიანებმა ისეთი საკვების ძებნა, რომელიც მათ ბუნებას შეეფერებოდა და აარჩიეს ისეთები, რომლებსაც ახლა ჩვენ ვიყენებთ. ისინი ხორბალს წმენდდნენ მინარევებისაგან, ანიავებდნენ, ფქვავდნენ, ცრიდნენ, ზელდნენ და ცეცხლზე აცხობდნენ და ასე ამზადებდნენ პურს, ქერისაგან კი—მაცას. ამზადებდნენ საკვებს სხვადასხვა წესით: ზოგს ხარშავდნენ, ზოგს აცხობდნენ, ზოგს წვავდნენ; უხეშ და მაგარ ნივთიერებებს ურევდნენ უფრო რბილებში და ყველაფერს ადამიანის ბუნებისა და შესაძლებლობის შესაბამისად ამზადებდნენ, რადგან იცოდნენ, თუ უხეშ საკვებს მიიღებდნენ, ისეთს, რომლის ატანა ადამიანის ბუნებას არ შეუძლია, მათ ტკივილებს, სატანჯველს და იქნებ სიკვდილსაც კი მოუელენდა, ხოლო ისეთები, რომელთა გაძლება და მონელება ადამიანებს შეუძლიათ, კვებას, ზრდასა და ჯანმრთელობას ემსახურებიან... ჰო და, ასეთ კვლევებს და აღმოჩენებს სხვა როგორი მართებული და შესაფერისი სახელი უნდა დარქმეოდა, თუ არა მკურნალობის ხელოვნება?! იმიტომაც, რომ იგი განკუთვნილია ადამიანის ჯანმრთელობის, კვებისა და გადარჩენისათვის; იმისათვის, რომ შეცვალოს ყოფა-ცხოვრების ის ნირი, რომლისაგანაც მომდინარეობს ტანჯვა, ტკივილი და სიკვდილი.

4. თუ ამას ხელოვნებად არ ჩავთვლით, არც ეს იქნება უსაფუძვლო. აკი, თუ არავინ იქნება უვიცი, არამედ ყველა იქნება კარგად განსწავლული ამ ხელობის საერთო და აუცილებელი გამოყენების გამო, აღარაა საჭირო, რომ

ვინმეს ეწოდოს "დახელოვნებული". სხვათა შორის ეს აღმოჩენა დიდი, ბევრი დაკვირვებისა და კარგი დახელოვნების შედეგია. ამასთანავე, ხომ ახლაც, ვინც ვარჯიშობს და ძალ-ღონის განმტკიცებითაა დაკავებული, სწორედ რომ ასეთი გამოკვლევებით მუდამ აღმოაჩენს ხოლმე რაიმეს, რის გამოც ყველა, ვინც უკვე გამონაცადი საჭმელითა და სასმელით სარგებლობს, უფრო ადვილად აღწევს სასურველ გაძლიერებას და ხდება უდიდესი ძალის პატრონი.

5. ახლა გადავხედოთ ყველასაგან აღიარებულ მედიცინას, რომელიც მხოლოდ ავადმყოფებისთვისაა შექმნილი, რომელსაც აქვს თავისი სახელიც და ჰყავს თავისი ოსტატებიც, მაგრამ ისიც ხომ მაინც უნდა დაექვემდბაროს თავის თავს და ოდესღაც ხომ ისიც საიდანღაც დაიწყო.

ჩემი აზრით, როგორც ზემოთაც ვთქვი, არავინ არ დაიწყებდა სამედიცინო კვლევა-ძიებას, რომ ავადმყოფებისათვისაც და ჯანმრთელებისათვისაც ცხოვრების ერთიდაიგივე წესები ყოფილიყო შესაფერისი. ამიტომ ახლაც ბარბაროსები და ზოგიერთი ბერძენიც კი, ვისაც მედიცინისა არ სჯერა, თავიანთი სიამოვნებისათვის ავადმყოფებიც კი ისეთივე ცხოვრების წესით ცხოვრობენ, როგორითაც ჯანმრთელები; არაფერზე უარს არ ამბობენ, რაც კი მოესურვებათ და სრულებით არ იზღუდავენ თავს.

ხოლო ისინი, რომლებიც აღიარებენ და მისდევენ მედიცინას, რომლებიც იზიარებენ იმ აზრს, რომელიც მე ზემოთ გამოვთქვი, გაურბიან სურსათ-სანოვაგის სიუხვეს და ბევრის მაგიერ ცოტას ღებულობენ; მაგრამ თუ ეს ზოგიერთი ავადმყოფისათვისაა საკმარისი და, ცხადია, სარგებელიც მოაქვს, ყველასათვის ასე არაა, რადგან ზოგი ისეთ მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ არ შეუძლია თუნდაც მცირეოდენი საჭმელის მონელება და ასეთებს უჭირთ შედარებით მსუბუქი საკვების მონელება და ამიტომ მათთვის არჩევდნენ ეგრეთწოდებულ "წვნიან საჭამადებს", მცირეოდენ მშრალ საკვებს ხსნიდნენ დიდი რაოდენობის წყალში და მათ სიძლიერეს აქრობდნენ ხარშვითა და შერევით. იმათ

კი, ვისაც ასეთი საკვების მონელებაც არ შეეძლო, ამასაც უხსნიდნენ, სასმელებს უნიშნავდნენ და თანაც ყურადღებით აკვირდებოდნენ, რომ ეს სასმელებიც ზომიერი ყოფილიყო როგორც მოცულობით, ისე შემადგენლობით, რომ იგი არ მოსვლოდათ არც მეტი, არც სხვაგვარად შეზავებული და არც საჭიროზე ნაკლები.

6. ისიც კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ ზოგიერთი ავადმყოფისათვის ეს "საჭამანდი" სასარგებლო კი არ იყო, არამედ, პირიქით, როდესაც ავადმყოფები მას მიიღებდნენ, მის გამო აეწყოდათ ხოლმე სიცხე და უძლიერდებოდათ ტკივილები. ეტყობა, იგი კვებავს და აძლიერებს დაავადებას, მაგრამ ასუსტებს და აძაბუნებს სხეულს. ამგვარად განწყობილი ადამიანები თუ მშრალ საკვებს: ან მაცას, ან პურს თუნდაც მცირეოდენს მიიღებენ, ათჯერ უფრო მეტად და სრულიად ნათლად გაუუარესდებათ მდგომარეობა ("შეჭამანდის" მიმღებთან შედარებით) და ეს არარა სხვა მიზეზით არ ხდება, თუ არა საკვების ავადმყოფთან შეუსაბამობის გამო. ასევე, თუ იგი, ვისაც რგებს წენიანის და არა მშრალი საკვები, თუ მეტს შეჭამს, გაცილებით მეტს ავნებს თავს, ვიდრე მაშინ, ციტა რომ ეჭამა. თუმცა, ცოტაც რომ ჭამოს, გარკვეულ ტკივილებს მაინც განიცდის. ამგვარად, ტანჯვისა და ტკივილის ყოველგვარი მიზეზი ერთიდაიგივეა; ყოველგვარი ზედმეტი ყველაფერზე მეტად და თვალნათლივ ვნებს როგორც ჯანმრთელ, ისე ავადმყოფ ადამიანს.

7. აბა სხვა რა ჰქონდა მხედველობაში ეგრეთწოდებულ ექიმს და თავისი საქმის საყოველთაოდ აღიარებულ ოსტატს, რომელმაც აღმოაჩინა ავადმყოფთა კვების სხვა წესები იმისგან განსხვავებული, რომელიც დასაბამიდანვე იყო და მზადდებოდა ძველებური, ველური და ცხოველური საკვები ყველა ადამიანისათვის, რომლითაც ჩვენ ახლაც ვვარსებობთ? მე, ყოველ შემთხვევაში მგონია, რომ ეს ერთიდაიგივე განსჯა და აღმოჩენაა. სინამდვილეში ერთი ცდილობდა, რომ უარეყო ყოველგვარი საკვები, რომელსაც ვერ დაძლევდა ჯანმრთელი ადამიანის ბუნებაც კი საკვების უხეშობის ან არას-

წორი შეზავების გამო, ხოლო მეორე იმას, რასაც ვერ დაძლევდა ის მდგომარეობა, რომელშიც შეიძლება სხვადასხვა დროს აღმოჩნდეს ადამიანი, ამაში ეძებდა გამოსავალს. მაშ რა განსხვავებაა ამ და იმ ხერხს შორის გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი უფრო სრულყოფილია და სხვადასხვაგვარი და მეტ შრომას მოითხოვს, განა შეიძლება, რომ გვიან წარმოშობილი იყოს პირველადის დასაწყისი?!

8. თუ გადავხედავთ ავადმყოფთა საკვებთან შედარებით ჯანმრთელთა საკვებს, დავინახავთ, რომ მხეცთა და სხვა ცხოველთა საკვები არც თუ ბევრად მავნეა ჯანმრთელ ადამიანთა საკვებთან შედარებით. თუ ადამიანი ავადაა არც თუ ძლიერი და არცთუ განუკურნებელი, მაგრამ არც თუ ადვილი სენით და იგი მოისურვებს, რომ ჭამოს პური და ხორცი, ან სხვა რამე ისეთი იმ სანოვაგიდან, რაც ეროობ სასარგებლოა ჯანმრთელებისათვის, მისთვის ნამდვილად ცდუნება იქნება და უნდა შეჭამოს არა ბევრი, არამედ ბევრად ნაკლები, რამდენსაც ჯანმრთელი შეჭამდა. ან, თუ სხვა ჯანმრთელი ადამიანი, ბუნებრივად არც თუ სუსტი, მაგრამ არც თუ ძლიერი, შეჭამს რაიმეს იმ საჭმლიდან, რაც სასარგებლოა ხარისათვის, ან ცხენისათვის, მაგალითად მუხუდოს ან ქერს, ან სხვა რაიმე ამის მაგვარს, ცხადია, ცოტას, მაგრამ ბევრად ნაკლებს, რამდენიც შეეძლო, მაშინ ჯანმრთელი ადამიანი არანაკლებ ტკივილებს და საშიშროებას განიცდის, ვიდრე ის ადამიანი, რომელმაც არაშესაბამისად მიიღო პური ან მაცა. ყოველივე ეს იმისი დამამტკიცებელია, რომ სამედიცინო ხელოვნება ამაოე მეთოდითაა გამოკვლეული და ახსნილი.

9. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ყველა მძიმე საკვები საერთოდ რომ ყოფილიყო მავნებელი, ხოლო ყველა მასზე მსუბუქი სასარგებლო როგორც ავადმყოფების, ისე ჯანმრთელებისთვის, მაშინ საქმე უფრო ადვილი იქნებოდა, რადგან ზოგადად გამოვიყენებდით ამ უვნებელ ხერხს და ავადმყოფებს მივცემდით უფრი მსუბუქს. ახლა კი, ალბათ, დიდი შეცდომა იქნება და დიდ ზიანს მიაყენებს ადამიანს, თუ იგი

მეტად მცირე და მეტად არასაკმაო საჭმელს მიიღებს, რადგან სხვადასხვა სიბინძურე დიდ გავლენას ახდენს ახლანდელ ადამიანზე, ასუსტებს, აუძლურებს და კლავს კიდეც.

ბევრი სხვადასხვა სახის ვნება მოაქვს სიმსუქნეს, მაგრამ არც განლევაა ნაკლებად საშიში, რადგან ის ბევრნაირია და განსხვავებული და ამიტომაც დიდ ყურადღებას საჭიროებს, რის გამოც უნდა მოვნახოთ რაიმე შუალედური. ამისი საზომი კი არაა არც წონა, არც რაოდენობა, რითაც შეძლებ რაიმეს ზუსტად გაგებას, დიახ, ამას ვერაფრით შეძლებ, თუ არა სხეულის შეგრძნებით. ამიტომაც ეს საქმე ისე კარგად უნდა შევისწავლოთ, რომ შეცდომა მხოლოდ უმცირესი დავუშვათ ამა თუ იმ მხრივ და, მე დიდად შევაქებდი იმ ექიმს, რომელიც მხოლოდ მცირედ შეცდება, ჭეშმარიტი სიზუსტე ხომ ძალიან იშვიათადაა მისაღწევი. ექიმთა უმრავლესობა ხომ, ჩემის აზრით, უვარგის მესაჭეს ჰგავს; აკი მესაჭეები თუ გემს მშვიდ ზღვაში მართავენ, მათი შეცდომები შეუმჩნეველი რჩება, ხოლო თუ თავს დაატყდებათ ქარიშხალი ან პირქარი, მაშინ ყველა მგზავრი ადვილად დაინახავს, რომ გემი მესაჭეების გამოუცდელობის გამო იღუპება. ასევე, როცა ცუდი ექიმები მკურნალობენ არც თუ მძიმე ავადმყოფს, როცა მათგან დაშვებული დიდი შეცდომაც კი ვერაფერს ავნებს ავადმყოფს, (ასეთი დაავადებები კი ბევრად მეტია, ვიდრე ჭეშმარიტად საშიშები) სწორედ ასეთი დაავადებების დროს სცოდავენ ცუდი ექიმები, რადგან ეს შეცოდებები შეუცნობელია უბრალო ადამიანებისათვის.

ხოლო, როცა ასეთ ექიმებს საქმე აქვთ დიდ, ძლიერ და საშიშ დაავადებებთან, მაშინ კი მათი უვიცობა და შეცდომები ყველასათვის ნათელი ხდება და მაშინ ავადმყოფთა უმეტესობაში შურისძიების გრძნობა აღარ აყოვნებს და მალევე გამომჟღავნდება.

10. კუჭი უდროო დაცარიელებითაც ულიზიანდება ადამიანს და ზედმეტი გადავსებითაც. ამას კარგად დაეინახავთ, თუ დავაკვირდებით ჯანმრთელ ადამიანებს. ზოგიერთმა საკვები დღეში მხოლოდ ერთჯერ უნდა მიიღოს და მხ-

ოლოდ ის, რაც მისთვის სასარგებლოა (მათ ხომ იგი თვით დაიდგინეს), ზოგიერთისთვის კი, ამასთან ერთად, საავალ-დებულოა საუზმეც, რადგან ეს მათთვის სასარგებლოა. ეს ეხება ყველას, რომლებმაც დაიდგინეს კვების ესა თუ ის განრიგი სიამოვნებისათვის თუ შემთხვევით, რადგან ადამი-ანთა უმეტესობა, რომლებიც ამას თუ იმას არიან მიჩვეულე-ბი, ყველა ერთნაირად მისდევს ამ ჩვეულებას, ან უნდა მიიღონ საკვები მხოლოდ ერთჯერ, ანდა უნდა ისაუზმონ კიდეც. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც, თუ რაიმეს თავის დროზე არ გააკეთებენ, ეს ძნელად გადააქვთ, რად-გან, თუკი ისინი თუნდაც ერთი დღით დაარღვევენ რეჟიმს, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებიან: კერძოდ, თუ ისაუზმებენ ისინი, რომელთაც არა რგებთ საუზმე, უმალ იღლებიან და მძიმდებიან სხეულითაც და გონებითაც, ამთქნარებენ, ეძინებათ და ძლიერ წყურდებათ, ხოლო თუ მას სადილსაც მიამატებენ, დაეწყებათ მუცლის გვრემა, ჭრა და კუჭიც აეშლებათ. ბევრისთვის იგი დიდი ავადმყოფობის მიზეზი გამხდარა მაშინაც კი, თუ იმ საჭმელს, რომლის ჭამასაც ერთჯერ იყენენ მიჩვეულნი, ორჯერ მიიღებდნენ და არა მეტჯერ. სხვებს კი, თუ ვინმე მიჩვეული იყო, რომ ესაუზმა და ეს მისთვის სასარგებლო იყო და, თუ არ ისაუზმებდა, მაშინვე, როგორც კი საუზმის დრო გადავიდოდა, მას დიდი უძლურება, კანკალი და სულით დაცემა ეწყებოდა, თვალე-ბი ჩაუცვივდებოდა, შარდი უმუქდებოდა და უცხელდებოდა, პირი უმწარდებოდა, შიგნეულობა თითქოს ეწვოდა, ეწყე-ბოდა თავის ბრუალი, სევდა, შრომისუუნარობა. ყოველივე ეს ემართებოდა სადილობის დაწყებისას. საჭმელი ნაკლე-ბად სასიამოვნო ხდება, ადამიანს აღარ შეუძლია იმ საკვე-ბის მიღება, რომელსაც წინა საუზმის დროს ღებულობდა. საკვები ჭვალვითა და ხმაურით ჩადის დაბლა და აცხელებს კუჭ-ნაწლავს. ღამეს ატარებენ მოუსვენრად, შიშით შეპყრო-ბილები საშინელი სიზმრების გამო. ბევრისათვის ეს დაა-ვადების დასაწყისიც კი გამხდარა.

11. საჭიროა დავაკვირდეთ, რის გამო მოხდა ყოველივე ეს გართულება. მე მგონი, რომ მან, ვინც მხოლოდ ერთჯერ ჭამას მიეჩვია, არ მოიცადა შესაბამის დრომდე, სანამ კუჭი დაალბობდა, დაძლევდა და ბოლომდე მოინელებდა წინადმიღებულ საკვებს, დაწყნარდებოდა და ადუღებულ და გახურებულ კუჭში კვლავ ჩაუშვა ახალი საჭმელი ასეთი კუჭი კი ძალიან ნელა ინელებს და სჭირდება კარგად დასვენება და დამშვიდება. ის კუჭი კი, რომელიც მიჩვეული იყო საუზმეს, იკუმშება და დნება შიმშილისაგან იმიტომ, რომ მაშინვე ვერ მიიღო ახალი საკვები. ჰოდა მე მიმაჩნია, რომ, რასაც ეს ადამიანები განიცდიან, ყველაფერი შიმშილის ბრალია. მე იმასაც ვადასტურებ, რომ სხვა, ჯანმრთელი ადამიანები თუ უჭმელები ორი ან სამი დღე დარჩებიან, იგივეს განიცდიან, რაც ვთქვი უსაუზმოდ დარჩენილების შესახებ.

12. ისეთი ინდივიდები კი, მე მგონი, რომლებიც მალევე და ძლიერ განიცდიან თავის ცდომილობებს, სხვებზე უფრო სუსტები არიან; ხოლო ვინც სუსტია, ის ყველაზე ახლოსაა ავადმყოფთან; ხოლო ვინც ავადაა, ის კიდევ უფრო სუსტია და ბევრად უფრო მეტად ზიანდება, თუ რაიმეს არაშესაფერისს მოიმოქმედებს და, თუ სამედიცინო ხელოვნებაში ასეთი სიზუსტე უნდა არსებობდეს, მაშინ ძნელი იქნება ამ სიზუსტის მიღწევა, მაგრამ სამედიცინო პრაქტიკაში ბევრია ისეთი რამ, რაც სწორედ ასეთ სიზუსტეს საჭიროებს, რაზეც ქვემოთ ვიტყვით. მე არ ვამბობ, რომ ამის გამო უნდა უგულვებელვყოთ სამედიცინო დახელოვნება, თითქოს არ არსებობდეს ასეთი რამ და იგი არასწორად იყოს მოპოვებული, თუკი მას ასეთი სიზუსტე არ ექნება ყველაფერში. პირიქით, რადგან მას შეუძლია დიდი უვიცობიდან ჭეშმარიტებამდე მივიდეს თავისი მსჯელობით, მე მგონი უფრო მეტადაც კი უნდა გაგვაკვირვოს იმან, რომ მრავალი რამ აღმოჩენილია სწორად და კარგად და არა შემთხვევით.

13. ახლა მე მინდა ვისაუბრო მათზე, რომლებიც, ახალ მეთოდზე დაყრდნობით, ჰიპოთეზიდან გამომდინარე

დახელოვნებაზე ფიქრობენ. თუ მართლაც არის რაიმე თბილი ან ცივი; მშრალი ან სველი, რომლებიც ვნებენ ადამიანებს, მაშინ მან, ვისაც სურს, რომ სწორად წარმართოს მკურნალობა, თბილი ცივით, ცივი თბილით, მშრალი –სველით, სველი მშრალით უნდა განკურნოს. ავიღოთ არა ბუნებრივად ძლიერი, არამედ შედარებით სუსტი ადამიანი, გამუდმებით ვაჭამოთ მას უმი და დაუმუშავებელი ხორბალი, ისეთივე, როგორიც მან უშუალოდ კალოდან აიღო, ჭამოს უმი ხორცი და სვას წყალი; მჯერა, რომ ასეთი კვების გამო ეს ადამიანი ბევრსა და მძიმე გასაჭირს განიცდის, იგი გაწამდება ტკივილებისაგან და სხეულიც დაუსუსტდება, კუჭიც დაუავადდება და დიდხანს სიცოცხლეს ვერ შეძლებს. როგორი წამალი უნდა მოვამზადოთ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანისათვის? თბილი თუ ცივი; მშრალი თუ სველი? უეჭველია ერთი მათთაგანი. სინამდვილეში, როგორც ისინი ამბობენ, თუ ვნებს ერთი, უნდა შეეუმსუბუქოთ საპირისპიროთი! მაგრამ უსარწმუნოესი და უთვალსაჩინოესი წამალი ამ შემთხვევაში არის ის, რომ მოვაშოროთ ის საკვები, რომელსაც ღებულობდა და ხორბლის ნაცვლად მივცეთ პური, უმი ხორცის ნაცვლად – მოხარშული და წყლის მაგიერ ვასვათ ღვინო და თუკი ეს მართლაც ასე იქნება, არ არსებობს, რომ ის არ გამოჯანმრთელდეს, თუ რომ განვლილი ხანგრძლივი კვების გამო იგი მთლად მოსპობილი არაა. რა შეგვიძლია ვთქვათ, რამ უშველა მას, ცივისაგან დაძაბუნებულს, თბილმა თუ პირიქით? მე მგონი, რომ ამისი შემკითხველი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. მან, ვინც პურს ამზადებს, გამოყო ვითომ ხორბლიდან თბილი ან ცივი, მშრალი ან სველი? პური ხომ წყალში იზილება, ცეცხლზე ცხვება და სხვა რაიმეც სჭირდება მის შექმნას, რომელთაც აქვთ თავისი ძალა და ბუნება. ნაწილი, რაც მათ ჰქონდათ, დაკარგა, სხვებს კი შეერია და შეუერთდა.

14. ისიც კარგად ვიცი, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სხეულისათვის იმას, წმინდა პურს ღებუ-

ლობს იგი თუ – შერეულს, ჩენჩოგაცლილი ხორბლისაგან დამზადებულს, თუ – ჩენჩოგაუცლელისაგან, ბევრ წყალში მოზელილს–თუ ცოტაში, კარგად მოზელილს–თუ ნაკლებად, კარგად გამომცხვარს–თუ გამოუშუშებელს და სხვა მრავალ ასეთს. იგივე ითქმის მაცას შესახებაც. თითოეულ ამაში არის დიდი ძალა და მათ ერთიმეორესთან თითქმის არაფერი აერთიანებს. ჰო და, ვინც ამ ყოველივეს არ დააკვირდება, ანდა დააკვირდება, მაგრამ ვერაფერს გაიგებს, რა უნდა გაიგოს მან ადამიანის ავადმყოფობის მიზეზის შესახებ?! აი, სწორედ ამ პირობებისაგან ასე თუ ისე იტანჯება და იცვლება ადამიანი და სწორედ ამ პირობებით ინარჩუნებს სიცოცხლეს როგორც ყოველი ჯანმრთელი ადამიანი, ისე ავადმყოფიც და გამოჯანმრთელების გზაზე მყოფიც. მართლაც სხვა არაფერია იმაზე უფრო სასარგებლო და აუცილებელი ამის შესანარჩუნებლად, ვიდრე საუკეთესოდ და შესაბამისი განსჯით შეეისწავლოთ ადამიანის ბუნება; ეს რომ ყოველივე აღმოაჩინეს პირველმა მკვლევარებმა, ამის პატივს ღმერთს მიაწერდნენ და ეს ახლაც ასე ხდება. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანს არ ვნებს არც ციცი და არც თბილი; არც მშრალი და არც სველი, არც რამ სხვა ამდაგვარი, რომ ადამიანს არა აქვს არავითარი გასაჭირი ყოველივე ამის გამო. მათი აზრით ადამიანს ვნებს ის, რაც თითოეულ საგანში არის ძალიან ბევრი, ადამიანის ბუნებაზე ზეაღმატებული, რომლის დაძლევა მას არ შეუძლია და ეძებდნენ მისი შეცვლის საშუალებებს. უძლიერესი კი არის ტკბილთა შორის უტკბილესი, მწარეთა შორის უმწარესი, მჟავეთა შორის უმჟავესი და საერთოდ ის, რაც მოცემულ საგანში არის გადაჭარბებული. ისინი ხედავდნენ, რომ ყოველივე ეს არის ადამიანში და ეგონათ, რომ ისინი ვნებენ მას. დიახაც, არის ადამიანში მწუთხეც, მწარეც, ტკბილიც, მჟავეც, მაგარიც, რბილიც და სხვა მრავალი თვისებით, რაოდენობითა და ხარისხით განსხვავებული ნივთიერებები და ყველა ისინი, შეზავებულნი და შეწონასწორებულნი, არ ჩანან და არ აწუხებენ ადამიანს, მაგრამ როცა რომე-

ლიმე მათთაგანი გამოცალკევდება და დაიწყებს მოქმედებას დამოუკიდებლად, მაშინ იგი ხილულიც ხდება და აწუხებს კიდეც ადამიანს. ასევე უნდა ითქვას საკვებზეც: რომელიც ჩვენს სხეულს საერთოდ არ ესაჭიროება და მაინც ვჭამთ, ვნებს ადამიანს. თითოეული მათგანი ხომ არის ან მწარე, ან მწუთხე, ან მჟავე, ან რაიმე სხვა სახით მოუზომელი და გადაჭარბებული და ამიტომ ორგანიზმში ისინი გართულებებს იწვევენ ისევე, როგორც ეს ხდება ორგანიზმში გამომუშავებული სხვადასხვა ნივთიერებების მომატების დროს. მაგრამ ყველაფერს, რასაც ადამიანი ჭამს და სვამს, ცხადია, აქვს ყველაზე მცირე წილი ამ განუზომელ და ყოელისდამძლევ სითხესთან შედარებით. მაგალითად პურს, მაცას და სხვა საჭმელს, რომლის ჭამასაც ადამიანები უხვად და გამუდმებით მიეჩვევნენ, იმ სანელებლებს გარდა, რომელიც მზადდება სიამოვნებისა და სიმაძღრისათვის და ეს მრავლადსარგებლიანი საკვები, თუნდაც რომ დიდი რაოდენობით მივიღოთ იგი, არავითარ გაღიზიანებას და საწინააღმდეგო ძალების გამოყოფას არ გამოიწვევს სხეულში; პირიქით, ხელს შეუწყობს სიძლიერეს, სხეულის კვებას და ზრდას და ეს არარა სხვა მიზეზის გამო არაა, თუ არა იმიტომ, რომ კარგად გაწონასწორებულებს არაფერი აქვთ მოუზომავი და გადაჭარბებული. პირიქით, ისინი არიან ერთიანნი და უბრალონი.

15. ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია, ისინი, რომლებიც ასე ამბობენ და საექიმო ხელოვნება მითითებული გზიდან ჰიპოთეტურზე გადაჰყავთ, როგორღა აპირებენ ადამიანების განკურნებას თავიანთ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით?! მე მგონი, რომ მათ ვერ მიუგნიათ რაიმე თავისთავად თბილი ან ცივი, მშრალი ან სველი ისეთი, რომელიც სხვა რომელიმე სახეობასაც არ მიეკუთვნება. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ მათაც ისეთივე საჭმელი და სასმელი აქვთ მხედველობაში, რომლებსაც ჩვენ ყველანი ვიყენებთ, მაგრამ ერთს მოიხსენიებენ თბილად, მეორეს კი—ცივად; ერთს მშრალად, მეორეს კი—სველად და მაშინ კი ეაგვიძნელდება, რომ ავად-

მყოფს გამოვუძებნოთ რაიმე თბილი, რადგან იგი პირდაპირ შეგვეკითხება: კერძოდ რა? მაშინ იძულებული გავხდებით ან მოვატყუოთ იგი, ან რომელიმე ნაცნობი საგანი უნდა დავუსახელოთ და თუ რაიმე თბილი იქნება ამასთანავე მწკლარტე, ან სველი, ან კიდევ სხვა რამ გამაღიზიანებელი – ხომ არსებობს სხვა მრავალი თბილი საგანი სხვადასხვა, განსხვავებული თვისებების მქონე და მოგვიწევს შევთავაზოთ რომელიმე მათგანი, ან თბილი და მწკლარტე, ან თბილი და სველი, ან ცივი და მწკლარტე –არიან ხომ ასეთებიც – ან ცივი და სველი და სხვა. აკი, რამდენადაც მე ვიცი, ყველაფერი საპირისპირო მომდინარეობს თითოეული ამ ორი თვისებიდან და ეს ასეა არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ ასევეა ეს, ვთქვათ, ხის ქერქში, თვით ხეში და სხვა მრავალ საგანში, რომლებიც ადამიანებზე ნაკლებ მგრძნობიარენი არიან და არა სითბოა დიდი ძალის მქონე, არამედ, ვთქვათ, სიმწკლარტე და სხვა მრავალი, რომლებზეც მე ვსაუბრიბდი, როგორც ადამიანებში, ისე ადამიანების გარდა იმ საგნებშიც, რომლებიც შედიან საჭმელისა და სასმელის შემადგენლობაში, რომდებიც ადამიანებში გარედან შედიან და მკვიდრდებიან.

16. ჩემი აზრით სხეულში სითბოს და სიცივეს უმცირესი ძალა აქვს ყველა სხვა თვისებათა შორის შემდეგი მიზეზის გამო იმ დრომდე, სანამ ცივი და თბილი იქნება ერთმანეთთან შეთვისებული, არ აწუხებენ ადამიანს, თანაზომიერებისა და თანაფარდობის გამო ხომ თბილი ივსება ცივისაგან, ცივი კი – თბილისაგან, ხოლო ცივი და თბილი და სხვა დანარჩენი არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს, მაგრამ თუ ერთი მეორესაგან განცალკევდა, მაშინ კი საზიანოა ერთიცა და მეორეც. როცა გამოცალკევდება სიცივე და ასე თუ ისე შეაწუხებს ადამიანს, მალევე ამის გამო ადამიანში გამოვლინდება სითბო ყოველგვარი დახმარებისა და მომზადების გარეშე და ეს ასე ხდება როგორც ჯანმრთელ, ისე ავადმყოფ ადამიანებში. თუ როსმე ვინმე ჯანმრთელთაგანი მოისურვებს ზამთარში სხეულის გაგრილებას ან ცივ

აბაზანაში, ან რაიმე სხვა საშუალებით. თუ, ცხადია, მთლად არ გაიყინება, რაც მეტად იზამს ამას, რათქმა უნდა, როცა ტანსაცმელს ჩაიცვამს და სახლში შევა, მით უფრო და მეტად გაუთბება სხეული. ხოლო, პირიქით, თუ ვინმე როსმე მოისურვებს, რომ ძლიერ გაცხელდეს ან ცხელ აბაზანაში, ან დიდ ცეცხლთან და მერე იმავე სამოსში დარჩენას და იმავე ადგილას ყოფნას, სადაც მას შეცივდა, მაშინ კიდევ უფრო შეცივდება და კანკალსაც დააწყებინებს; ან კიდევ, დიდი სიცხისა და ბულის დროს, როცა ვინმე მარაოთი ინიავებს და გრილდება, თუ შეწყვეტს მარაოს ქნევას, იგი ათჯერ მეტ სიცხესა და ხუთვას იგრძნობს, ვიდრე ის, ვინც ამას არ აკეთებდა. აი, აქ კიდევ მეტი: როცა ადამიანები თოვაში, ან სხვა რამ ყინვიან ამინდში სადმე მიდიან და დაეყინებათ ხელები, ფეხები და თავები, როგორ იტანჯებიან ღამით სიცხისა და ქავილისაგან მას შემდეგ, როცა ჩაიცვამ- დაიხურავენ და თბილ ადგილას გაჩერდებიან. ზოგიერთებს კი, თითქოს დამწვრობის გამოო, ბუშტუკებიც კი გაუჩნდებათ და ეს ყველაფერი მათ არ ემართებათ გათბობამდე. აი, ასე, უცებ ერთი მეორესაგან წარმოიქმნება. კიდევ სხვა ათასი ასეთი და სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. განა იმ ავადმყოფებს, რომელთაც ჩაამცივნებთ ხოლმე, უმალვე არ აძლევს მაღალ სიცხეს? სადაც ჩამცივნება ძლიერი კი არაა, არამედ მალევე წყდება და სხვა მხრივაც არაა მავნებელი, სიცხე ხომ დიდხანს შენარჩუნდება ხოლმე! – მთელ სხეულს რომ გაივლის, ის ფეხებში გაჩერდება, სადაც ჩამცივნებაც და სიცივეც ყველაზე ძლიერია და ყველაზე დიდხანს გრძელდება. შემდგომ, როცა ოფლი წამოვა და სიცხეც გაივლის, ავადმყოფს ბევრად უფრო ძლიერ ჩაამცივნებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, რომ მისთვის სიცხე თავიდანვე არ მიეცა. მაშ ასე, რატომაა რომ ყველაფერს მალევე მოსდევს საპირისპირო, რომელიც თავისთავად აქრობს მის ძალას, მისგან რა შეიძლება წარმოიქმნას რაიმე სერიოზული და საშინელი?! და, რატომაა ამ დროს საჭირო ექიმის დახმარება?!

17. ალბათ მეტყვის ვინმე, კი მაგრამ ცხელებით, ფილტვების ანთებით ან სხვა ძლიერი დაავადებით დაავადებულებს ხომ არ გასდით მალევე სიცხე და, ესეიგი, აქ ხომ მალევე არ ცელის ციეი თბილს? მე კი ამის კარგ დამადასტურებლად მიმაჩნია: არა მხოლოდ სითბოს გამო აძლევს ადამიანს სიცხეს, არა მხოლოდ ისაა ავადმყოფობის მიზეზი, არამედ არსებობს მწარე თბილთან ერთად, მჟავე თბილთან ერთად, მწუთხე თბილთან ერთად და სხვა მრავალი ისევე, როგორც ციეია შეერთებული სხვა თვისებებთან და ესენი, მართალია, ვნებენ, მაგრამ მათთან ერთად არის სითბოც, რომელსაც აქვს იმდენი ძალა, რომ ყველა მათგანთან ერთად წარმართავს, ამწვავებს და აძლიერებს დაავადებას, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებლის გარდა, არ აქვს.

18. ეს რომ ყველაფერი ასეა, კარგად ჩანს შემდეგი ნიშნებიდან: უპირველესად, ცხადია, უთვალსაჩინოესი მოვლენებიდან, რომელთაც თვითეული ჩვენთაგანი ხშირად თვით განეიცდით ახლაც და შევიგრძნობთ მომავალშიც. კერძოდ, როცა ჩვენ სურდო დაგვემართება და ცხვირიდან სითხე დაგვიწყებს დენას, ეს უკანასკნელი ბევრად უფრო მწვავეა იმასთან შედარებით, რომელიც ადრე ყოველდღიურად მოგვდიოდა ცხვირიდან; იგი ასივებს და წვავს ცხვირს, აცხელებს მას, რასაც საკუთარი ხელის შეხებითაც კი შევიგრძნობთ და, თუ ეს დიდხანს გაგრძელდება, დაგვიწყლულდება კიდეც გამხმარი და მკვრივი ადგილი.. სიმხურვალე კი ცხვირში გაგვიელის არა მაშინ, როცა ჯერ კიდეეაა გამონადენი და ანთება არ შემწყდარა, არამედ მაშინ, როცა წამოვა უფრო ბლანტი და ნაკლებ მწვავე, მომწიფებული და მასთან შერეული, როგორიც გვქონდა ადრე. ხოლო მათ კი, რომელთაც ეს დაავადება დაემართებათ მხოლოდ გაცივების გამო, სხვა რამეების შეერთების გარეშე, განკურნება წავა ერთადერთი გზით: ჩამცივნებას მოსდევს ჩახურება, სიცხეს გაგრილება და ყოველივე ეს ხდება მალევე და არ ჭირდება არავითარი მომწიფება. ყოველივე სხვა კი, რაც მომდინარე-

ობს [სხეულში არსებული] სითხის სიმწვავისა და არათანაფარდობის გამო, მე მგონი იმავე მიზეზით წარმოიქმნება და ქრება – მომწიფებითა და შეთანასწორებით.

19. ასევეა თვალებიდან წამოსული სითხეც, რომელიც შეიცავს ძლიერ და სხვადასხვაგვარ სიმწვავეს, რაიც აწყლულებს ქუთუთოებს, ზოგს კი უჭამს ლოყებს და თვალებქვეშა ადგილებს, რომლებზეც ის ჩამოედინება და თვით თვალის გუგას გარშემო არსებულ გარსს ხეთქს და ჭამს. ტკივილები, სიცხე და ძლიერი ანთება გრძელდება მანამ, სანამ არ მომწიფდება, გასქელდება და ჩირქად არ გარდაიქმნება ეს გამონადენი სითხე. გადამწიფება კი ხდება მაშინ, როცა მოხდება ურთიერთშერევა, გაწონასწორება და ურთიერთმომწიფება. ხოლო ის სითხეები, რომლებიც ყელში ჩაედინებიან, რომელთაგანაც იწყება ხრინწი, ანგინა, წითელი ქარი და ფილტვების ანთება, ყველანი თავიდან შეიცავენ მარილიან, სველ და მწვავე მასალას და ამათ გამო ავადმყოფობები ყოვნდებიან. ხოლო, როცა უფრო მომწიფებულები და უფრო სქელები ხდებიან და ყოველგვარი სიმწვავისაგან თავისუფლდებიან, მაშინ კი უკვე შეწყდება სიცხეც და სხვა ყველაფერიც, რაც აწუხებდა ავადმყოფს.

ეჭვგარეშეა, რომ ყოველივე არსებულის მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რისი არსებობაც აუცილებელია, რომ ისინი ისეთები იყვნენ, როგორებიც არიან, ხოლო, როცა ეს მდგომარეობა სხვაგვარი შერწყმით შეიცვლება, შესაბამისად შეიცვლება ეს საგანიც. ამგვარად, ყველაფერი, რაც მხოლოდ სითბოსმიერ, ან სიცივისმიერ წარმოიქმნება ყოველგვარი სხვა ძალისა და თვისების გარეშე, შეწყვეტს არსებობას მაშინ, როცა თბილი გაციდება, ან, შესაბამისად, ცივი გათბება. იცვლება იგი ისეთივე გზით, რომელიც ზემოთ ვთქვი. ასე რომ, სხვა ყველაფერიც, რაც ადამიანს აწუხებს, ძალისაგან მომდინარეობს. მაგალითად, თუ სხეულში ჩაიღვრება მწარე რამ სითხე, რომელსაც ჩვენ ყვითელ ნაღველს ვეძახით, ხომ ძლიერი მოუსვენრობა, სიცხე და სისუსტე დაგვეუფლება, ხოლო ამისაგან გათავისუფლებ-

ული კი, გნებავთ თვითგანწმენდით, გნებავთ წამლების დახმარებით, თუ ყველაფერი ეს დროულად მოხდება, მაშინვე უშუალოდ განვთავისუფლდებით როგორც ტკივილებისაგან, ისე სიცხისაგან. ხოლო მანამ, სანამ ყოველივე ეს შეუზავებელი და მოუმწიფებელია ორგანიზმში, არ არსებობს ისეთი რამ საშუალება, რაც შეწყვეტდა ტკივილებს და სიცხეს და, თუ ვინმეს დაჯაბნის მწვავე, ძლიერი და ჟანგიანი სიმჟავე, აი, მაშინ კი როგორი გამაშმაგებელი შეტევები და ცხელებები დაიწყება შიგნეულობასა და გულ-მკერდში.. როგორი უმწეობაა!.... და არ შეწყდება ყოველივე ეს მანამ, სანამ არ გაიწმინდება, არ შეერევა სხვას და არ დაწყნარდება ეს სითხე. ხოლო სითხის მომწიფება, ცვალება, შესუსტება თუ შესქელება ხდება ჩვეულებრივი წვენების მსგავსად მრავალი და სხვადასხვა საშუალებებით. ამიტომაც ასეთ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს კრიზისსაც და დროის ხანგრძლივობასაც, მაგრამ ამაში ყველაზე ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს სითბო და სიცივე, რადგან მათ არ შეუძლიათ არც დაჩირქება და არც რამ შესქელება.

სხვა რა შეგვიძლია ვთქვათ ამასთან დაკავშირებით? ხდება ვითომ სხვადასხვა ძალის ნივთიერებების შერევა?! სითბო ხომ სითბო აღარ იქნება არა სხვა რაიმესთან შერევის, არამედ სიცივესთან შერწყმის შემდეგ და პირიქით, სიცივე აღარ იქნება სითბოსთან შერწყმის შემდეგ. ხოლო, ადამიანის სხეულში არსებული ყველა დანარჩენი, რაც მეტ სითხეში შეერევა, მით უფრო მშვიდდება და მსუბუქდება და ადამიანი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს უკეთესად, როდესაც ეს სითხეები მომწიფდებიან და დამშვიდდებიან და აღარ იჩენენ არავითარ დამოუკიდებელ ძალას, თუმცა, ამის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე.

20. ზოგიერთი ექიმი და სოფისტი ამბობს, რომ მედიცინას ვერ შეისწავლი ისე, თუ არ იცი, რა არის ადამიანი; რომ ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც სურს, რომ უმკურნალოს ადამიანებს, მაგრამ მათი საუბარი ძირითადად მაინც ფილოსოფიას შეეხება, როგორიც მაგალითად ემპედოკლეა

და სხვები, რომლებიც წერდნენ ბუნების შესახებ, თუ რა არის ადამიანი დასაბამიდან, როგორ წარმოიშვა პირველად და რისაგან შედგება იგი. მე კი ვფიქრობ, რომ ყოველივე ის, რაც თქვეს ან დაწერეს როგორც სოფისტებმა, ისე ექიმებმა ბუნების შესახებ, მედიცინის ხელოვნებას იმდენად არ ეხება, რამდენადაც მხატვრულ მეტყველებას. მე მგონი, რომ ბუნების ჭეშმარიტი შემეცნება არაფრით სხვით არ ხდება, თუ არა სამედიცინო ხელოვნების მეშვეობით, მაგრამ ამისი გაგება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას კარგად ფლობენ, ხოლო, ვისაც ეს არ შეუძლია, მგონი ის ძალზე შორსაა ყოველივე ამისაგან. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი: რა არის ადამიანი, ზუსტად რა მიზეზით წარმოიქმნა იგი და სხვა მრავალი. აი მე რა მგონია:

ყოველი ექიმი ვალდებულია, იცოდეს ბუნების შესახებ ყველაფერი და, ამავე დროს, ესმოდეს თავისი მოვალეობა და მთელი თავისი ყურადღება ამის გაგებას უნდა მიაპყროს, თუკი უნდა, რომ აღასრულოს თავისი მოვალეობა, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანი საჭმელთან და სასმელთან მიმართებაში და ყველა სხვა დანარჩენს და იმასაც, თუ რა შეიძლება მოხდეს ერთის, ან მეორისაგან და არა მხოლოდ ასე: " ყველი ცუდი საჭმელია, ის ხომ დიდ ზიანს აყენებს მის გადაჭარბებულად მჭამელს", მაგრამ კერძოდ რომელ, როგორ ტკივილს, რა მიზეზით და ადამიანის სხეულის რომელ ნაწილს არა რგებს იგი? კიდევ სხვა მრავალი უხომო საჭმელიც და სასმელიც მავნებელია ადამიანისათვის, თუმცა ისინი ყველანი ერთნაირად როდი მოქმედებენ. თუ ვინმე შესვამს ბევრ სუფთა ღვინოს, მას, ცხადია, ჩააგდებს გარკვეულ მდგომარეობაში; მაგრამ მისმა ყველა მხილველმა იცის, რომ მისი ასეთი მდგომარეობის მიზეზი ღვინის ძალაა და ჩვენ უკვე ისიც ვიცით, თუ უმეტესად ადამიანის რომელ ნაწილზე მოქმედებს იგი.

მე ამით იმისი თქმა მინდა, რომ ამგვარი ჭეშმარიტება ყველა სხვა შემთხვევაშიც ასეთივე ნათელი უნდა იყოს. ყველი ხომ, რადგან ჩვენ იგი მაგალითად მოვიყვანეთ, ყვე-

ლა ადამიანისათვის ერთნაირად მავნებელი არაა, ხომ არიან ისეთებიც, რომლებიც ჭამენ მას, მაგრამ არავითარ. ზიანს არ განიცდიან მისგან, პირიქით, ვისაც ის შეერგება, გასაოცარ ძალასაც კი აძლევს მას; თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ნამდვილად ძნელად ინელებენ ყველს. შესაბამისად, ცხადია, ისინი განსხვავებული ბუნებისანი არიან. განსხვავდებიან ისინი იმიტომ, რომ ადამიანის სხეულში არის ყველის საწინააღმდეგო რაღაც და იგი ყველით ამოქმედდება და გაღიზიანდება. ვისაც ეს ნიეთიერება ბევრი აქვს სხეულში, ცხადია, მას კიდევ უფრო მეტად ენებს ყველი. მაგრამ ყველი რომ ყოველნაირი ბუნების ადამიანისათვის მავნებელი ყოფილიყო, ცსადია, მაშინ იგი ყველას ავნებდა და, ვისაც ეს ეცოდინებოდა, იგი არც გაიწვალებდა თავს.

21. დაავადებებიდან გამოჯანმრთელებისას და ასევე ხანგრძლივი ავადმყოფობების დროსაც მიმდინარეობს მრავალნაირი გართულებები, რომელთაგან ზოგი თავისთავადია, ზოგი კი რაიმე მიზეზითაა გამოწვეული. მე კი ვიცი მრავალი ისეთი ექიმი, რომლებიც, უბრალო ადამიანების მსგავსად, თუ ავადმყოფმა, თუნდაც იმავე დღეს რაიმე ახალი მოიმოქმედა, ვთქვათ იბანავა, ან ისეირნა, ან ჭამა რაიმე განსხვავებული, თუნდაც რომ სინამდვილეში უკეთესი ყოფილიყო ამისი გაკეთება, მაინც ამ გაღიზიანების მიზეზად მიიჩნევენ ავადმყოფთა ამა თუ იმ საქციელს და, რადგან არ იციან ნამდვილი მიზეზი, უხსნიან ამათუ იმ, ვინ იცის სასარგებლო დანიშნულებას. ასე კი არ უნდა მივიქცეთ, არამედ კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს უდროო ბანაობამ, ან რას გამოიწვევს დარდი და სხვა, რადგან ყოველთვის როდია მავნე ადამიანისათვის მაძღრისად ან ამა თუ იმ საჭმელის საერთოდ ჭამა. მაშ ასე, ვინც არ იცის, თუ თითოეული ამათგანი როგორ მოქმედებს ადამიანზე, ის ვერ გაარკვევს, რა შეიძლება მოყვეს ამას და ვერც გამოიყენებს ყოველივეს წესისამებრ.

22. ჩემი აზრით ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ რომელი ტკივილები აქვს ადამიანებს ამა თუ იმ სითხის ძალებისა-

გან და რომელი ამა თუ იმ ნაკვთებისაგან ამის შესახებ მე ვიტყოდი: ძალებში მე ვგულისხმობ (ადამიანის სხეულში არსებულ) სითხეთა სიმწვავესა და სიძლიერეს, ხოლო ნაკვთებში მას ყველას, რაიც ადამიანთა სხეულში არსებობს. აკი წიაღთა ზოგიერთი ნაწილი ფართოდან ვიწროში გადადის, ზოგი დაჭიმულია, ზოგი მტკიცეა და მრგვალი, ზოგი ფართო ან ჩამოკიდებული, ზოგი დაჭიმული, ზოგი გრძელი, ზოგიც მკერივი, ზოგი რბილი და სითხისშემცველი, ზოგი უხეში ან ფაშალი...

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა იწოვს და იზიდავს სითხეს სხეულის დანარჩენი ნაწილებიდან: ღრუ და გაშლილი ან მკერივი და მრგვალი, თუ ფართოდან თანდათან დავიწროებული? – მე ვფიქრობ, რომ ფართო წიაღიდან თანდათან დავიწროებული. ამაში დარწმუნება ადვილად შეიძლება თვალხილულ საგნებზე გარეგნული დაკვირვებითაც; ასე მაგალითად, დაღებული პირით სითხეს ვერ შეხვრეპ, ხოლო, თუ ტუჩებს მოკუმავ, მოწოვ და მოქაჩავ, ანდა თუ, მითუმეტეს, მილაკით მოწოვ, რამდენიც გნებავს, ადვილად შესვამ; ამასთანავე ნათლად აჩვენებენ ამას კოტოშები, რომლებშიც გაფართოებული ნაწილი თანდათან გადადის ვიწროში, რაიც შექმნილია იმისათვის, რომ სხეულიდან გამოქაჩოს და გამოიწოვოს სითხე... და სხვა მრავალი ასეთი იმ ნაწილებიდან, რომლებიც ბუნებრივად ადამიანის სხეულის შიგნით არიან. ასეთივე ფორმა აქვთ საშარდე ბუშტსაც და თავსაც, ასევე საშვილოსნოს. ნათელია, რომ ეს ორგანოები უხვად ისუტავენ სითხეს და მერე მუდამ სავსენი არიან ამ სითხით. ღრუ და ღია ნაწილები, ცხადია, ყველაზე მეტი რაოდენობით ღებულობენ მათში გამავალ სითხეს, მაგრამ ვერ იწოვენ მას შესაბამისი ოდენობით. ხოლო მკერივი და მრგვალი ნაწილები ვერც იწოვენ და ვერც ინარჩუნებენ მათზე გამდინარე სითხეს, რადგან იგი იღვრება სიმრგვალიდან და არაა ადგილი მის მოსათავსებლად, ხოლო ნებისმიერი ღრუბლოვანი და ფაშალი ნაწევარი, როგორებიცაა ელენთა, ფილტვები, სარძევე ჯირკვლები და სხვა, ადვილად

იწოვენ მათ გარშემო არსებულ სითხეს და რადგან მათში დიდი რაოდენობით გროვდება სითხე, ძალიან მაგრდებიან და იზრდებიან. თუმცა სინამდვილეში ელენთაში ისეთი სითხე არაა, როგორიც კუჭში. კუჭი მას გარედან იღებს და ყოველდღე იცლება, ხოლო როცა ელენთა თავისთავად იწოვს და ღებულობს სითხეს, მისი ცარიელი და მეჩხერი ადგილებიც და პატარ-პატარა ფოსოებიც ივსებიან; ამის გამო იგი რბილისა და ფაშალის ნაცელად მაგარი და მტკიცე ხდება, იგი არც გადაამუშავებს მას და არც გარეთ გამოყოფს. ყოველივე ეს გამომდინარეობს ამ ნაკვთების ბუნებიდან.

ხოლო ყველაფერი, რასაც წარმოშობს ორგანიზმში ჰაერი და მისი ბრუნვა ცარიელ და შედარებით ფართო სივრცეში, მაგალითად გულ-მკერდის ღრუსა და მუცელში, ბუნებრივია, იწვევს ხმაურსა და შიშინს, რადგან ჰაერი ისე კი არ აევსებს მას, რომ ერთ ადგილას გაჩერდეს, არამედ იგი არის ცვალებადი და მოძრავი, რის გამოც იგი იწვევს ცხად ხმაურსა და მოძრაობას. ლბილსა და ქსოვილოვან ნაწილებში კი ჰაერი იწვევს გადავსებას და გაშეშებას, როგორც ეს ხდება ხოლმე, მაგალითად, დადამბლავებულ ორგანოებში. ხოლო თუ ჰაერი შეხვდება რაიმე ფართოს და საწინააღმდეგოდ მდებარეს და მას მიაწვება და ეს ორგანო კი იქნება ბუნებრივად არც ისე მაგარი, რომ გაუძლოს მის ძალას და არაფერი დაუშავდეს, და არც ისე რბილი და ფაშალი, რომ განიცადოს მისი ძალა და დაემორჩილოს, მაგრამ იქნება სათუთი, სველი, სისხლით გაჟღენთილი და ამასთანავე მტკიცე, როგორც მაგალითად ღვიძლი, მაშინ იგი თავისი სიმტკიცისა და სიფართოვის გამო ეწინააღმდეგება და არ ემორჩილება მას, ჰაერი კი აწვება და კიდევ მეტი ძალით უტევს, იგი კი ეწინააღმდეგება და რადგანაც ეს ადგილი სათუთია და სისხლით ავსილი, ხომ არ შეიძლება რომ ეს მისთვის მტკივნეული არ იყოს. ამიტომაც ამ ადგილებში იწყება ხშირი და ძლიერი ტკივილები, მრავალგვარი დაჩირქებები და ჩირქოვანი მუწუკები. ყოვე-

ლიევე ეს ასევე ხდება შუასაძგიდთან მიმართებაშიც, მაგრამ არა ასეთი სიძლიერით, რადგან შუასაძგიდი ფართოდაა მიმართული ჰაერის საწინააღმდეგოდ, ბუნებრივად მტკიცეა და მყესოვანი, რის გამოც ნაკლებად განიცდის ტკივილებს, თუმცა ზოგჯერ ამ ადგილებშიც არის ხოლმე ტკივილებიც და ჩირქგროვებიც.

23. ასევე ბევრია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ნაკეთი, რომლებიც ავადმყოფობასთან მიმართებაში დიდად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც ავადმყოფ, ისე ჯანმრთელ ადამიანებში. ასეთებია მცირე და დიდი თავები, წერილი და სქელი, ან მოკლე და გრძელი კისრები; მრგვალი ან წაგრძელებული მუცლები, გულ-მკერდისა და ნეკნების სივიწროე და სიფართოე და სხვა მრავალი და, საჭიროა, რომ ვიცოდეთ ყოველივე ეს იმისათვის, რომ თითოეულის მიზეზის გაგებით შესაბამისად მოვუფრთხილდეთ მათ.

24. რაც შეეხება სითხეთა თვისებებს, (როგორც უკვე ითქვა), მათ ისე უნდა შევხედოთ, თუ რომელი მათგანი როგორ მოქმედებს ადამიანზე და რა მიმართებაში არიან ისინი ერთიმეორესთან. აი, რისი თქმა მინდა ამით: თუკი ტკბილი სითხე მიიღებს სხვა თვისებას არა შერევით, არამედ თავისთავად, მაშინ, უპირველესად, როგორი იქნება იგი: მწარე თუ მწუთხე, მწკლარტე თუ მჟავე? – მე ვფიქრობ, რომ – მჟავე, მაგრამ მჟავე სითხე ყველა სხვასთან შედარებით იქნება ყველაზე უფრო შეუფერებელი, თუ ტკბილი ყოველთა შორის არაშესაფერისად ჩაითვლება.

ასე რომ, თუ ვინმეს, ვინც გარეგნულად იკვლევს ავადმყოფს, წარმატების მიღწევა უნდა, იგი ყოველთვის შეძლებს, რომ საუკეთესო აირჩიოს.. საუკეთესო კი ისაა, რომელიც მარად შორსაა შეუსაბამოსთან.

ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ.

I. ვისაც მოესურვება საექიმო ხელოვნების სწორად წარმართვა, შემდეგი უნდა მოიმოქმედოს: უპირველეს ყოველისა უნდა გაითვალისწინოს წელიწადის დროთა თავისებურებები, თუ რა ძალა გააჩნია თითოეულ მათთაგანს. სინამდვილეში ხომ მათ საერთო თითქმის არაფერი აქვთ. პირიქით, საკმაოდ განსხვავდებიან როგორც ერთიმეორისაგან, ისე შინაგანი ცვალებადობით. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ქარებიც, როგორც ციელები, ისე თბილები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც საერთონი არიან ყველა მოდგმის ადამიანთათვის, შემდეგ კი ისინიც, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. ასევე უნდა გავითვალისწინოთ წყლის ხარისხიც, რადგან, როგორც განსხვავდებიან ისინი გემოთი და ხვედრითი წონით, ისევე განსხვავდებიან ქმედითუნარიანობით.

ამიტომაც, როცა ვინმე მივა მისთვის უცნობ ქალაქში, ყურადღება უნდა მიაქციოს მის მდებარეობასაც იმისათვის, რომ გაიგოს, თუ როგორაა იგი მიქცეული ქარებისა და მზის ამოსვლის მიმართ, რადგან არაერთიდაიგივე თვისებები ახასიათებთ ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ მიმართულ ქალაქებს, ასევე მის განლაგებას მზის ამოსვლისა და ჩასვლის მიმართ. ასევე საჭიროა, რომ უდიდესი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა მდგომარეობაა ამ ქალაქში წყლების თვალსაზრისით, იყენებენ ისინი ჭაობის რბილ, მაღალი კლდოვანი ადგილებიდან მომდინარე ხისტ, თუ მარილიან და მოსანელებლად შეუფერებელ წყალს. თვით ნიადაგსაც უნდა დავაკვირდეთ, შიშველია იგი და გამომშრალი, თუ ტყიანი და ნესტიანი, მდებარეობს იგი ჩაღრმავებულ და სიცხისაგან ჩახურებულ, თუ მაღალსა და გრილ ადგილას.

ხალხის ცხოვრების ნირსაც უნდა დავაკვირდეთ; თუ რა უფრო უყვართ: უყვართ თუ არა სმა, ქეიფი და გართობა, თუ უფრო მოსწონთ შრომა და ვარჯიში, ჭამენ ბევრს და არ სვამენ...

II. კიდევ აი რა უნდა გავითვალისწინოთ: თუ ვინმე მივა უცნობ ქალაქში და ყოველივეს კარგად დააკვირდება, საუკეთესოა აქ ყოველივე თუ არა, ან, ყოველ შემთხვევაში, მათგან უმრავლესობა თუ ვერ შეძლებს, რომ დაუმალოს მას ამ ადგილებისათვის დამახასიათებელი დაავადებები და ისიც, თუ როგორია ამ დაავადებათა ბუნება, მაშინ იგი არც დაიბნევა და არც გაუჭირდება მათგან განრიდება და, თუკი ვინმე, წინასწარვე ამისი გამომცნობი ყოველივე ამ პირობას გაითვალისწინებს, ეს უკანასკნელიც ჩვეულებისამებრ წარიმართება, ხოლო დროთა განმავლობაში იგი მთელი წლით იწინასწარმეტყველებს, თუ რომელი საყოველთაო დაავადებები იმძვინვარებენ ამ ქალაქში ზაფხულობით თუ ზამთრობით და რომელი ცალკეული დაავადებები ემუქრება თითოეულს ცხოვრების ნირის შეცვლის გამო. აკი, ვისაც ეცოდინება წელიწადის დროთა ცვალებადობა, ვარსკვლავთა ამოსვლისა და ჩასვლის განჭვრეტა, თუ როგორ მიმდინარეობს თითოეული მათგანი, იგი შეძლებს მომავალი წლის მდგომარეობის გამოცნობასაც.

ამგვარად გამოკვლევის წარმმართველი, თუ განჭვრეტს დროთა შემთხვევითობას, საუკეთესოდ გამოიცნობს თითოეულის ბუნებას, ბევრს მიაღწევს ჯანმრთელობის შენარჩუნების მხრივ და არანაკლებს დახელოვნების თვალსაზრისით.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მეტეოროლოგიის საქმეა, ცდება და, თუ ამას გადაიფიქრებს, ადვილად დარწმუნდება, რომ ვარსკვლავთმცოდნეობას მედიცინასთან არა თუ მცირე, არამედ ძალიან დიდი საერთო აქვს, აკი წელიწადის დროთა ცვალებადობის შესაბამისად იცვლება ადამიანის კუჭიც და დაავადებებიც.

III. კერძოდ თუ რომელი საშუალებებით უნდა განვჭვრიტოთ და გამოვიკვლიოთ თითოეული, ჩამოთვლილი შემთხვევები, ქვემოთ გასაგებად განვმარტავ:

რომელი ქალაქიც განლაგებულია ზამთრის მზის ამოსვლისა და ჩასვლას შორის მქროლავ თბილი ქარების მიმართ და ეს მისთვის ჩვეულებრივი რამაა, ჩრდილოეთის

ქარებისაგან კი დაცულია, იმ ქალაქში მარად იქნება ბევრი, როგორც მლაშე, ისე წვიმის წყლები, ზაფხულში თბილები, ზამთარში კი – ცივები; მის მცხოვრებთ აქვთ სირისტიანი, ლორწოვანი თავები; თავიდან გამონადენი ლორწოს გამო ხშირად ეშლებათ კუჭი... უმრავლესობას აქვს შესახედავად მეტად სუსტი სხეული, კარგად არც ჭამა შეუძლიათ და არც სმა. აკი მათ, რომელთაც რბილი თავები აქვთ, არასოდეს შეუძლიათ კარგად სმა, რადგან მეორე დღეს მეტისმეტად აწუხებთ ე.წ. ზარხოში.

ადგილობრივი დაავადებები კი შემდეგია: უპირველესად ქალები არიან სნეულები და მენსტრუაციისადმი მიდრეკილები, მრავალნი არიან უნაყოფოები არა ბუნებრივად, არამედ ავადმყოფობის გამო და თუ როგორმე დაორსულდნენ, ხშირად ეშლებათ მუცელი; ბავშვებს კი ემართებათ კონვულსიები და ასთმები, რომელთაც ღმერთებს მიაწერენ და წმინდა დაავადებებს უწოდებენ; მამაკაცებს ხშირად აქვთ დისენტერიები და ფაღარათები, ზამთრისეული ხანგრძლივი ციებები, ხანგრძლივი ღამისეული გამონაყარები (ეპინიკტიები), სისხლდენები უკანა ტანიდან, თუმცა პლევრიტი, პერიპნევმონია, ციება და სხვა ასეთი მწვავე დაავადებები ჩვეულებრივები არიან და სუსტკუჭიანებს იშვიათად ემერთებათ;

თვალთა დაავადებები არსებობენ ნესტიანები, ძნელები და არახანგრძლივები, თუ რომ წელიწადის დროთა დიდი ცვალებადობის გამო არ გავრცელდა რაიმე საყოველთაო დაავადება. ხოლო ორმოცდაათ წელს გადაბიჯებულებს, თუ მათი თავი მზის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა ან სიცივისაგან გაითოშება, ტვინიდან გამონადენი ლორწოს გამო დამბლა ემართებათ.

აი, ასეთია ამ ქალაქების მცხოვრებთა ადგილობრივი დაავადებები, ხოლო, თუ წელიწადის დროთა ცვალებადობის გამო რაიმე საერთო დაავადება გავრცელდება, ისინი მათ მიმართაც მიდრეკილები არიან.

IV. ხოლო იმ ქალაქებში, რომელთაც აქვთ ამის საპირისპირო მდებარეობა და მიმართულნი არიან ზაფხულის

მზის ჩასვლასა და ამოსვლას შორის მქროლავ ადგილობრივ, ცივ ქართა მიმართ, სამხრეთული და საერთოდ თბილი ქარებისაგან კი განშორებულნი არიან, მდგომარეობა ასეთია: უპირველესად ის უნდა ითქვას, რომ იქ წყლები არიან ხისტები და ციელები, რის გამოც ადამიანებიც უცილობლად უნდა იყვნენ გამხდრები და მტკიცე აღნაგობისანი; მათ უმეტესობას კუჭები აქვთ ქვემოდან დაუძლეველები და მაგრები, ზემოდან კი უფრო ლბილები და გამტარები და ამავე დროს უფრო მეტად მარაგდებიან ნაღველით და არა ლორწოთი. თავები აქვთ ჯანმრთელები და მაგრები, უმეტესობას აქვს ე.წ. რეგმატიები (ρηγματιαι–ნაპრალები?). მათ შორის გავრცელებულია შემდეგი დაავადებები – ხშირი პლევრიტები და მწვავედ სახელდებული სხვა დაავადებები... და ეს აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული, რადგან მათ აქვთ მკვრივი კუჭები. ასევე მრავალთ, სხვადასხვა შემთხვევების გამო უჩნდებათ დაჩირქებები, რისი მიზეზიც არის სხეულის დაძაბულობა და კუჭის სიმკვრივე – სიმშრალე ხომ ნაპრალების წარმოქმნის მიზეზია, სიცივე კი წყლისა. ასეთი ინდივიდები აუცილებლობის გამო არიან ღორმუცელები, მაგრამ არამსმელები – ხომ არ შეიძლება, რომ ადამიანმა ერთდროულად ბევრიც ჭამოს და ბევრიც სვას. თვალებიც ასტკივდებათ ხოლმე მათ დროდადრო ისე მწვავედ და ძლიერად, რომ თვალები ძალიან სწრაფად უსკდებათ (ρηγνυσθαι).

ოცდაათ წლამდე მიღწეულ ახალგაზრდებს ზაფხულობით ეწყებათ ცხვირიდან ძლიერი სისხლდენები და ასევე არც თუ ისე ხშირად, მაგრამ მძიმედ ემართებათ ე.წ. ღვთაებრივი დაავადებები. აქაური ადამიანები, ცხადია, გამოირჩევიან სხვებთან შედარებით ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით. აქაურებს უჩნდებათ ხოლმე არაანთებითი და არც თუ მძიმე წყლულები. ამ ადამიანთა ზნე-ჩვეულებები უფრო ველურია, ვიდრე ზომიერი. მამაკაცებისათვის დამახასიათებელია იქაური და წელიწადის დროთა ცვალებადობით გამოწვეული სხვა შემთხვევითი დაავადებებიც.

რაც შეეხება ქალებს: უპირველეს ის უნდა ითქვას, რომ უმეტესობა უნაყოფონი არიან ხისტი, მუავე და ცივი წყლების გამო, რადგან ძნელი და არასაკმარისია მათი მენსტრუალური გაწმენდები. ამასთანავე მძიმედ მშობიარობენ ისინი, თუმცა მუცელი იშვიათად ეშლებათ. მშობიარობის შემდეგ არ შეუძლიათ ბავშვის კვება, რადგან რძე უშრებათ წყლის სიხისტისა და სიმუავის გამო. ბავშვებს ხშირად აქვთ თანდაყოლილი ჭლექი და ამის გამო იტანჯებიან ძარღვების საცობებითა და სპაზმებით. ბიჭებს პატარაობისას ყვერის კაკლებზე უჩნდებათ წყალმანკური სიმსივნეები, რომლებიც თანდათანობით, ნელ-ნელა უქრებათ. ასეთ ქალაქებში გვიან აღწევენ სიმწიფეს.

V. მაშ ასე, თბილი და ცივი ქარების და მათდამი მიმართული ქალაქების შესახებ საქმე ისეა, როგორც ითქვა ზემოთ, ხოლო იმ ქალაქების შესახებ, რომლებიც მიმართული არიან მზის ზაფხულისა და ზამთრის ამოსელას შორის მქროლავ ქართა მიმართ და, აგრეთვე მათ შესახებ, რომლებიც საპირისპირო მდებარეობისანი არიან, საქმე ასეა: ისინი, რომლებიც მდებარეობენ მზის ამოსელის პირისპირ, ბუნებრივად ჯანმრთელები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ჩრდილოეთის და თბილი ქარების პირდაპირ დგანან, თუნდაც მანძილი მათ შორის ერთი სტადიონი იყოს. –უმთავრესი ისაა, რომ სითბო და სიცივე აქ ყოველთვის ზომიერია; ამასთანავე აქ წყლები, რადგან აღმოსავლეთისაკენ არიან მიმართულნი, ბუნებრივად არიან გამჭვირვალენი, კეთილსურნელოვანნი, ლბილები და სასმელად სასიამოვნონი, რადგან, ახლადამოსული მზე რომ ასხივებს, თავისი სხივებით განდევნის დილის ნისლს და ამდენად, ასუფთავებს წყლებს.

ადამიანთა გარეგნული შესახედაობა, თუ ამას ხელი არ შეუშალა რომელიმე დაავადებამ, არის ბრგე და ახალგაზრდული; აქვთ მიმადლებული მკაფიო ხმა, ცხოვრების ნირითა და განსჯისუნარიანობით სჯობნიან ჩრდილოელებს, რადგან, ყოველივე სხვაც, იქ დაბადებული, საუკეთესოა. ასეთი მდებარეობის ქალაქებში სითბოსა და სიცივის შეთანასწორე-

ბის გამო, თითქოს სულ გაზაფხულია. თვით დაავადებებიც აქ იშვიათად ჩნდებიან და ისინიც სუსტები არიან, ჰგვანან იმ დაავადებებს, რომლებიც იცის თბილი ქარების მიმართ მიქცეულ ქალაქებში. ქალები იქ ერთობ ნაყოფიერნი არიან და ძალიან ადვილად მშობიარობენ.

VI. ის ქალაქები კი, რომლებიც მიქცეულნი არიან დასავლეთისაკენ, რომლებსაც არ ხვდებათ დასავლეთის ქარი და ნელა უბერავს როგორც თბილი, ისე ჩრდილოეთის ცივი ქარი, თავისი მდებარეობის გამო, ბუნებრივადაა მიდრეკილი ყოველგვარი დაავადებისაკენ, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მათ აქვთ მღვრიე წყლები, რისი მიზეზიც ისაა, რომ ამ ადგილებს დილის საათებში თითქმის ყოველთვის ფარავს ნისლი და იგი, წყალში შერეული, აბლანტებს მას, მზე კი მას მხოლოდ შუადღის მერე ანათებს. ზაფხულში დილაობით ქრის ცივი სიო და დებს ნამს, ნაშუადღევს კი მზის მცხუნვარება თითქოს ხარშავსო ადამიანს. ამიტომაც ისინი, ცხადია, არიან უყერულები და სუსტები, მიდრეკილები ყველა, ზემოთდასახელებული დაავადებებისაკენ, არცერთისაგან არავინ არაა დაზღვეული. მათ აქვთ ხრინწიანი და უხეში ხმა იმ ბინძური და არაჯანმრთელი ჰაერის გამო, რომელიც იქაა; იქაური ჰაერი ხომ მცირედ იწმინდება ჩრდილოური ქარებისაგან, რომლებიც იქ მხოლოდ იშვიათად ქრიან; ის ქარები კი, რომლებიც ყოველთვის ქრიან და ჯაბნიან ჩრდილოეთის ქარებს, მეტად ნოტიონი არიან, დასავლეთიდან მქროლი ქარები ხომ ჩვეულებრივ ასეთებია. დღის დროთა ცვალებადობის თვალსაზრისით ასეთი ქალაქის მდგომარეობა შემოდგომისას უფრო ჰგავს, რადგან ბევრი განსხვავებაა დილისა და საღამოს დროთა შორის,

VII. სასარგებლო და არასასარგებლო ქარებთან დაკავშირებით აი, ასეა საქმე, ახლა კი მოგითხრობთ წყლების შესახებ, კერძოდ იმაზე, თუ რომელი მათგანია მავნებელი, რომელი მეტ-ნაკლებად სასარგებლო და, თუ როგორი უსიამოვნებანი ან სიკეთეები მომდინარეობენ მათგან, რადგან წყალს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ჯანმ-

რთელობის საქმეში. ჭაობის, მდგომარე და ჭის წყლები ზაფ-ხულობით თბებიან, ბლანტდებიან და ყროლდებიან, რადგან ისინი არ გაედინებიან და გამუდმებით შეივსებიან ყოველი წვიმის დროს და თბებიან მზის სხივებით, რის გამოც, ცხადია, ხდებიან უფერულები, უვარგისები და ნაღველმდენ-ები. ზამთრობით კი ისინი ცივდებიან, იყინებიან და მათში ერევა როგორც თოვლი, ისე ყინული, რის გამოც იწვევენ ძლიერ ლორწოსა და ხრინწს; მათ მსმელებს ელენთები მუდამ გადიდებული და გამაგრებული აქვთ, მუცლები— მაგრები, თხელები და თბილები, ხოლო მხრები, ლავიწები და სახეები უმჭლევდებათ, რადგან ქსოვილი ელენთისაკენ გადადის, რის გამოც ისინი გამხდრები არიან. ასეთ ინ-დივიდებს შესაბამისად აქვთ ძლიერი მადა და წყურვილი და კუჭი როგორც ზემო, ისე ქვემო მხრიდან აქვთ მეტად მშრალი და ცხელი, რის გამოც ესაჭიროებათ ძლიერი გამ-წმენდი საშუალებები და ეს განცდები მათ ჩვეულებრივ აქვთ ზამთარშიც და ზაფხულშიც. ამას გარდა არც თუ იშვიათად უჩნდებათ საბედისწერო წყალმანკები, ზაფხულო-ბით კი ხშირი დისენტერიები და ფაღარათები, ასევე — ორ-დღიანი და ხანგრძლივი ციებ-ცხელებებიც. ეს დაავადებები კი, როცა ძალიან დიდხანს გრძელდებიან, ასეთებს უჩენენ წყლულებს და ზოგჯერ კლავენ კიდეც. ეს დაავადებები მათ ზაფხულობით ემერთებათ. ზამთრობით კი უფრო ახ-ალგაზრდებს ეწყებათ ფილტვების ანთება და მანიაკალური დაავადებები, ხოლო უფროსებს—ცხელებები (კაუსოსები) კუ-ჭის გამაგრების გამო. ქალებს უჩნდებათ სიმსივნეები და "ლევკოფლეგმები", ასევე ძნელად ფეხმძიმდებიან და მშობი-არობენ, ნაყოფები არიან დიდები და გაფუებულები, შემდეგ კი უმწეოები და ავადმყოფები იზრდებიან. ქალებს არ აქვთ ხოლმე აგრეთვე კარგი მშობიარობისშემდგომი გაწმენდე-ბი. ბავშვებს ხშირად უჩნდებათ ტრიკები, მამაკაცებს კი — ვარიკოზული გაგანიერებები და წყლულები წვივებზე. ასეთი ინდივიდები, ცხადია, ვერ იქნებიან დღეგრძელები და მარ-თლაც განკუთვნილ დროზე ადრე ბერდებიან. ისეც ხდება

ხოლმე, რომ ქალებს თავი ფეხმძიმედ ჰგონიათ, მაგრამ, როცა მშობიარობის დრო დადგება, მუცელი უქრებათ. ეს ასე მაშინ იცის, როცა საშვილოსნოზე წყალმანკები უჩნდებათ... ამიტომაც, ასეთი წყლები, ჩემი აზრით, არაფრისათვის არაა გამოსადეგი. ამ წყლების შემდეგ მეორე ადგილზე მე ვაყენებ იმ წყლებს, რომლებიც ქვა-კლდეებიდან გამოედინებიან (ისინი, ჩვეულებრივ, ხისტები არიან), თუ მიწიდან გამოედინებიან თბილი წყლები, წარმოიქმნება რკინა, თუჯი, ვერცხლი, ოქრო, გოგირდი, შაბი, კუპრი, სოდა. ყოველი ესენი ხომ სითბოსაგან წარმოიქმნებიან და სინამდვილეში ასეთი მიწიდან წარმოიქმნება არა კეთილი, არამედ ხისტი და ცხელი წყლები, რომლებიც ძნელად შეერევიან შარდში და ხელს უშლიან მის გამოყოფას.

საპირისპიროდ, საუკეთესო წყლები ისინი არიან, რომლებიც ამაღლებული და მიწით დაფარული გორაკებიდან გამოედინებიან... ისინი ხომ თავისთავადაც ტკბილები, ანკარები და თვით ზომიერი ღვინის დასაყენებლადაც საუკეთესონი არიან. ამავე დროს ისინი არიან ზამთარ თბილი, ზაფხულ –გრილი, რადგან მიწის უღრმესი ადგილებიდან გამოედინებიან. ყველაზე საუკეთესოდ მე მიმაჩნია ის წყლები, რომლებიც განსაკუთრებით მზის ზაფხულის აღმოსვლის მხრიდან მოედინებიან, რადგან ისინი თავისთავად არიან ანკარა, სურნელოვანი და მსუბუქი, ხოლო მარილიანი წყლები, ძნელადმოსანელებლები და ხისტები, სასურველია, რომ სასმელად საერთოდ არ გამოვიყენოთ. თუმცა არიან ისეთი დაავადებები და ინდივიდები, რომელთათვისაც სწორედ ასეთი წყალია სასარგებლო, მათზე მე ახლავე მოგახსენებთ: ამ წყლებთან დაკავშირებით საქმე შემდეგში მდგომარეობს: თუ მათი დენა აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული, სხვებთან შედარებით ისინი საუკეთესონი არიან, მეორე ადგილი მათ უჭირავთ, რომლებიც მზის ზაფხულის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილებს შორის მდებარეობენ, თუმცა განსაკუთრებით კარგები აღმოსავლეთისაკენ მიქცეულები არიან.

მესამე ადგილზე ისინი დგანან, რომლებიც მდებარეობენ მზის ზაფხულისა და ზამთრის ჩასვლას შორის; ყველაზე ცუდები კი ისინი, რომლებიც სამხრეთისაკენ არიან მიქცეულები და მდებარეობენ მზის ზამთრის აღმოსავალსა და დასავალს შორის. ეს უკანასკნელები სამხრეთულ ქარებზე ყველაზე ცუდები არიან, ჩრდილოეთის ქარებზე კი – შედარებით კარგები. წყლით კი ასე უნდა ვისარგებლოთ: ვინც ჯანმრთელია და ძლიერი, მისთვის სულ ერთია, შეუძლია მიირთვას ის წყალი, რომელზეც ხელი მიუწვდება. ვინც ავადმყოფობის გამო იძულებულია სვას ის წყალი, რომელიც მისი ჯანმრთელობისათვის საუკეთესოა, უმეტესად შემდეგი საშუალებით მოიპოვებს ჯანმრთელობას: რომელთაც კუჭები მაგრები აქვთ და ადვილად ინელებენ ყოველგვარ საჭმელს, მათთვის, ცხადია, სასარგებლოა ყველაზე ტკბილი, მსუბუქი და ანკარა წყლები, ხოლო რომელთაც რბილი, ტენიანი და ლორწოვანი კუჭები აქვთ, მათთვის ხისტი, ძნელადმოსანელებელი და ოდნავმარილიანი წყლებია საჭირო, რადგან ისინი ამგვარად უფრო ადვილად გამოიშრობენ კუჭებს. ცხადია, ის წყლები, რომლებიც უფრო სასარგებლონი არიან მონელებისა და შემსუბუქებისათვის, უფრო ათავისუფლებენ და ასუსტებენ კუჭს, ხოლო ყველა ხისტი და მონელებისათვის ნაკლებად ვარგისი წყლები უფრო ჭიმავენ და აშრობენ მას. მარილიან წყლებთან მიმართებაში კი გამოუცდელობის გამო ზოგიერთები იბნევიან, ეჩვენებათ, რომ ეს წყლები აამკბენ კუჭს, და სხვათა შორის, ისინი უფრო ეწინააღმდეგებიან კუჭის გაწმენდას, ისინი ხომ უვარგისნი არიან მონელებისა და დარბილებისათვის და ამის გამო მათგან კუჭი უფრო იკუმშება , არა თუ ფართოვდება.

VIII. აი, ეს შეიძლება ითქვას წყაროს წყლებზე, ახლა კი ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორი თვისებები აქვთ წვიმისა და თოვლის დნობით დაგროვილ წყლებს; წვიმის წყლები არიან უმსუბუქესნი და უგემრიელესნი, უანკარესნი და უგამჭვირვალესენი, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მზე მიიტაცებს და მიიზიდავს მაღლა მხოლოდ მას, რაც არის

წყალში უნატიფესი და უმსუბუქესი. ამ უკანასკნელს ადასტურებს მარილიც, რადგან, რაც წყალში არის მარილიანი, იგი სისქისა და სიმძიმის გამო მიწაზე რჩება და მარილად წარმოგვიდგება, ხოლო უმსუბუქესს ყველაფერს მზე მაღლა იზიდავს. ცხადია, ყოველიეე მსგავსს იზიდავს მზე მაღლა არა მხოლოდ ტბებისა და ზღვების წყლებიდან, არამედ ყველაფრისაგან, რაშიც კი არის რაიმე ნესტი, ეს უკანასკნელი კი თითქმის ყველა საგანშია. მზე თვით ადამიანებისაგანაც კი ამოიზიდავს უნატიფესსა და უმსუბუქეს ტენს; ამისი საუკეთესო დამადასტურებელია შემდეგი: როცა ჩაცმული ადამიანი გაისეირნებს ანდაც დაჯდება მზის გულზე, კანის ის ადგილები, რომელთაც უშუალოდ ეცემათ მზის სხივები, არ გაოფლიანდებიან, რადგან გამოსულ სითხეს უმალ იტაცებს მზე, ხოლო სამოსით, ან სხვა რაიმეთი დაფარული ადგილები გაოფლიანდება, რადგან მზის დაცხუნებით ოფლი გამოიყოფა, მაგრამ მზისაგან საფარველითაა განრიდებული და ამიტომ ვერ შრება. თუ კაცი გადავა ჩრდილში, მთელი ტანი ერთიანად დაუოფლიანდება, რადგან მზე უშუალოდ აღარსად აცხუნებს... ამის გამოა, რომ წვიმის წყალი ყველა სხვაზე უმალ შმორდება და გამოსცემს მყრალ სუნს, იგი ხომ გამოკრებილია სხვადასხვა ნივთიერებებიდან და შესაბამისად ფუჭდება კიდეც ყველა სხვა წყალზე ადრე. გარდა ამისა, როცა მზისაგან ატაცებული წყალი მაღლა ადის, ტრიალებს, ერევა ჰაერში, რაც მღვრიე და მუქია მასში, გამოიყოფა და წარმოქმნის ორთქლსა და ნისლს; ყველაზე ფაქიზი და ნათელი კი რჩება და მზისაგან გაცხელებული და გადახარშული, ტკბილდება კიდეც – მოხარშვის შედეგად ხომ ყველაფერი სხვაც მეტ-ნაკლებად ტკბილდება.. ასე, სანამ წყალი გაფანტული და ჯერ კიდევ შეუკუმშველი იქნება, იგი მიიწევს მაღლა, ხოლო როცა შეჯგუფდება და ერთიმეორეს დაუპირისპირდება, ქარები უცებ შეკუმშავენ მას და მაშინ იგი გასკდება ქვემოდან იმ ადგილას, სადაც ყველაზე მეტი იქნება შეჯგუფებული, რადგან ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა ქარისაგან განდევნილი ღრუბლები შეეჯახ-

ებიან საპირისპირო ქარს, ან სხვა ღრუბლებს. მაშინ მათი წინა ნაწილი სქელდება, ხოლო უკან მდებარე მიისწრაფვის მისკენ და ამის გამო კიდევ უფრო სქელდება და შავდება, მძიმდება და სიმძიმის გამო იხსნება ქვემოდან და მაშინ კი იწყება წვიმა.

სინამდვილეში ეს წყლები საუკეთესონი არიან, მაგრამ მაინც საჭიროა მისი გადადუღება და გასუფთავება; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აყროლდებიან და მათ დამლევს დაეწყება ხრინწი და ხველა და გაუუხეშდებათ ხმა. ხოლო თოვლისა და ყინულისაგან მიღებული წყალი ყველა ცუდია, რადგან, როცა ისინი პირველად გაიყინებიან, უკვე აღარასოდეს უბრუნდებიან პირველ მდგომარეობას და ის, რაც მათში არის ნათელი, მსუბუქი და გემრიელი, გამოიყოფა და ქრება, ხოლო ყველაზე მძიმე და მუქი კი მასში რჩება. ამის სისწორეში შენ შეგიძლია დარწმუნდე შემდეგნაირად: თუ შენ ზამთარში წყლით სავსე ჭურჭელს ჰაერზე გასაცივებლად გამოიტან და მეორე დღეს გაყინულ წყალს ჭურჭლიანა თბილ ადგილას გადაიტან, სადაც სითბო მთლიანად დაადნობს ყინულს და მერე კვლავ გაზომავ წყალს, დაინახავ, რომ წყალი საკმაოდ დაკლებული იქნება. ეს ადასტურებს იმას, რომ გაყინვის შედეგად ორთქლდება და ქრება ყველაზე მსუბუქი და ნათელი და არა ყველაზე მძიმე და ყველაზე სქელი — ეს უკანასკნელი ხომ ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ყინულისა და თოვლის და სხვა ამგვართაგან გამომდნარი წყალი მე ყველა სხვა წყალთა შორის ხმარებისათვის უუვარგისესად მიმაჩნია.

IX. ამგვარად, აი ასეთია მდგომარეობა წვიმის, თოვლისა და ყინულისაგან მიღებულ წყლებთან დაკავშირებით.

კენჭოვანი დაავადებები, ნეფრიტები, სტრანგურიები, ისხიაზი, თიაქარი და სხვა უმუტესად ემართება იმ ადამიანებს, რომლებიც სვამენ ყველანაირ ან დიდი მდინარეების (რომლებშიც სხვა მდინარეებიც ჩაედინებიან), ტბების (რომლებშიც ბევრი სხვადასხვანაირი ნაკადული ჩაედინება) წყლებს, იგივე ემართებათ მათაც, ვინც სვამს შორიდან გამოყვანილ

და არა ახლოს გამომდინარე წყალს. ხომ არ შეიძლება, რომ ყველა წყალი იყოს ერთნაირი; ზოგი ხომ არის გემრიელი, ზოგი მლაშე და შაბიანი, ზოგი თბილი ადგილებიდან გამოედინება და სხვა. ისინი რომ ერთიმეორეს უერთდებიან, ებრძვიან ერთიმეორეს და ყოველთვის, ცხადია, იმარჯვებს ძლიერი. მაგრამ ყოველთვის ერთიდაიგივე როდია გამარჯვებული, ერთ შემთხვევაში იმარჯვებს ერთი, მეორე შემთხვევაში—მეორე განსხვავებული ქარების შესაბამისად, რადგან ზოგს ძალას აძლევს ჩრდილოეთის ქარები, ზოგს კი — სამხრეთის, ასეა სხვა შემთხვევებშიც. ასეთი წყლებისაგან სისხლძარღვებში ილექება შლამი და ქვიშა და მათი სმა იწვევს ზემოთ დასახელებულ დაავადებებს; მაგრამ ეს რომ ყველას არ ემართება, ამაზე ქვემოთ თანმიმდევრობით ვიტყვი.

რომელთაც კუჭი ცარიელი აქვთ და ჯანმრთელი, საშარდე ბუშტი გაუღიზიანებელი და საშარდე ბუშტის ყელი არც თუ ძალიან შევიწროებული, ისინი ადვილად ატარებენ შარდს და საშარდე ბუშტში არავითარი დანალექი არ რჩება, მაგრამ ვისაც კუჭი გაღიზიანებული აქვს, უეჭველად საშარდე ბუშტიც ასევე შეაწუხებს, რადგან, როცა იგი იმაზე დიდია, რასაც ბუნება მოითხოვს, იგი გაცხელდება და მისი ყელიც გახურდება და ამგვარად გაღიზიანებული, იგი არ ატარებს შარდს, შიგნითვე გადახარშავს მას და წვავს ყოველივეს, რაც მასში ყველაზე ფაქიზია და გამოაცალკევებს მას; დიახ, ის, რაც ყველაზე ფაქიზია და სუფთა, გამოიყოფა შარდთან ერთად, ხოლო ყველაზე სქელი და მღვრიე ბუშტშივე გროვდება, ილექება და თანდათან იზრდება ეს წანაზარდი თავიდან არაა დიდი, მაგრამ თანდათანობით იზრდება, რადგან ბრუნავს შარდში და იწოვს და იკრავს ყოველივეს, რაც კი რჩება მასში. ასე თანდათან იზრდება, მკვრივდება, ქვავდება და, როცა ავადმყოფს მოშარდვა მოუნდება, შარდის ძალით გამოდევნილი ეს წანაზარდი მივა ბუშტის ყელთან, გაიჩხირება, აძნელებს შარდის გამოყოფას და ამიტომ იწვევს საშინელ ტკივილს. ამიტომაც, ასეთი ქვე-

ბით განაწამები ბიჭუნები ისრესენ და წევენ სასქესო ორგანოს, ჰგონიათ, რომ ტკივილის მიზეზი სწორედ მასშია. ამის დასამტკიცებლად, რომ ეს ასეა, გამოდგება ის, რომ კენჭოვანი დაავადებით შეპყრობილი ავადმყოფები გამოყოფენ სრულიად გამჭვირვალე შარდს, რადგან ყველაზე სქელი და მღვრიე რჩება და ილექება საშარდე ბუშტში. დიახ, უმეტესობა სწორედ ამ მიზეზით ავადდება კენჭოვანი დაავადებით. ბიჭუნებს კენჭოვანი დაავადება უჩნდებათ აგრეთვე რძით იმ შემთხვევაში, თუ რძე იქნება სქელი და ხოლესტერინიანი, რადგან ასეთი რძე აცხელებს კუჭს და საშარდე ბუშტს და გაცხელებული შარდიც მასთან ერთად განიცდის შესაბამის ცვლილებებს. ამიტომაც, ჩემი აზრით, პატარა ბავშვს უნდა მივცეთ, რაც შეიძლება მეტად განზავებული ღვინო, რადგან იგი ნაკლებად აცხელებს და აშრობს ვენებს.

ქალებს კი კენჭები უჩნდებათ არა ამგვარად, რადგან საშარდე ბუშტის ყელი მათ აქვთ ბევრად მოკლე და განიერი, რის გამოც შარდი ადვილად გამოიყოფა. ამიტომაა, რომ გოგონები არ ისრესენ შარდსასქესო ორგანოებს ბიჭუნებივით და არც კი ეხებიან შარდსადენ არხს, იგი ხომ უშუალოდ საშოსთან იხსნება მაშინ, როცა მამაკაცებს ეს არხი არა აქვთ სწორი და არც ფართოა იგი. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ გოგონები ბიჭებთან შედარებით მეტ სითხეს ღებულობენ.

X. აი ეს, ან თითქმის ეს უნდა ითქვას ყოველივე ამის შესახებ. წელიწადის დროებზე დაკვირვების შედეგად ყველას შეუძლია განსაზღვროს, თუ როგორი იქნება მომავალი წელი—ჯანმრთელობის თუ დაავადებათა მომტანი. თუ ვარსკვლავთა ამოსვლისა და ჩასვლისას კარგი ამინდის მაუწყებელი ნიშნები გამოჩნდებიან ანგარიშის შესაბამისად, თუკი შემოდგომაზე იქნება წვიმები და ზამთარიც ზომიერი, არც მთლად თბილი და არც მეტისმეტად ყინვიანი, ხოლო გაზაფხულზე და ზაფხულშიც იქნება დროული წვიმები, მაშინ, ცხადია, ასეთი წელიწადი ერთობ ჯანმრთელი იქნება, ხოლო, თუ ზამთარი იქნება მშრალი და ჩრდილ-

ოური, გაზაფხული კი წვიმიანი და სამხრეთული, მაშინ ზაფხული უცილობლად იქნება ციებ-ცხელებებით აღსავსე, უხვად მიოტანს ოფთალმიებს და დისენტერიებს, რადგან, როცა გაზაფხულის წვიმებითა და სამხრეთის ქარებით მიწა ნესტით იქნება გაჯერებული და უცებ სიცხეები დაიწყება, მაშინ, ცხადია, სველი და თბილი მიწიდან მზის მცხუნვარების გამო ხვატი გაძლიერდება და მაშინ, როცა ადამიანთა კუჭები სრულებითაც არ ჩერდებიან და ტვინიც არ შრება, და მართლაც, როცა ასეთი გაზაფხული იქნება, ხომ არ შეიძლება, რომ ადამიანთა ტვინი და ხორცი ზედმეტი სითხით არ იყოს გავსილი, რის გამოც ბევრს და განსაკუთრებით ფლეგმატიკებს ეყრებათ უმწვავესი ციებ-ცხელებები, ქალებს და უმეტესად სუსტებს კი, ბუნებრივად უჩნდებათ დისენტერიები.

თუ ქოფაკის ვარსკვლავის ამოსვლისას (25 ივლისი ნ.გ.) წამოვა წვიმა, აციედება და დაუბერავს ეტესიები, უნდა ვიფიქროთ, რომ დაავადებები შეწყდება და შემოდგომა ჯანმრთელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ დაიხოცონ ბავშვები და ქალები, ხანდაზმულები კი, თითქმის არა; მათ კი, რომლებსაც არ შეეყრებათ ოთხდღიანი ციებ-ცხელებები, ბოლოს შეხვდებათ და შემდეგ წყალმანკიც გაუჩნდებათ; ხოლო, თუ ზამთარი იქნება სამხრეთული, წვიმიანი და რბილი, გაზაფხული კი ჩრდილოური, მშრალი და ქარიანი, მაშინ ფეხმძიმე ქალებს, რომელთაც გაზაფხულზე უნდა ემშობიარათ, უცილობლად მოეშლებათ მუცელი, ხოლო თუ ვინმე მაინც დაბადებს ცოცხალ ბავშვს, იგი იქნება მეტად სუსტი და ავადმყოფი ისე, რომ იგი ან მაშინვე დაიღუპება, ანდა, თუ იცოცხლებს, იქნება განლეული, სუსტი და ავადმყოფი. ეს ქალების შესახებ, სხვებს კი დაემართებათ დისენტერიები, თვალთა მშრალი ანთებები; ზოგიერთებს კი—კატაროიები, თავიდან ფილტვებზე ჩანაღვენთები. ამიტომაც ფლეგმატიკებს დაეწყებათ დისენტერიები... ასევე დაემართებათ ქალებსაც ტვინიდან ლორწოს გამოდინებისა და ბუნებრივი სინაზის გამო; ღვარძლიანებს სითბოსა და

სხეულის სიმშრალის გამო დაეწყებათ თვალების მშრალი ანთებები; მოხუცებს, ვენების სითხელისა და სიბერეს გამო სისხლდენები ისე, რომ ზოგიერთი მათთაგანი უცებ დაიღუპება, სხვები კი ჩაწვებიან მარჯვენა ან მარცხენა მხარზე დამბლადაცემულები. ასე იმიტომ მოხდება, რომ თბილი, სამხრეთული და ნესტიანი ზამთრის გამო არც სხეული მკვრივდება, არც ტვინი და არც ვენები, ხოლო ჩრდილოური, მშრალი და ცივი გაზაფხულის დადგომისას ტვინი, რომელიც გაზაფხულის დადგომასთან ერთად უნდა გაფართოებულიყო და გაწმენდილიყო სურდოსა და ხრინწის მეშვეობით, იმდენად მკვრივდება და იჭიმება, რომ ზაფხულის უეცარი დადგომის და სიცხეზე გადასვლის გამო წარმოიქმნებიან ზემოთდასახელებული დაავადებები.

ცხადია, ქალაქებში, რომლებიც კარგად არიან მიქცეულები მზისა და ქარების მიმართ და ამავე დროს ხმაროben კარგ წყალს, ნაკლებად განიცდიან ამ დაავადებებს, ხოლო, რომლებშიც სვამენ ჭაობებისა და ტბების წყლებს და მზისა და ქარების მიმართაც არც თუ კარგად არიან განლაგებულნი, – უფრო მეტად. თუ ზაფხული იქნება მშრალი, დაავადებები მალე შეწყდება, ხოლო, თუ წვიმიანი – დაავადებები ხანგრძლივდებიან და ბუნებრივად, ყველანაირ შემთხვევაში, ჭრილობებზე ჩნდებიან "მჭამელი" წყლულები; ბოლოს, დაავადების შეწყვეტისას ეწყებათ ფაღარათები და წყალმანკები, რადგან კუჭები ადვილად არ უშრებათ. თუ ზაფხული იქნება წვიმიანი და სამხრეთული, ასევე შემოდგომაც, ზამთარში უცილობლად გავრცელდება მრავალი დაავადება, ხოლო ფლეგმატიკებს და მათ, ვინც გადააბიჯეს ორმოც წელს, ბუნებრივად ეწყებათ ცხელებები, ხოლო ღვარძლიანებს – პლევრიტები და პერიპნევმონიები, ხოლო, თუ ზაფხული იქნება მშრალი და ჩრდილოური, შემოდგომა კი წვიმიანი და სამხრეთული, მაშინ ზამთარში ბუნებრივად ეწყებათ თავის ტკივილები და ტვინის კრუნჩხვები, ამასთანავე ხრინწი, სურდო და ხველა; ზოგიერთებს კი ჭლექიც ემართებათ.

თუ შემოდგომა იქნება ჩრდილოური და მშრალი, და თვით ქოფაკის ვარსკვლავის დროსაც არ იწვიმებს და არც არკტურის დროს, ეს სასარგებლოა განსაკუთრებით ფლეგმატიკების, ბუნებრივად სუსტებისა და ქალებისათვის; ღვარძლიანებისათვის კი ეს კიდევ უფრო მავნებელია, რადგან ისინი კიდევ უფრო ჩამოხმებიან და დაეწყებათ თვალების მშრალი დაავადებები და ხანგრძლივი მწვავე ციებ-ცხელებები; ზოგიერთებს კი — მელანქოლიაც, რადგან ყოველივე, რაც არის ნაღველში ყველაზე ტენიანი და წყლიანი, ისპობა, ხოლო ყველაზე უფრო სქელი და მწვავე კი რჩება; ეს კი ხდება იმავე მიზეზისა და იმავე სისხლის გამო, საიდანაც მათ მითითებული დაავადებები უჩნდებათ. ფლეგმატიკებისათვის ეს სასარგებლოც კია, რადგან ისინი ხდებიან და ზამთარს ხვდებიან არა დანესტიანებულები, არამედ გამომშრალები.

XI. მაშ ასე, ვინც ყოველივე ამას გონებით ჩაწვდება და განჭვრეტს, ცვალებადობათა საფუძველზე წინასწარ განჭვრეტს საკმაოდ ბევრ რაიმეს იმის შესახებ, თუ რა უნდა მოხდეს მომავალში. განსაკუთრებით უნდა დაეკვირდეთ წელიწადის დროთა უმთავრეს ცვალებადობებს, ისე, რომ არც გამწმენდი საშუალებები უნდა გამოვიყენოთ, თუ გარდაუვალი არაა, არც უნდა გავკვეთოთ და არც უნდა ამოვწვათ მანამ, სანამ არ გაიელის ათი დღე, ან მეტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საშიშია ცვალებადობები ორივე ბუნიაობის (განსაკუთრებით ზაფხულის) და ამასთანავე ორივე დღეღამსწორობის (განსაკუთრებით შემოდგომის) დროს. უნდა დავაკვირდეთ აგრეთვე ვარსკვლავების, განსაკუთრებით ქოფაკის, შემდეგ არკტურის ამოსელასა და ჩასელას, რადგან ამ დღეებში ავადმყოფობები უმეტესწილად კრიზისში გადადიან და ზოგნი მთავრდებიან სიკვდილით, ზოგნი კი იკურნებიან. სხვა დანარჩენები კი გადადიან სხვა სახეობასა და მდგომარეობაში. აი, ასეთია მდგომარეობა ყოველივე ამასთან დაკავშირებით.

XII. [XII-XXIV თავი ბერძნულიდან თარგმნა და 1965 წელს გამოაქვეყნა პროფესორმა თინათინ ყაუხჩიშვილმა წიგნში "ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ", ჩვენ იგი უცვლელად გადმოგვაქვს. ნ.გ.].

[ახლა] მინდა აზიისა და ევროპის მიმართ ვაჩვენო, თუ რაოდენ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან ყოველმხრივ. [მინდა ვილაპარაკო] მათი ტომების შესახედაობის შესახებ, რომ ისინი განსხვავებულები არიან და არაფრით ჰგვანან ერთმანეთს. ყოველივე ამის შესახებ ძალიან გაგრძელდებოდა სიტყვა, [ამიტომ] მე, რაც, ჩემის აზრით, უმთავრესი და საგანგებო სხვაობაა, მხოლოდ იმაზე ვილაპარაკებ. მე ვამბობ, რომ აზია დიდად განსხვავდება ევროპისაგან, როგორც ყოველივე იმის ბუნებით, რაც აღმოცენდება დედამიწიდან, აგრეთვე ადამიანთა [ბუნებით]. რადგან აზიაში ყველაფერი ბევრად უფრო ლამაზი და ზორბა ჩნდება.

თვით ქვეყანაშიც [ევრიპის] ქვეყანაზე უფრო რბილი ჰავაა და ხალხსაც ზნე უფრო სათნო და წყნარი აქვს. ამისი მიზეზი არის წლის დროების მონაცვლეობა, რადგან [აზია] მდებარეობს მზის აღმოსელის შუაში, აღმოსავლეთის პირდაპირ და სიცივისაგან საკმაოდ დაშორებით.. [ყოველივეს] ზრდა და სათნოება [აზიაში] ყველა სხვა ქვეყანაზე მეტადაა, რადგან იქ არაფერია ძალით მოპოვებული, არამედ ყოველივეზე ბატონობს თანასწორობა. მაგრამ აზიაში ყველგან არაა ერთნაირად: ქვეყნის ის [ნაწილი], რომელიც სითბოსა და სიცივეს შუაში მდებარეობს, არის ყველაზე უფრო ნაყოფიერი, ყველაზე მეტად მდიდარია ხეებით და [იქაა] ყველაზე სასიამოვნო ჰავა, [იქ] ხმარობენ საუკეთესო წყლებს, რომლებიც ზეციდან [ჩამოდის] და დედამიწიდან [ამოდის].

ეს იმიტომ, რომ ეს [ქვეყანა] არც სიცხისაგან არის სულ მთლად ამომწვარი, არც გვალვისა და უწყლობისაგან გამომხმარი, არც სიცივისაგანაა დაძაბუნებული და არც ნოტიო და ნესტიანია ბევრი წვიმისა და თოვლისაგან. ამიტომ ბუნებრივია, რომ იქ ბევრი ნაყოფი მოდის, ის, რაც

წარმოიშვება თესლისაგან და ის, რასაც თვითონ დედამიწა აღმოაცენებს. ამ ნაყოფს იყენებენ ადამიანები, რომლებიც ველურ [მცენარეულს] აშინაურებენ და მათ საჭიროებისამებრ გადარგავენ ხოლმე. ამას გარდა ბუნებრივია, რომ იქ გაზრდილი საქონელი მშვენიერ მდგომარეობაშია. ის განსაკუთრებით ხშირად იგებს და ძალიან კარგადაა გამოკვებილი, ხოლო რაც შეეხება ხალხს, ისიც კარგად ჩასუქებულია, შესახედაობით ლამაზია, ტანად ზორბაა და ძალიან ნაკლებად განსხვავებული [ერთმანეთისაგან] თავისი შესახედაობითაც და სიდიდითაც. ცხადია, რომ ეს ქვეყანა ყველაზე უფრო ახლოა გაზაფხულთან თავისი ბუნების და წლის დროების ზომიერების მიხედვით, მაგრამ ასეთ ბუნებაში არ შეიძლება წარმოიშვას სიმამაცე, სიბეჯითე, შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა – არც ამავე ტომის ხალხში და არც უცხო ტომისაში; ის კი არა, მათზე დატკბობის [სურვილი] ბატონობს.

ამიტომაა, რომ [აქაურ] ცხოველებშიაც მრავალი სხვადასხვა სახეობა მოიპოვება.

XIII. მე მგონია, ასეა ეგვიპტელთა და ლიბიელთა საქმე, ხოლო რაც შეეხება მზის ზამთრის აღმოსავალის მარჯვნივ [მდებარე მხარეებს], ვიდრე მეოტიდის ტბამდე (რადგან ეს არის საზღვარი ევროპისა და აზიისა), მათ მიმართ შემდეგი გვაქვს [სათქმელი]: აქ მცხოვრები ტომები უფრო მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ზემოხსენებულნი, წლის დროების მონაცვლეობისა და ქვეყნის ბუნების მიზეზით. დედამიწის მიმართაც ისევეა საქმე, როგორც სხვა ადამიანების მიმართ. რადგან, სადაც წლის დროები დიდს და ხშირ ცვალებას განიცდიან, იქ ქვეყანა საგანგებოდ ველურია და მრავალფეროვანი. [იქ] შეხვდები მრავალ მთებს, ტყეებს, დაბლობებსა და მინდვრებს, ხოლო სადაც წლის დროები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი ქვეყანა ძალიან ერთგვაროვანია. ასევეა ადამიანთა მიმართაც, თუკი ვინმე მიაქცევს ყურადღებას: რადგან ზოგი [ადამიანის] ბუნება ჰგავს ხეებიან და მორწყულ მთებს, [ზოგისა]

– მწირსა და ურწყაე [გარემოს, სხვების] – ჭალებიანსა და ჭაობიან [ადგილებს], [ზოგი ადამიანისა კიდეე] დაბლობ, მოტიტვლებულ და გამხმარ დედამიწას. რადგან წლის დროები, რომლებიც სცვლიან ბუნების ფორმებს, განსხვავებულები არიან, ხოლო თუ ისინი დიდად იქნებიან განსხვავებული ერთმანეთისაგან, განსხვავებულსა და მრავალ სახეობასაც წარმოშობენ.

XIV. ტომთაგან იმათ, რომლებიც ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან, გამოვტოვებ, ხოლო რომლებიც დიდად [განსხვავდებიან], ან ბუნების ან კანონების მიხედვით, მათ შესახებ ვილაპარაკებ ისე, როგორც არის და პირველ რიგში [ვიტყვი] მაკროკეფალების შესახებ; რადგან არც ერთ სხვა ტომს არა აქვს ამათი მსგავსი თავები. თავდაპირველად წეს-ჩვეულება გახდა მიზეზი [მათი] თავის სიგრძისა, ახლა კი ბუნებაც წაეშველა ამ წესს, რადგან ვისაც ყველაზე უფრო გრძელი თავი აქვს, ისინი არიან ყველაზე უფრო კეთილშობილად მიჩნეულნი. მათი წეს-ჩვეულების მიხედვით ასე ხდებოდა: როგორც კი იბადებოდა ბავშვი, მის თავს, რომელიც ძალიან რბილი იყო, იმიტომ, რომ [ბავშვი] ჯერ სულ ჩვილია, ხელით აძლევდნენ ფორმას და აიძულებდნენ, რომ სიგრძეში გაზრდილიყო; თავსაკრავებს ხმარობდნენ და [სხვადასხვა] გამოსაყენებელ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც თავის სიმრგვალეს არღვევედნენ და [მისი] სიგრძე იზრდებოდა. ამრიგად, დასაწყისში წეს-ჩვეულება მოქმედებდა ისე, რომ ამგვარი ბუნება წარმოექმნა; ხოლო დროთა ვითარებაში [ის] ბუნებად იქცა ისე, რომ წეს-ჩვეულება აღარ იყო აუცილებელი, რადგან თესლის შემადგენლობა სხეულის ყოველი ნაწილიდან მოდის, ჯანმრთელიდან ჯანმრთელი, ხოლო სნეულიდან–სნეული. თუ მელოტებისაგან მელოტები წარმოიშვებიან და ლურჯთვალათაგან ლურჯთვალიანები, [თუ] დაკრუნჩხულთაგან მახინჯები [ჩნდებიან], როგორც ეს მეტწილადაა, იგივე [ეხება] სხვა ფორმებსაც; რა უშლის ხელს იმას, რომ გრძელთავიანისაგან გრძელთავიანი გაჩნდეს? ახლა კი აღარ ჩნდებიან იმგვარად, როგორც

უწინ, რადგან წეს-ჩვეულებას ძალა აღარ ჰქონდა ადამიანებს შორის ურთიერთობის გამო.

XV. ამათ შესახებ ეყიქრობ, რომ ასეა, ხოლო ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლირი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მოედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ [აქ ნაყოფი] არ მწიფდება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზის გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით–მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, [რადგან] სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა არ მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან. [ამ ქვეყანაში] წლის დროები დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან, არც სიცხის მხრივ და არც სიცივის მხრივ. აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ეს ზოგჯერ ძლიერად და სასტიკად უბერავს და ცხელია. ამ ქარს უწოდებენ "კენხრონს". ჩრდილოეთის ქარი [აქამდე] თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როდესაც უბერავს, ის სუსტი და წყნარია.

XVI. ასეა საქმე აზიასა და ევროპაში მცხოვრები ხალხების ბუნების, განსხვავებისა და შესახედაობის მიმართ.

ხოლო რაც შეეხება ადამიანთა სიმხდალესა და ლაჩრობას, რომ აზიელები ევროპელებზე გაცილებით უფრო ნაკლებ მეომარნი არიან და უფრო მშვიდი ზნის, ამის უმთავრეს მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ წლის დროები დიდ ცვლილებებს კი არ განიცდიან არც სითბოსი და არც სიცივის თვალსაზრისით, არამედ [მუდამ] დაახლოებით ერთგვარნი არიან. ამიტომაც არც აზრი განიცდის [რაიმე] ძვრას და არც სხეული ძლიერ ცვლილებას, რისგანაც ჩვეულებრივად [ადამიანი] მძვინვარდება და უგუნურებასა და სიფიცხეს იძენს უფრო მეტად, ვიდრე [მაშინ, როდესაც] მუდამ ერთსადაიმავე მდგომარეობაში არის; რადგან ცვლილებები აფხიზლებს ყველაზე უფრო ადამიანის აზრს და არ აძლევს მშვიდად ყოფნის საშუალებას. მე ვფიქრობ, ამ მიზეზის გამოა, რომ აზიელი ხალხი არაა მამაცი და ამას გარდა, მისი კანონების გამოც. რადგან აზიის მეტ წილს მეფე მართავს, ხოლო სადაც ხალხი თვითონ არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი, არამედ [სხვა] ბატონობს მასზე, მაშინ მათ ის კი არა აქვთ საზრუნავი, რომ საომარ საქმეებში იეარჯიშონ, არამედ ის, თუ როგორ მოაჩვენონ თავი, რომ მებრძოლნი არიან. მართლაც და საფრთხე თანაბარი არაა, რადგან [დამორჩილებული ხალხი] ლაშქრობს, იტანჯება და კვდება იძულებით [თავისი] ბატონებისათვის, ცოლ-შვილისა და სხვა მეგობართაგან მოშორებით. რა კარგად და მამაცად არ უნდა მოქმედებდნენ ისინი, [ამ საქმეებისაგან]აღზევდებიან და განდიდდებიან მათი ბატონები, ხოლო თვითონ კი საფრთხესა და სიკვდილს იმკიან მხოლოდ. ამას გარდა ამისთანა ადამიანები იძულებით იმორჩილებენ [თავიანთ] ვნებებს იმის გამო, რომ არ ომობენ და უმოქმედონი არიან; ისე რომ თუ ვინმე ბუნებით მამაცი და გულადია, [ამ] კანონის გამო ეცვლება მათაც გუნება. ამისი დიდი საბუთია [შემდეგი]: ვინც არიან აზიაში ელინები თუ ბარბაროსები, რომელთაც არა ჰყავთ ბატონი, არამედ დამოუკიდებელნი არიან და თავისთვის შრომობენ, ისინი ყველაზე უფრო მებრძოლი ბუნების არიან, რადგან საფრთხეში თავს საკუთარი თავისთვისვე

იგდებენ და ჯილდოს სიმამაცისათვის [თვითონვე] ღებულობენ, ისევე როგორც სასჯელს – სიმხდალისათვის. შენ შეამჩნევ, რომ აზიელებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ზოგი უკეთესია, ხოლო ზოგი უფრო უმნიშვნელო. ამის მიზეზებიც წლის დროების ცვალებადობაა, როგორც უკვე ვთქვი ადრე.

XVII. მათ შესახებ, ვინც აზიაში არის, ესაა [სათქმელი], ხოლო ევროპაში არის სკვითური ტომი, რომელიც ცხოვრობს მეოტიდის ტბასთან და რომელიც განსხვავებულია [ყველა] სხვა ტომებისაგან. მათ ეწოდებათ სავრომატები. მათი ქალები ცხენოსნობენ, ისარს ისვრიან, შუბს ტყორცნიან ცხენებზე [შემსხდარნი] და მტერს ებრძვიან, ვიდრე ქალწულები არიან: ქალწულობას კი არ კარგავენ მანამ, ვიდრე მტერთაგან სამს არ მოჰკლავენ და არ თხოვდებიან მანამ, ვიდრე [მათი] ჩვეულების მიხედვით გათვალისწინებულ მსხვერპლშეწირვას არ მოახდენენ. ვინც თავისთვის ამოირჩევს კაცს, ის თავს ანებებს ცხენზე ჯდომას, ვიდრე აუცილებელი არ იქნება საყოველთაო ლაშქრობაში [მონაწილეობა]. მათ მარჯვენა ძუძუ არა აქვთ, რადგან როცა ისინი ჩვილი ბავშვები არიან, დედები საგანგებოდ ამისთვის გაკეთებულ გავარვარებულ სპილენძის [ხელსაწყოს] ადებენ მარჯვენა ძუძუზე და ამოწვავენ ხოლმე, რათა [ძუძუს] ზრდა შეჩერდეს და მთელი ძალა და ღონე გადავიდეს მარჯვენა მხარსა და მკლავზე.

XVIII. ხოლო რაც შეეხება დანარჩენი სკვითების გარეგნობას, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან და სხვას არავის, ამის შესახებ იგივე აზრი [უნდა გამოითქვას], რაც ეგვიპტელების შესახებ, ოღონდ [იმ განსხვავებით], რომ [ეგვიპტელები] სიცხისაგან არიან დაჩაგრულნი, ხოლო ესენი კი სიცივისაგან. სკვითურ უდაბნოდ წოდებული [ადგილი] არის ვაკე, ბალახოვანი, მოტიტვლებული და ზომიერად მდიდარი წყლებით. [იქ] მდინარეები დიდია, რომლებსაც გამოაქვთ წყლები ველებიდან. აქ ცხოვრობენ სკვითები, [რომლებიც] ნომადებად იწოდებიან, რადგან სახლები კი

არა აქვთ, არამედ ურმებზე ცხოვრობენ. ხოლო ურმები კი ყველაზე პატარები, ოთხბორბლიანებია, სხვები კი — ექვსბორბლიანები. [ურმების] გარშემო ნაბადი აქვთ შემოკრული. არის ისეთი [ურმებიც], რომლებიც მოწყობილია როგორც სახლები, ზოგი ერთმაგი და ზოგი სამმაგი [სახურავებით] და ეს იცავს წვიმისაგან, თოვლისაგან და ქარებისაგან. ურმებს ეწევა ორი ან სამი უღელი ურქო ხარებისა. მათ არა აქვთ რქები სიცივის გამო. ამ ურმებში ცხოვრობენ ქალები, ხოლო თვითონ მამაკაცები დადიან ცხენებით. მათ უკან მისდევენ ცხვრები, რაც ჰყავთ, ხარები და ცხენები. ერთსა და იმავე ადგილას იმდენხანს რჩებიან, რა ხანსაც მათ საქონელს ბალახი ჰყოფნის, ხოლო როდესაც აღარ [ჰყოფნის], სხვა ადგილზე გადადიან. თვითონ [ხალხი] იკვებება მოხარშული ხორცით, სვამს ცხენის რძეს და ჭამს ჰიპაკეს. ეს არის ცხენის ყველი.

XIX. ასეთია მათი ცხოვრება და კანონები. ხოლო რაც შეეხება წელიწადის დროებსა და გარეგნობას, [ყველა] დანარჩენი ხალხებისაგან დიდად განსხვავდება სკვითური ტომი და ჰგავს [მხოლოდ] თავის თავს, ისევე, როგორც ეგვიპტური; [ეს ტომი] ნაკლებად ნაყოფიერია, ხოლო [მათ] ქვეყანაში გარეული მხეცები ძალიან პატარები არიან ზომით და [მცირენი] სიმრავლის თვალსაზრისით. ეს იმიტომ, რომ ის მდებარეობს ზედ პოლუსის ქვემოთ და რიპეის მთების ძირში, საიდანაც უბერავს ჩრდილოეთის ქარი. მზე კი, როდესაც ის ზაფხულის წრეს მიაღწევს, მაშინ უახლოვდება მას ყველაზე უფრო და მაშინაა, რომ ცოტა ხნით ათბობს, მაგრამ არც მაინცადამაინც. ქარები, რომლებიც თბილი ქვეყნებიდან უბერავენ, [იქამდე] ვერ აღწევენ; თუ [აღწევენ], ოდნავ და სუსტად, ხოლო ჩრდილოეთიდან მუდმივად უბერავს ცივი ქარი, თოვლის, ყინვისა და წყლების სიმრავლის გამო. ესენი არასოდეს ილევიან მთებზე. ამის გამოა, რომ [მთებზე] მოსახლეობა არაა. ვაკეს დღისით დიდი ნისლი ადგას თავზე და [ხალხი] იქ ცხოვრობს; ისე რომ [იქ] მუდმივი ზამთარია, ხოლო ზაფხული კი სულ რაღაცა მცირერიცხოვანი

დღეებია. ეს იმიტომ, რომ ვაკე მაღალზეა, მოტიტვლებულია და არაა გარშემორტყმული მთებით, არამედ ჩრდილოეთის მიმართულებით მაღლდება. არც მხეცები არიან აქ დიდი ზომის, არამედ [ისეთები] არიან, რომ შეეძლოთ მიწის ქვეშ თავის შეფარება. ეს იმიტომ, რომ ზამთრისა და დედამიწის სი'ში'შელის გამო იჩაგრებიან ისინი, რადგან არც სითბო აქვთ და არც თავშესაფარი. წლის დროების ცვალება არც დიდია და არც ძლიერი, არამედ ისინი ერთმანეთის მსგავსნი არიან და მცირედ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან; ამიტომაა, რომ [ხალხი] შესახედავად ერთმანეთის მსგავსია, საჭმელსაც ისინი მუდამ ერთნაირს ხმარობენ და ტანსაცმელიც ერთიდაიგივე აცვიათ ზაფხულშიც და ზამთარშიც. სუნთქავენ ნესტიანი და მძიმე ჰაერით, სვამენ თოვლისა და ყინულის წყლებს და თავისი დაუდევრობით მათ არ შეუძლიათ სხეული დაიტვირთონ [რაიმეთი], ანდა სული, რადგან [ბუნებაში] ძლიერი ცვლილებები არ ხდება. აი, ამ აუცილებელი [მიზეზების] გამო [მოსახლეობა] შესახედავად მსუქანი არის, ხორციანი, ნაკვთები არ ემჩნევა, დონდლოა და ძაბუნი; ყველაზე უფრო მუცელი აქვთ სითხეჩამდგარი და განსაკუთრებით კი მისი ქვემოთა ნაწილი. რადგან, მართლაც, მუცელი არ შეიძლება გამოშრეს ამისთანა ქვეყანაში, [ასეთ] ბუნებასა და ჰაეის ასეთი მდგომარეობის დროს. ის კი არა, სხეულის სიმსუქნისა და უბალნობის გამო შესახედავად ერთმანეთს ჰგვანან, მამაკაცები – მამაკაცებს და დედაკაცები – დედაკაცებს. რაკი წლის დროები ასე ჰგვანან ერთმანეთს. არც იღუპება და არც სხვა რაიმე უბედურება ემართება თესლს შედედების დროს, თუ არ შეემთხვა რაიმე ძალდატანება ან ავადმყოფობა.

XX. მე მოვიყვან [ერთ] დიდ საბუთს [მათი] ტენიანობისას: შენ შეხედები ბევრ სკვითს და ყველას, ვისაც ნომადები [ეწოდებათ], რომელთაც მომწვარი აქვთ ბეჭები, მკლავები და ხელის მტევნები, მკერდი, თეძოები და წელი. ამისი მიზეზი კი სხვა არაფერია, თუ არა [მათი] ბუნების ტენიანობა და დონდლოობა. მართლაც, მათ სინოტივისა და სისუსტის

გამო არ შეუძლიათ არც მშვილდის მოწევა, არც შუბის სროლა ბეჭის შემწეობით. ხოლო როდესაც მოიწვევენ, მაშინ ამოშრება მათი ნაწილებიდან ბევრი სისველე და მათი სხეული უფრო ჯანმრთელი ხდება, უფრო უკეთ ნაკვები და შეკრული. ისინი მოდონდლოვებულნი არიან და განში გასულნი უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ მათ არ ახვევენ, როგორც ეს ეგვიპტეში ხდება ხოლმე; არც მიაჩნიათ [შეხვევა] საჭიროდ [ჯერ] ცხენოსნობის გამო, (რათა [ცხენებზე] კარგად ისხდნენ), ხოლო შემდეგ იმის გამო, რომ [საერთოდ ბევრს] სხედან. მაგალითად, ბიჭები, ვიდრე მათ არ შეუძლიათ ცხენზე ჯდომა, ბევრ დროს სხედან ურემზე და ძალიან ცოტას დადიან ფეხით იმდენი მოგზაურობისა და გადაადგილების დროს. რაც შეეხება გოგოებს, შესახედაობით საოცრად დონდლონი არიან და სუსტნი. სკვითური ტომი წითურია სიცივის გამო, რადგან ცხარე მზე მათ ახლოს არ ეკარება. ხოლო სიცივისაგან მათი სითეთრე იწვის და ღებულობს წითურ [ფერს].

XXI. ასეთი ბუნების ხალხი არ შეიძლება, რომ ნაყოფიერი იყოს. მართლაც, არც მამაკაცებს აქვთ დიდი სურვილი შეუღლებისა აღნაგობის ტენიანობის და მუცლის დონდლოობის და გაცივებულობის გამო; ამიტომაა, რომ მამაკაცს ჩვეულებრივ ძალიან ნაკლებად აღეძვრის ენებიერება. ამას გარდა გამუდმებით ცხენზე ჯანჯღარის გამო ისინი სუსტები არიან შეუღლებისათვის. ეს მიზეზი აქვთ მამაკაცებს; ხოლო ქალების [უნაყოფობის მიზეზი] არის სხეულის სიმსუქნე და ტენიანობა. ამიტომაა, რომ მათ საშვილოსნოებს არ შეუძლიათ თესლი დაიჭირონ, არც ყოველთვიური განწმენდა აქვთ მათ ისე, როგორც საჭიროა, არამედ ემართებათ მხოლოდ ცოტა [რაოდენობით] და ხანდახან; საშვილოსნოს ყელი სიმსუქნის გამო დაკეტილია და არ იღებს თესლს; თვითონ [ქალები] გულგრილები არიან ყველაფრის მიმართ და მსუქნები, ხოლო მუცელი ცივი აქვთ და დონდლო. აი, ამ მიზეზის გამო სკვითური ტომი ნაყოფიერი არ არის. ამის დიდ საბუთად გამოდგებიან მონა ქალები: ისინი მაინცა

და მაინც არ ისწრაფვიან, რომ მამაკაცებთან მივიდნენ [და მიუხედავად ამისა], მაშინვე ორსულდებიან, იმიტომ რომ ბევრს შრომობენ და სხეულიც გამხდარი აქვთ.

XXII. ამას გარდა სკვითები ძალიან ბევრნი არიან უძლურნი; ისინი დედაკაცურად ირჯებიან და ქალების მსგავსად ლაპარაკობენ. მათ ეწოდებათ ანარიეები. ადგილობრივი მცხოვრებლები ამის მიზეზად ღმერთს მიიჩნევენ; ამისთანა ადამიანებს მოწიწებით ეპყრობიან და თაყვანს სცემენ. [მაგრამ] თითოეული თავისი თავის მიმართ შიშით არის შეპყრობილი. მე თვითონ კი ვფიქრობ, რომ ეს ავადმყოფობა ღვთაებრივია ისევე, როგორც ყველა სხვა და არც ერთი [ავადმყოფობა] არაა მეორეზე უფრო ღვთაებრივი ანდა ადამიანური, არამედ ყველა ერთნაირია და ყველა ღვთაებრივი, ხოლო თითოეულს აქვს [თავისი] ბუნება და არაფერი ხდება ბუნების გარეშე. როგორ წარმოიშვება ეს ავადმყოფობა, ამის შესახებ მოგითხრობთ ისე, როგორც მე ვფიქრობ: ცხენზე გამუდმებით ჯდომის გამო [სკვითებს] ძარღვები ებერებათ, რადგან ფეხები მუდამ ჩამოკიდებული აქვთ ცხენებიდან; ხოლო შემდეგ, ვინც განსაკუთრებით ავადმყოფობს, კოჭლდება და თეძოებს მიათრევს. ისინი თავს ასე მკურნალობენ; როდესაც იწყება ავადმყოფობა, ორივე ყურის უკან ძარღვს იჭრიან; როდესაც სისხლი გამოვა, სისუსტისაგან ძილქუში აწვებათ და იძინებენ. შემდეგ იღვიძებენ და ზოგი მათგანი გამოჯანმრთელდება, ზოგი — არა. მე ვფიქრობ, რომ ასეთი მკურნალობის დროს იღუპება მემკვიდრეობის [გაგრძელების უნარი]. რადგან ყურებთან არის ძარღვები, რომელთაც თუ ვინმე გადაჭრის, უნაყოფო გახდება. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ძარღვებს იჭრიან [მკურნალობისას]. შემდეგ, როდესაც მიდიან ცოლებთან და არ შეუძლიათ, რაიმე მოუხერხონ, პირველად სულაც არ სწუხან ამისათვის, არამედ წყნარად არიან; ხოლო როდესაც ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ შეეცდებიან და მაინც არაფერი გამოდისთ, გადაწყვეტენ, რაღაცა შეეცოდეთ ღმერთსო, იმას დააბრალებენ, ჩაიცვამენ ქალის ტანსაცმელს, აღიარებენ თავიანთ თავს უძლურად, იქცევიან

ქალებივით, მუშაობენ ქალებთან ერთად და [აკეთებენ] იმას, რასაც [ქალები]. სკვითთაგან ეს მდიდრებს ემართებათ; არა ყველაზე მდაბიოებს, არამედ კეთილშობილთ და მათ, ვინც მხედრობით დიდი ძალა მოიხვეჭა; ღარიბები კი ნაკლებად [განიცდიან ამ უძლურებას], რადგან ცხენზე არ სხედან ხოლმე. ისე კი, თუ ეს ავადმყოფობა სხვაზე უფრო ღვთაებრივია, ის სკვითთა შორის არა მარტო დიდგვაროვნებსა და მდიდრებს უნდა დასტყდომოდა, არამედ ყველას თანაბრად და განსაკუთრებით ღარიბებს; რადგან თუ ღმერთებს უხარიათ პატივისცემა და ადამიანთაგან მოწიწება და ამის მიხედვით მიაგებენ მათ წყალობას, მდიდრები ხომ ჩვეულებრივ უფრო ხშირად სწირავენ მსხვერპლს ღმერთებს, შესაწირავებსაც მიართმევენ ხოლმე და პატივს სცემენ, რადგან ქონება აქვთ, ხოლო ღარიბები ნაკლებად აკეთებენ ამას, რადგან არა აქვთ; თან კიდეც უჩივიან [ღმერთებს], რომ არ აძლევენ ისინი მათ ქონებას. ასე რომ მცირემქონენი ამისთანა ცოდვებისათვის უფრო მეტად უნდა ისჯებოდნენ, ვიდრე მდიდრები. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, [ეს ავადმყოფობაც] ისევეა ღვთაებრივი, როგორც [ყველა] სხვა და თითოეული [ავადმყოფობა] წარმოიშობა [თავისი] ბუნების მიხედვით. ეს ავადმყოფობა სკვითებს ემართებათ იმ მიზეზის გამო, რომელიც უკვე ვთქვი. ასევე ემართება ის სხვა ხალხებს, რადგან სადაც განსაკუთრებით ხშირად სხედან ცხენზე, იქ უმრავლესობას ემართება ძარღვების დაბერვა, იშიაზი და პოდაგრა, და სრულიად გამოუსადეგარნი არიან სქესობრივი ურთიერთობისათვის. ყოველივე ეს აქვთ სკვითებს და ზემოთქმული მიზეზის გამო ისინი ყველა ხალხზე უფრო ემსგავსებიან საჭურისებს. ამას გარდა იმიტომაც, რომ მათ მუდამ აცვიათ შარვალი და დროის მეტ წილს ცხენზე ატარებენ; ასე რომ მათ არც კი შეუძლიათ ხელი ახლონ თავის სარცხვინალს და სიცივისა და ჯაფის გამო არც ახსოვთ სასიყვარულო [სურვილები], შეუღლებისადმი [ლტოლვა] და არაფერს ცდილობენ საამისოდ მაშინაც კი, ვიდრე მამაკაცობა აქვთ.

XXIII. სკვითების ტომის შესახებ ასეა ამბავი. ხოლო დანარჩენი ხალხი, რომელიც არის ევროპაში, განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სიდიდით, აგრეთვე შესახედაობით, წლის დროების მონაცვლეობის გამო, რადგან დიდია [ეს მონაცვლეობა] და ხშირი; მაგარი სიცხე, მკაცრი სიცივე, დიდი წვიმები, კვლავ ხანგრძლივი გვალვები და ქარები — აი ამის გამოა დიდი და სხვადასხვაგვარი ცვლილებები. ამის გამო ბუნებრივია, რომ ჩასახვა თესლის შედედებისას სხვადასხვანაირია და არაერთგვარი სიცხესა და სიცივეში, ანდა წვიმებისა და გვალვის დროს. მე ვფიქრობ, რომ ამიტომაა, რომ ევროპელები უფრო განსხვავდებიან შესახედაობით ერთმანეთისაგან, ვიდრე აზიელები და თვითეულ ქალაქში [მეორე ქალაქთან შედარებით] განსხვავებული სიდიდისაა [ხალხი]. რადგან შედედების დროს თესლის გაფუჭება გაცილებით უფრო ხშირია წელიწადის დროების ხშირი ცვალებადობის დროს, ვიდრე მაშინ, როდესაც [ეს დროები] ერთმანეთის მსგავსი და თანაბარია. წესჩვეულების მიმართ იგივე ამბავია: ველურობა, სიმკაცრე და სიმამაცე ამნაირსავე ბუნებაში წარმოიშვება. რადგან ხშირი შეშფოთება აზრისა წარმოშობს სიველურეს. ხოლო სათნოებასა და თვინიერებას კი ასუსტებს. ამიტომაა, რომ ევროპის მოსახლეობა უფრო მამაცად მიმაჩნია, ვიდრე აზიისა. რადგან სადაც მუდმივად ერთდაგვარი მდგომარეობაა, [იქ] სიზარმაცეა, ხოლო ცვალებადობისას სხეულიც და სულიც უფრო იძაბება. სიწყნარესა და სიზარმაცეში სიმხდალე ვითარდება, ხოლო დაძაბულობისა და შრომისაგან — სიმამაცე. ამის გამო და კანონების გამოც ევროპის მოსახლეობა მებრძოლია — ისინი ხომ მეფეს არ ექვემდებარებიან, როგორც აზიელები. რადგან სადაც მეფეს ექვემდებარებიან, იქ უთუოდ ძალიან მხდალებიც იქნებიან. ამის შესახებ მე ზემოთაც ვთქვი. ვინაიდან სულს, როდესაც ის დამონებულია, არ სურს ნებაყოფილობით ტყუილუბრალოდ თავი საფრთხეში ჩაიგდოს სხვისი ძალაუფლებისათვის; ხოლო ვინც დამოუკიდებელია, ისინი თავისი თავისთვის ვარდებიან ხი-

ფათში და არა სხვისათვის. ისინი თავისი ნებით, ხალისით ეგებებიან ხიფათს, რადგან გამარჯვებისათვის ჯილდოს თვითონ იღებენ. ამრიგად კანონებს მცირე მნიშვნელობა არა აქვთ სულის მხნეობისათვის.

XXIV. ასია მთლიანად და საერთოდ ევროპისა და აზიის ამბავი. არიან ევროპაში [სხვა] ხალხებიც, განსხვავებულნი ერთმანეთისაგან როგორც სიდიდით, [ასევე] შესახედაობითა და სიმამაცით. განსხვავების [მიზეზები] აქაც იგივეა, რაც უწინ ვთქვი, ოღონდ ახლა უფრო ნათლად მინდა გადმოვცე. ისინი, ვინც ცხოვრობენ მთიან, ოღრო- ჩოღრო, მაღლობ და უწყლო ქვეყანაში, სადაც ცელილებებია და წლის დროები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქ [ხალხი] ჩვეულებრივ შესახედავად დიდია და გაჩენილია ჯაფისა და მამაცობისათვის; ველურობა და სიმხეცე ასეთი ბუნების [ხალხს] მცირეოდენი როდი აქვს. ხოლო რომლებსაც უჭირავთ ჩავარდნილი ადგილები, ბალახით დაფარული და დახუთული, სადაც უფრო ცხელი ქარები ქრის, ვიდრე ცივი და წყალსაც თბილს ხმარობენ, ის [ხალხი] ვერ იქნება მაღალი ტანის, ვერც მოხდენილი. ისინი ბუნებრივად განში მიდიან, ხორცოვანები არიან და შავთმიანები; თვითონაც უფრო შავები არიან, ვიდრე თეთრები, და ნაკლებ აქვთ [სხეულში] ლორწო, ვიდრე ნაღველი. სიმამაცე და შრომისუნარიანობა მათ სულში ბუნებრივად [ყველას] თანაბრად აქვს [და ამას გარდა] მათ კანონი ზრდის და წვრთნის. თუ ამ ქვეყანაში არის მდინარეები, რომელთაც ქვეყნიდან გამოაქვთ დამდგარი და წვიმის წყალი, [მაშინ მოსახლეობა] ჯანმრთელი იქნება და ნათელი ფერის, ხოლო თუ მდინარეები არ არის, და [ხალხი] სვამს ტბის წყალს, დამდგარსა და ჭაობისას, [მაშინ] მათ აუცილებლად ასეთი შესახედაობა აქვთ: მუცელი ჰკიდიათ და ელენთა აქვთ დაავადებული. ხოლო რომლებიც ცხოვრობენ მაღლობ და სწორ ქვეყანაში, [სადაც] ქრის ქარები და ბევრია წყლები, ისინი შესახედავად ახოვანები არიან და ერთმანეთის მსგავსნი; სულით მხდალი და თვინიერი. ისინი კი, ვინც მწირ, უწყლო და მოტიტვლე-

ბულ ქვეყანაში [ცხოვრობენ, სადაც] წლის დროების ცვლილებანი ზომიერი არაა, ბუნებრიეია, რომ ისინი შესახედავად ტლანქები არიან და ფიცხები; უფრო ქერები, ვიდრე შავები და ზნითაც ამაყი და თავნება ხასიათისა. ეს იმიტომ, რომ სადაც ცვლილებები ხშირია, [ამინდის] და წლის დროები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქ შეხვდები დიდად განსხვავებულ შესახედაობას, ზნეს და ბუნებას.

ესაა უმთავრესი [მიზეზი] ბუნების ცვლილებებისა. ხოლო შემდეგ [ამის მიზეზია] ქვეყანა, სადაც იზრდება ადამიანი, და წყლები. რადგან შეამჩნევ, რომ მეტწილად ქვეყნის ბუნებას მიჰყვება ადამიანთა შესახედაობა და ზნე. მართლაც, სადაც დედამიწა ნოყიერია, რბილი და ბევრ წყალს შეიცავს, და ეს წყლები [ნიადაგში] განსაკუთრებით მაღლაა, ისე რომ ზაფხულობით ისინი თბილი არიან, ხოლო ზამთრობით ცივი, და წლის დროების მონაცვლეობა კარგია, იქ ადამიანები ხორცოვანები არიან, დონდლონი, სითხით გაუღენთილნი, უდარდელები და მეტწილად მხდალი სულის. მათ ახასიათებთ სიზარმაცე და მძინარობა. ხელოვნება არ ესმით და [საერთოდ] არც ნატიფნი არიან და არც [გონება]მახვილნი. ხოლო სადაც ქვეყანა მოტიტვლებულია, უმცენარო, ოღროჩოღრო, სიცივისაგან გატანჯული და მზისაგან ამომწვარი, იქ [ხალხი] უხეშია, გამხდარი, დანაკვთული და ბალნიანი. ისინი ასეთი ბუნების გამო საქმიანები არიან და ფხიზელნი. ზნე ამაყი აქვთ და ხასიათი – თავნება. უფრო ველური თვისების არიან, ვიდრე თვინიერის. შენ დაინახავ, რომ ხელოვნების მოყვარენი და ნიჭიერნი არიან და სამხედრო საქმიანობაშიც საუკეთესონი. და ასევე ყველაფერი სხვა, რაც დედამიწისაგან წარმოიშვება, მისდევს იმას, როგორიც არის თვითონ ეს დედანიწა.

ასეა ერთმანეთის ყველაზე უფრო საწინააღმდეგო ბუნებისა და ფორმების ამბავი; აი აქედან უნდა დაასკვნა, როდესაც სხვა რამეებს უკვირდები და არ შეცდები.